1926.

# დროშა

ფასი 20 კაპ.

№ 6-7

კვირა 28 მარტი 1926 წ.

21/200

ეროვნული ბიბლიოთეკა




**პარიზის კომუნის გმირები.** სურათების წარწერა იხილეთ მეორე გვერდზე

# პარიზის კომუნარები




**ტუსაღების დათვალიერება.**- ხვრეტდენ ყველას, ვისაც კი ხელი თოფის წამლით ჰქონდა გასვრილი

**1) ვერმეშ,** გაზეთის რედაქტორი, გაუსამართლებლად მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; **2) ლიუსიენ-ეჟენვარლენ,** მუშა, კომუნის წევრი, დახვრეტილ იქნა 1871 წ. მაისის 28-ს; **3) ბუნუა მალონ,** სოციალიზმის თეორეტიკოსი, წევრი კომუნისა, მიუსაჯეს უვადო დაპატიმრება და გადასახლება; **4) ჟიულ ვალლეს,** გაზეთის რედაქტორი და კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; **5) გენერალი ლიუ ლიე,** მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; **6) ჟურდ ფრანსუა,** კომუნის წევრი, გადასახლებული იქნა ახალ კალედონიაში; **7) გენერალი ედი,** სამხედრო საქმის რწმუნებული, მიუსაჯეს 20 წლის კატორღა; **8) პასკალ გრუსე,** გაზეთის რედაქტორი და კომუნის წევრი, მიუსაჯეს დაპატიმრება და გადასახლება; **9) იზაბელა რეტიფ,** კომუნარი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა: **10) გონტენზია დავიდ,** კომუნარი, არტილერისტი—დამმიზნებელი, მიუსაჯეს გადასახლება· **11) კლარა ფრუნიე,** კომუნარი, არტილერისტი—დამმიზნებელი; **12) ქრისტინა დ'რუან,** კანონირი ბარიკადა-პორტმაირზე; **13) ვალიან,** კომუნის წევრი, სახალხო განათლების საქმის რწმუნებული, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; **14) ელიზე რეკლიუ,** ცნობილი გეოგრაფი და ანარქიზმის თეორეტიკოსი, ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცი, მიუსაჯეს გადასახლება; **15) ფრანკელი,** კომუნის წევრი, შრომისა და გაცვლის განყოფილების რწმუნებული. მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა ;**16) გენერალი ბერჟერე,** კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა: **17) როსელი,** სამხედრო საქმის რწმუნებული, დახვრეტილ იქნა; **18) გასტონ კრემიე,** მარსელის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე, დახვრეტილ იქნა; **19) რაულ რიგო,** კომუნის წევრი, დახვრეტილ იქნა 1871 წლის, მარტის 24-ს; **20) ბერნერი,** ბატარეის უფროსი; **21) კატერინა ოლივიე,** მიუსაჯეს გადასახლება; **22) გაიარი,** შინაგანი თავდაცვის უფროსი, მიუსაჯეს დაპატიმრება და გადასახლება; **23) გენერალი ლია-სესილია,** კომუნის ერთი გამოჩენილი ოფიცერთაგანი, მიუსაჯეს ციხე და გადასახლება; **24) გუსტავ მაროტო,** გაზეთის რედაქტორი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; **25) ვერდაგერი,** აჯანყების ერთი მონაწილეთაგანი დახვრიტეს; **26) ჟიულ მიო,** კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; **27) ლიუზა მიშელ; 28) პუატიე,** კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; **29) ტონი მუალენ,** გამოჩენილი დოსტოქარი, დახვრიტეს.

კვირა 28 მარტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# დროშა

| ხელის მოწერა | | ვანცხადების ფასი: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით . . . | 5 მ. 50 კ. | „დროშის“ მთ. გვერდი | 200 მ. |
| 6 თვით . . . | 3 მ. — | ½ გვერდი . . . | 120 მ. |
| 3 „ . . . | 1 მ. 70 კ. | ¼ „ . . . . | 65 მ. |
| ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. | | | |

მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. „კომუნისტ-ის“ რედაქცია.

№ 6-7 | გაზეთ „კომუნისტი“-ს ორკვირეული სამხატვრო—სალიტერატურო დამატება | № 6-7

## ტერიტორიალური მშენებლობა

(საქართველოს წითელი ჯარის დაარსების ხუთი წლის თავზე)

წითელი არმიის ტერიტორიალური მშენებლობა რუსეთში 1923 წელს დაიწყო. საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო გადასულიყო წითელი არმიის მშენებლობის ტერიტორიალურ სისტემაზე იმ მიზნით, რომ შეემსუბუქებია მოსახლეობისათვის ის სიმძიმე, რომელსაც წითელ არმიაში სამსახური იწვევდა, რადგან თითქმის მთელი ახალგაზრდობა, რომელსაც შრომის უნარი შესწევდა, სამოქალაქო ომის წლეებშიაც, თვითმყრობელობის რეჟიმის დროსაც იმყოფებოდა არმიაში და ამრიგად მოწყვეტილი იყო საწარმოო შრომას; გარდა ამისა, ასეთი დიდი არმიის შენახვისათვის სახელმწიფოს აუარებელი ხარჯების გაწევა უხდებოდა (მეფის მთავრობა თავისი წლიური ბიუჯეტის 70 პროც. არმიაზე ხარჯავდა და ჩვენს პირობებშიაც, სამოქალაქო ომის დროს, ასეთსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი), ამიტომ ჩვენი მთავრობა იძულებული იყო უაღრესად შეემცირებია წითელი არმია. დაეყვანა მისი რიცხვი 562 ათას მებრძოლამდე და მით შეემცირებია ხარჯები. ამჟამად ჩვენი საკავშირო მთავრობის სამხედრო ბიუჯეტი არ აღემატება საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის 10 პროც.

არმიის ისეთ რაოდენობამდე შემცირებისას საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებია ის გარემოება, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოსთან შესაძლებელ შეტაკების დროს ასეთი მცირერიცხოვანი ჩვენი არმია ვერ გაუწევდა სათანადო წინააღმდეგობას მტრების თავდასხმის და სწორედ ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება გადავიდა წითელი არმიის ტერიტორიალურ მშენებლობაზე. ეჭვს გარეშეა, რომ წითელარმიელების გაწვრთნის ასეთი სისტემა სახელმწიფოს გაცილებით უფრო იაფი უჯდება, მხოლოდ ორი თვით ხდება. ამრიგად ჩვენ ერთ და იმავე დროს ვაღწევთ ორ მიზანს: ერთის მხრით—ვქმნით და ვზრდით წითელი არმიის ახალ კადრებს, მეორე მხრით—წითელი არმიის ორგანიზაციის ასეთი სისტემა თითქმის 60—70 პროც. უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოქალაქენი, როგორც მუშები, ისე გლეხები, არ არიან მოწყვეტილნი საწარმოო შრომას მთელი ორი წლით (წითელ არმიაში სამსახურის ვადა ორი წლით განისაზღვრება).



№ ქართული დივიზიის უფ-პოლიტშემადგენლობათა ჯგუფი რომლებიც მსახურობენ დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ქართულ წითელ ჯარში.



№ პირველ ქართულ საარტილერიო ლეგიონის უფ-პოლიტ შემადგენლობათა ჯგუფი რომელნიც მსახურობენ დღიდან საქართველოს გასაბჭოების ქართულ წითელ ჯარში-

რუსეთში დაწყებული ტერიტორიალური მშენებლობის საკმაო გამოცდილების მიხედვით 1924 წელს საქართველოშიაც დაიწყო ტერიტორიალურ ნაწილების მოწყობა. მოეწყო მე-2-რე ტერიტორიალური დივიზია, რომელიც მთელს საქართველოში აწარმოებს მუშაობას ამ მიმართულებით. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ სისტემამ გაამართლა თავისი თავი, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აქ მოვიყვანთ საბჭოთა კავშირის რევოლიუციურ სამხედრო საბჭოს რეზოლიუციას, რომელიც ჯერ კიდევ 1925 წლის დასაწყისში იყო მიღებული: „ტერიტორიალურ ნაწილების მოწყობა გასცილდა ცდების ფარგლებს. წითელი არმია შევიდა გეგმიანი ტერიტორიალური მშენებლობის და მისი განმტკიცების ხანაში. ტერიტორიალურ ნაწილების მოწყობის და ჯარების გარეშე მომზადების ცდის პროცესში, ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები: ერთის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიალური სისტემა საერთოდ პრინციპიალურად აღიარებულ იქნა მუშათა და გლეხთა მასებში, ხოლო მეორე მხრივ ამ სისტემის გაღრმავება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტერიტორიალურ სისტემას არსებულ საკადრო ნაწილებთან ერთად აუცილებლად შეუძლია ბრძოლის უნარის მქონე ნაწილების შექმნის და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის უზრუნველყოფა". ეჭვს გარეშეა, რომ ზემოდ აღნიშნული რეზოლიუცია სწორად და თვალსაჩინოდ გამოხატავს არსებულ მდგომარეობას.

საქართველოს პირობებშიაც ტერიტორიალურმა მშენებლობამ გაამართლა თავისი თავი, რასაც აღიარებენ, როგორც უზენაესი ხელმძღვანელი პარტიული და პოლიტიკური საბჭოთა ორგანოები, ისე მუშათა და გლეხთა მასები.

საქართველოს და მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ტერიტორიალურ მშენებლობის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს ჯარში გაწვევამდე მომზადება. უდავოა, რომ ჯარში გაწვეულ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა გაცილებით უფრო უკეთესად და უფრო ჩქარა შეითვისებს სამხედრო ცოდნას და სამხედრო ტეხნიკას, თუ მას არმიაში შესვლამდე, გაწვევამდე—მინიმალური ცოდნა ექნება სამხედრო მომზადების დარგში; გარდა ამისა, უდავოა ისიც, რომ მომავალი ომები მასიური ხასიათის იქნებიან, ამ ომებში მთელს მოსახლეობას მოუხდება მონაწილეობის მიღება. ყოველივე ამის გამო ამჟამად ჯარში გაწვევამდე მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, და ამ მხრივ კერძოდ საქართველოშიაც მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ დიდ დაბრკოლებებსაც აქვს ადგილი; როგორც არის სამოსწავლო პუნქტების უქონლობა ან სიმცირე, სასურსათო დაბრკოლებები და სხვა (წვევამდელები თავის საჭმელ-სასმელით ცხადდებიან). სახელმწიფო ამ მხრივ ყოველგვარ ზომებს ღებულობს, დახმარებას უწევს გლეხობას საჭმელის მიცემის და სხ. გზით.

ა. კვირიკაძე.



№ ქართულ მსროლელ დივიზიის შტაბი და პოლიტიკური განყოფილება.

# სიძნელენი ჩვენს მუშაობაში

საქართველოს წითელი არმიის ნაწილების მშენებლობის 5 წლის შემდეგ ჩვენ გვყავს ბრძოლის უნარით აღჭურვილი, მტკიცედ შეკავშირებული არმია, მაგრამ სანამ ჩვენ მივაღწევდით სასურველ შედეგს, ამ ხუთი წლის განმავლობაში მოგვიხდა უდიდეს სიძნელეთა გადალახვა. და მართლაც, ასეთ პირობებში, რომლებშიაც სწარმოებდა საქართველოს წითელი არმიის მშენებლობა, არ შეიძლებოდა ადგილი არ ჰქონოდა ამ სიძნელეთ. ჩვენი არმია შეიქმნა და ჩამოყალიბდა არა სამოქალაქო ომის პირობებში, არამედ თეთრ-გვარდიელებთან საშინაო და საგარეო კონტრ-რევოლიუციონერებთან უშუალო ბრძოლაში, როგორც ეს მოხდა რუსეთში, სადაც წითელი არმია წარმოიშვა და გამოიჭედა კაპიტალის, დენიკინის, კოლჩაკის და ვრანგელის და მთელი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ მშვიდობიან მშენებლობის პირობებში და არ მიუღია საჭირო გამოცდილება სამოქალაქო ან სხვანაირ ომებში. ამ გარემოებას არ შეეძლო ცუდი გავლენა არ მოეხდინა საქართველოს წითელი არმიის ნაწილების ორგანიზაციებზე და [illegible]



№ ქართულ დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების თანამშრომლები. 1) პირველი ქართული დივიზის უფროსი ამხ. ქუთათელაძე. 2) პირველი ქართულ მსროლელ ლეგიონის სამხედრო კომისარი და პოლიტ-განყოფილების უფროსი ამხ. არტემ კვირიკაძე.

მეორეს მხრივ საქართველოს წითელი არმიის ნაწილებში ჩვენ გვყავდა წითელი არმიელობის მცირე რაოდენობა მუშების წრიდან. ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ჩვენი ნაწილების მშენებლობაზე, ვინაიდან ცნობილია, რომ პროლეტარიატი, როგორც რევოლიუციის, ისე საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის პროცესში, წარმოადგენს გეგემონს, იმ ძალას, რომლის გარშემო თავს იყრიან ყველა დანარჩენი კლასები, ქვეყნის ყველა შემოქმედი ძალები და რამდენადაც ეს ელემენტი (მუშათა კლასი) იყო ძალიან მცირე წითელ არმიაში, იმდენად მოიკოჭლებდა მუშაობა და წითელი არმიის მშენებლობის საქმე ძალიან ნელის ტემპით მიმდინარეობდა.

შემდეგ, მთავარ პირობას, უნდა წარმოადგენდეს კომუნისტური ორგანიზაცია. მაგრამ, როგორც ვიცით, პირველი 2—3 წლის განმავლობაში წითელ არმიაში კომუნისტური პარტია მეტად მცირერიცხოვანი იყო. იმ დროს (პირველი სამი წლის განმავლობაში) ჩვენ გვყავდა არმიაში არა საკმაოდ მტკიცე, ნაკლები დისციპლინის მქონე და სამხედრო მუშაობის და სამხედრო პირობებს არა საკმაოდ შეჩვეული კომუნისტები. კომუნისტურ პარტიის წმენდის ჩატარებამდე საქართველოს არმიის მასშტაბით, ბლომად მოიპოვებოდენ კომუნისტები, რომლებიც არა თუ ხელს უწყობდენ მუშაობას, არამედ ყოველ ფეხის გადადგმაზე სახელს უტეხდენ მუშურ-გლეხურ მეომარს, წითელ არმიელის სახელს.

სულ მცირედის გამოკლებით, არმიის და აგრეთვე ყველა ნაწილების პოლიტიკური აპარატები შედგენილი იყო ისეთ მუშაკებისაგან, რომელთაც თითქმის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში და სამოქალაქო ომში. მომზადებული და მტკიცე კომუნისტები არ მოიპოვებოდენ. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ კომუნისტები იმ დროის დიდი ხალისით არ მიდიოდენ სამუშაოდ არმიაში. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები.

მაგრამ უმთავრეს პირობას, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს წითელი არმიის ნაწილების მშენებლობას, წარმოადგენდა საბჭოთა საკომანდო შემადგენლობის უყოლობა. ცნობილია, რომ მენშევიკურ არმიის და წინად მეფის არმიის (ქართველებიდან) საკომანდო შემადგენლობა იყო უმთავრესად თავად-აზნაურული, უკეთეს შემთხვევაში სასულიერო წვრილ-ბურჟუაზიული. გარდა ამისა, მენშევიკებმა თავიანთი ბატონობის სამი წლის განმავლობაში აღზარდეს მათში მებრძოლი ნაციონალიზმი და ცხოველური შოვინიზმი. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი საკომანდო შემადგენლობით ადვილი არ იყო აგვემუშავებინა ისინი საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ.

და თუ, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩვენ მაინც შევძელით ქართული წითელი არმიის შექმნა—ეს მოხდა მხოლოდ მისი უფროსი ძმის გამოცდილი ხელმძღვანელის—რუსეთის წითელი არმიის და მთელი რიგი სხვა პირობების წყალობით.

არტემ კვირიკაძე.

[library stamp]

# ხელოვნება და პოლიტიკა

**(ქართველ მწერალთა ყრილობის გამო).**

რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა, დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. იქ წარმოდგენილი იყო ქართველი ინტელიგენცია, რომელიც სხვადასხვა ლიტერატურულ კორპორაციებსა და სკოლებშია დარაზმული, და ეს ინტელიგენცია, საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავზე პირველად შეხვდა პირისპირ, პოლიტიკურ კონფერენციაზე საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას. მართალია, ჩვენს ხელისუფლებას დღემდეც მოუწვევია ინტელიგენტური შრომის წარმომადგენელთა კონფერენციები, მაგრამ ეს, უმთავრესად, ეგრეთ წოდებულ „სპეცების" კონფერენციები იყო; მეორე მხრივ ამ ხუთი წლის განმავლობაში ქართველ მწერლობასაც ჰქონია თავისი ყრილობა ან თათბირი, მაგრამ იქ მთავრობის წარმომადგენლები არ ყოფილან. ასე რომ, ხელოვნების სასახლეში, მწერალთა კონფერენციაზე თითქო ქართველი ფართო ინტელიგენციის და საქართველოს ხელისუფლების პირველი პოლიტიკური შეხვედრა მოხდა.

მგონია არ შევსცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ შეხვედრამ ორივე მხარეზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. მთავრობის მხრივ მოვიდა და პირველ სხდომაზე პოლიტიკური მოხსენება წაიკითხა საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ, ფილიპე მახარაძემ, რომელიც თავის წარსული მოღვაწეობით შეკავშირებულია ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან და რომლის ენა გასაგები და მისაღები იყო ქართველი მწერლებისთვის. დარბაისელი ქართული ენით, როგორიც შეეფერება „ხალხური პოეზიისა" და „დანიელ ჭონქაძის" მონოგრაფიების ავტორს, მან დაახასიათა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მდგომარეობა შიგნით და გარეთ, ილაპარაკა კერძოთ საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ წარმატებაზე უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში და, ბოლოს, ერთგვარი წინასწარმეტყველური შთაგონებითა და მხატვრული სტილით კაცობრიობის მომავალი დიდი კომუნა დაგვანახვა, რომელიც ნათელ მაღლობზეა გადაშლილი, და სადაც ერთ დროს უსათუოდ ავალთ ყოველგვარი დაბრკოლებისა და ხიფათის მიუხედავათ.

რადგან ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის სფეროში ვიმყოფებით, შეიძლება არ დაგვძრახონ, თუ ჩვენც ერთ შედარებას ვიხმართ. თუ მომავალი შრომის კომუნა მზის სხივებით განათებული ზეგანია, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი დღეს ერთგვარ თვალუწვდენელ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს, რომელიც ორი ქვეყნის, კაპიტალისტური ევროპის და ბუდისტურ-მუსულმანური აღმოსავლეთის საზღვარზეა აშენებული. ამ ციხე-სიმაგრეს მაღალი და მტკიცე გალავანი არტყია, სადაც ალაგ-ალაგ კოშკები და ბასტიონებია ჩატარებული. რასაკვირველია. ყოველ ბასტიონს თავისი კომენდანტი, თავისი გუშაგები, თავისი ჯარისკაცები ჰყავს. უკან მშვიდობიანი მოსახლეობაც ახლავს, რომელიც, თუ რაიმე საფრთხე გამოჩნდა, ვალდებულია იარაღით იქნება, თუ სხვა რაიმე ძალღონით, დაუშველოს ციხის დამცველებს.

ამ ციხე-სიმაგრეს მტრულად განწყობილი ლაშქრის ალყა არტყია, ეს ლაშქარი ამ წუთში იერიშებს არ აწარმოებს, მაგრამ თავისი რაზმების გადაჯგუფებას ახდენს და მზვერავებს გზავნის გალავანთან სუსტი ადგილების მოსაშინჯავად. დღეს ზარბაზნების ხმა არ ისმის, საალყო და მეციხოვნე ჯარს შორის დროებითი ზავია ჩამოგდებული, სამშვიდობო მოლაპარაკებასაც კი სწარმოებს დროგამოშვებით. ორივე მხარეს შეძლება აქვს ჯერ-ჯერობით მშვიდობიანი აღმშენებლობა აწარმოვოს.

გუშინ ასე არ იყო. გუშინ მტერს ციხის შიგნით დიდძალი თანამგრძნობი ჰყავდა, რომელსაც შეეძლო ციხის კარები გაეღო და საალყო ლაშქარი შემოეშვა. მეციხოვნეებმა ისინი მოსპეს. ან კიდევ სიმაგრიდან გააძევეს. გარდა ამისა, მათ მტრულ ბანაკში დიდძალი თანამგრძნობი გაიჩინეს. ამ თანამგრძნობთა რაზმებს შეუძლიათ გადამწყვეტი იერიშის, დროს დიდათ შეაფერხონ და არეულარიონ საალყო ლაშქრის მოძრაობა. მაგრამ საფრთხე მაინც ძლიერ დიდია. მიუტევებელი გულუბრყვილობა იქნება იმის ფიქრი, რომ მტრებს შორის მუდმივი ზავი დამყარდება, რომ საალყო ჯარი, შესაფერ მომენტში, არ დაიწყებს გაფთრებულ იერიშებს.

შეუძლია თუ არა ასეთ პირობებში ვინმემ სთქვას, რომ ის ესთეტია, რომ ის პოეტია და პოლიტიკა, ე. ი. ციხის დაცვის საქმე მას არ შეეხება? ყოველი კულტურა ერთგვარი სინტეზისია, ყოველ კულტურას ერთგვარი მთლიანი სტილი აქვს, ამ სტილს არ შეიძლება მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება პოლიტიკას გამოეთიშოს. ბურჟუაზიულმა დეკადანსმა დაარღვია კულტურული სტილის მთლიანობა და სხვადასხვა დარგები სხვადასხვა ჯურის სპეციალისტებს ჩააბარა. მაგრამ იქაც კი პოეზიისა და მხატვრობის სპეციალისტები ბურჟუაზიული პოლიტიკის საქმეს აკეთებენ, ხოლო პოლიტიკის სპეციალისტები ბურჟუაზიულ-მხატვრულ კულტურას მფარველობენ. მით უმეტეს შეუძლებელია ასეთი გათიშვა ისეთ ქვეყანაში, სადაც ახალი კულტურა უნდა აღორძინდეს. სადაც სრულყოფილი ადამიანი უნდა წარმოიშვას, სადაც ადამიანმა ყველა თავისი ფარული ნიჭი უნდა გაშალოს ყოველმხრივ კულტურულ მუშაობაში. როგორც ძველი ათინის, ან რენესანსის დროის იტალიის რესპუბლიკების მოქალაქე ხშირად ერთსა და იმავე დროს სოვდაგარიც იყო, პოლიტიკოსიც, პოეტიც ნ მხატვარიც, ისე თანამედროვე დამთავრებული პიროვნებაც ყოველმხრივ ჩაბმული უნდა იყოს დიდი სოციალური კოლლექტივის ცხოვრებაში. ამიტომ გვგონია, რომ არა მარტო ჯანსაღი პოლიტიკის, არამედ ჯანსაღი კულტურის თვალსაზრისითაც შემცდარი იქნებოდა, თუ რომელიმე ქართველი მწერალი იტყოდა, რომ ჩვენ ესთეტები ვართ, ზოგადი პოლიტიკა არ შეგვეხება.

მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას. რომ ქართველ მწერალთა კონფერენციას აპოლიტიზმი ან პოლიტიკური გულგრილობა არ გამოუჩენია. პირიქით, ყველა ასოციაციების, კორპორაციების თუ სკოლების ორატორებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ ისინი საბჭოთა წესწყობილების ნიადაგზე სდგანან და მზად არიან შეძლებისამებრ დახმარება გაუწიონ საერთო აღმშენებლობას. სამართლიანად აღინიშნა, რო თუ დღემდე ზოგიერთ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, ამისი ბრალი მარტო ქართველ მწერლებს ვერ დაეკისრება, და გაკვირვება გამოითქვა, რომ რატომ არ შეუძლია საქართველოს საბჭოთა მთავრობას თანამშრომლებათ მოიწვიოს თუნდ ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია, თუ კი საბჭოთა კავშირის მთავრობა თანამშრომლებლად იწვევს უსტრიალოვებსა და ეგრედ წოდებულ „სმენავეხოველებსო"...

იმ დიდ ციხე-სიმაგრეში, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა ჰქვია, საქართველო ყველაზე მეტად წინ წაწეული კოშკია. მას თვალყურს ადევნებს არა მარტო მტერი, არა მარტო ევროპის იმპერიალიზმი და „ხალხთა ლიგა", არამედ მოკეთეც, წინა აზიის ჩაგრული ეროვნებათა მასსა. ამიტომ ეს კოშკი მისმა კომენდანტებმა, მისმა მცველებმა და მისმა ბინადრებმა ისე უნდა გაამაგრონ, რომ ის არც მტერმა და არც მოკეთემ ადვილად ასაღებ ადგილად არ მიიჩნიოს.

**ლიტერატორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სვანეთის ცხოვრებიდან



## ფუთა დადეშქელიანის სიკვდილი

თავისუფალ სვანეთში სოფლიდან სოფლად დაჰქრიან შიკრიკები და ასმენენ ხალხს დაუჯერებელ ამბავს.

ფუთა დადეშქელიანი მოდის ჩვენი მხარის დასაპყრობათო!

თავისუფალ სვანეთის ლამაზ და მიუვალ კოშკებში მცხოვრები ვაჟკაცები არასდროს არ გაშმაგებულან ისე მძლავრად, როგორც ამ ამბის გაგონებაზე.

— ფუთა დადეშქელიანი მოდის ჩვენი მხარის დასაპყრობათო!

—:—

ვაჟკაცის ნაცად მარჯვენით ნასროლი ისარიც კი ვერ ასწვდება ინგურის თავზე ჩაფიქრებულ რაინდივით ცომართულ კლდის ნაპრალს.

იქ არწივის საბუდარივით მოსჩანს კვირიკეს მონასტერი.

გალავნის შავათ გამორლვეულ გულიდან ბრინჯაოს უშიშარ ქანდაკებასავით გადმომდგარა მოხუცი ფანგანი გადმომდგარა და მაგარი კლდის ნამტვრევებივით ძირს სოფლებში სცვივა მისი მქუხარე ძახილი:

— ხალხო, აქეთ წამოდით!

— უფიცოთ საქმე არ გაკეთდება!

— არც ერთი ვაჟკაცი არ დააკლდეს!

— ყველა აქეთ, აქეთ!

ქვევით ინგურის გაღმა სოფელ მუხდარში დაგროვილი ხალხი შეირყა შავი ვეშაპივით ამ მედგარ ძახილზე.

— მოვდივართ, მო!

და ეს შავი ვეშაპი, ეს ძლიერი ვეშაპი, რაღაც მღელვარე გუნებით გადაცურდა ტყის ხეებზე მოჭანავე ხიდს და შეერია ნაძენარიან მწვანე გორას—მონასტრისაკენ.

—:—

კვირიკეს მონასტრის გალავანი ძლივსღა იტევს თავისუფალ სვანეთის ვაჟკაცებს.

აქავე არიან, ჯერ მხოლოდ მწყემსობაში გაწვრთნილი ვაჟები და ჭაღარობაზე უკვე ხელაღებული მოხუცებიც.

მაღალი არის მესტიიდან, ლატალიდანდა მულახიდან გადმოსავალი უღვირის უღელ-ტეხილი. ძნელი და სახიფათოა უშგულიდან და ხალდეედან მომავალი კლდოვანი ბილიკები. მაგრამ არც ერთი მოხუცი არ დაჰრიდებია ამ სიძნელეს. თავისუფალ სვანეთის საფრთხეს ისევ ძველებურ გაუმაგრებია იმათი მუხლი, ისევ ძველებურ გაუხალისებია იმათი გული.

ეხლა ყველანი აქ არიან, სადაც სცემს თავისუფალ სვანეთის ყველა ვაჟკაცის გული.

გვერდელათ დაჭანებულ გალავნის თავზე ჰგდია ის დიდი ლოდი, რომლის აწევითაც თავმომწონე ყმაწვილები სცდიან ხოლმე თავიანთ ძალ-ღონეს ერთმანეთთან შესაჯიბრებლად.

ამ ლოდზე წამოდგა მრისხანე სახით მოხუცი ფანგანი.

— ხალხო, და ჯამაათო!

ხალხი დადუმდა. ხალხი მოწიწებით ისმენს.

— ასეთი ამბის გაგონებაზე მთებიც კი უნდა შეირყეს, არამც, თუ გული ვაჟკაცებისა. ჩვენი თავისუფლების მზეს ჩაყლაპვით ემუქრება დადეშქელიანთ უძლები ვეშაპი. რას იტყვით ამაზე?

— თავისუფალი დავბადებულვართ, თავისუფალიც უნდა ჩავიდეთ სამარეში!

— თუ მზის ამოსვლასა და ჩასვლას წინ დაუდგება ვინმე, მაშინ ჩვენი თავისუფლებაც მოისპობა!

— თუ ინგურის შეგუბებას შესძლებს ვინმე, მაშინ მოახერხებს ჩვენს დამორჩილებასაც!

— თუ მაღალი უშბა მოიდრიკება, მაშინ ჩვენც მოვიდრიკებით!

— ჩვენ, რომ დადეშქელიანის ბატონობა შევიფეროთ ეხლა, მამა-პაპის ძვლებიც კი ადგებიან სამარიდან ჩვენ შესარცხვენათ.

ხალხი ისე აკვესებს ცეცხლოვანათ თავის რისხვას და გულის ნადებს.

— ერთი კიდევ გაგვაგონეთ იმ თავხედის დაბარება!

— კიდევ გვითხარით, თორემ არა გვჯერა მისი სირეგვნე!

უშგულის მამასახლისი ადის მძიმე ლოდზე.

— მოციქულათ ვიყავით უშგულისა, კალისა და ლატალის მამასახლისები. დადეშქელიანმა გადაწყვეტით დაგვავალა: თუ არ დამმორჩილდა თავისუფალი სვანეთი, მაშინ შემოვალ ჩემი ლაშქარით და ისე დავიპყრობ ძალითო. ვადა ხვალამდისა გვაქვს კიდევ. ეხლა თქვენ იცით და თქვენმა თავგამოდებამ, რა პასუხსაც გასცემთ.

— არცა გვყოლია ბატონი და არც გვეყოლება!

— სანამ თავი მხრებზე გვაბია ვინ დაგვიმონებს!

— დროს ნუღარ ვკარგავთ! დავლესოთ ეხლავე ჩვენი ხმალ-ხანჯალი!

— თოფებიც დავფეროთ!

— ლატალის უბე გავამაგროთ, რომ ერთი ფეხიც ვერ გადმოდგან აქეთ!

— ჩვენ თვითონ წავიდეთ პირდაპირ ბეჩოზე!

— წავიდეთ ბეჩოზე! ბარემ დავასწროთ შეტევაცა და გამარჯვებაც!

ისევ უშგულის მამასახლისი ადის ლოდზე.

ყველა სმენათ იქცევა.

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო. ჩვენი ციხე-კოშკები აუღებელია უძლიერესი მტრისაგანაც კი. მაგრამ ციხეებზე მაგარი თვით ჩვენი მკლავია და ჩვენი გული. დადეშქელიანი გვემუქრება ჩვენი მოძმე სვანებით.

ისინი პიროფცვი მონებივით მოურეკია ჩვენ საზღვართან და ძმებს, ძმების სისხლით უნდა მოგვასვრევინოს ხელები. კაცობაც მაშინ დვიტრაბახოთ, თუ არ მოვექცევით მის ნასროლ ბადეში!

— მაშ, როგორ მოვიქცეთ!

— გვირჩიეთ, რა ვქნათ!

— სიტყვა შენი და გაგონება ჩვენი!

— მაშ, სმენა! ჯერ დავიფიცოთ ყველამ ჩვენ ბრძოლაზე და თავისუფლებაზე! დაინგრევიან მთები, უკუღმა გაბრუნდებიან მდინარენი, დადნება თოვლი თვეთნულდის წვერზეც-კი, მაგრამ ამ წმინდა ადგილას დადებული ფიცი არ გატეხილა, რაც არსებობს მოდგმა სვანების! არც გატყდება ვიდრე იარსებებს მოდგმა სვანების! მაშ ვისაც ძალა არ შესწევს, ფიცის შესრულებაზე, სჯობია ეხლავე დასტოვოს ეს კრებული!

— ვინც მშიშარაა წავიდეს!

— ვინც ლაჩარია დაგვტოვოს!

— ვინც მოღალატეა გაგვშორდეს!

ფეხს არავინ იცვლის.

— ჩვენში არავინ არის მოღალატე!

— არც მშიშარა!

— არც ლაჩარი!

მამასახლისი განაგრძობს:

— მაშ, დავიფიცოთ: ქალის ლეჩაქი ეხუროს, ულვაშ-გაპარსულიმც ყოფილიყოს და ჭვავნისაგან შეჩვენებული, ვინც მსხვერპლად არ დაედოს ჩვენი მხარის თავისუფლებას.

—- ამინ!

—- ამინ!

— თავზე ჩამოენგრეს ცის სიმაღლე! ფეხ ქვეშ გაერღვეს დედამიწა! შხამათ შეერგოს დედის რძე, ვინც თავი დახოგოს სვანეთის თავისუფლებისათვის!

— ამინ!

— ამინ!

— ვფიცავ ჩვენ ქუდს, ჩვენს მარჯვენას, ჩვენ წინაპრებსა და შთამამავლობას, რომ არ გატყდება ჩვენი ფიცი, სანამ მკერდში გული გვიცემს და მხრებზე თავი გვაბია!

— ვფიცავთ!

— ვფიცავთ!

— კვირეკეში დადებული ფიცის გამტეხი ჯერ არ უნახავს თავისუფალ სვანეთის მთებს და ვერც შემდეგში ნახავენ! მაშ, ეხლა თვით საქმეზე მოვისმინოთ:

— დადეშქელიანი ჩვენ გვებრძოლება ისევ ჩვენივე მოძმე სვანების ხელით. მოდი, შევეცადოთ, რომ ხალხის სისხლი არ დაიღვაროს!

— მაგას რა სჯობია!

— მაგრამ, როგორ!

— ისევ შენ გვითხარი ჭკვიანი სიტყვა!

მამასახლისმა სასტიკათ მიმოავლო თვალი მთელ კრებულს და წელში უფრო გასწორდა კიდევ.

— საქმეს მეთაური აკეთებს, თუ მეთაური არა ჰყავს, საქმეც დაღუპულია. ჩვენზე ილაშქრებს ფუთა დადეშქელიანი და არა ის ხალხი, ვინც მას მოუდის. ჩვენი დამორჩილება სწყურიან ფუთას და არა მის მონათ ქცეულ პირუტყვ ხალხს.

— მართალია!

— მართალია!

— თუ მართალია, მაშ, მოვკლათ ფუთა. ჩამოვაშოროთ მეთაური და უიმისოთ ველარავინ გაგვიბედავს შებრძოლებას!

— კარგია!

— საუცხოვოა!

— მხოლოდ, როგორ?

მამასახლისის თავში უკვე გადაწყვეტილია პასუხი:

— აქ შემოვიტყუოთ დადეშქელიანი. გაუგზავნოთ კაცები, გამოუცხადოთ მორჩილება. შემოვიპატიჟოთ აქ, როგორ ჩვენგან აღიარებული ბატონი და მერე თავიც აქ დავატოვებინოთ!

ყველამ მოიწონა უხუცეს მამასახლისის სიტყვა. აარჩიეს პატივცემული პირები და წარგზავნეს დადეშქელიანთან სამოციქულოთ.

——:——

უშგულის მახლობლად მაღალ გორაზე თამარის კოშკების ნანგრევებთან შეგროვილან თავისუფალ სვანეთის რჩეული ვაჟკაცნი.

ძირს აწყვეტილი ვეშაპივით თავ-ზარ დაცემული ღრიანცელით კლდიდან კლდეებზე გადადის გიჟი ინგური

შორიდან თეთრნაბდოსან გოლიათებათ წამომდგარან ერთი ერთმანეთზე მაღალი მთები.

ხევის პირათ შეყოლებულ სოფლებიდან კი საბრძოლველად გამომზადებულ ვაჟკაცებივით იცქირებიან მაღალი და წერწეტა კოშკები. მათის ცქერით ყველა სვანში იღვიძებს შეუპოვრობა, ძალა და იმედი.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფობით დაყოფილა გაზაფხულის პირველი ბალახით აბიბინებულ გორაზე და იგონებენ ბევრ სასახელო დღეებს სვანეთის ცხოვრებიდან. მრავალი ამბავი და ლეგენდა ახლად ისხამს ხორცს ფერად-ფერად გადმოცემებში. მაგრამ ყველაზე გატაცებით მაინც მსჯელობენ დადეშქელიანის მუქარაზე. თან ყველას მოთმინების ფიალა ევსება, სანამ თავხედ ბატონს ხელში ჩაიგდებენ და შეანანებენ ამ წუთი სოფელს.

მთის შეტყიანებულ ზურგზე გამოჩდენ რაღაც მოძრავი შავი წერტილები.

— ნეტა ვინ არიან?

— ჩვენებია, თუ უცხონი?

— ბექავ, შენ უფრო ნაცადი თვალი გაქვს ჯეირნებზე ნადირობაში. აბა გახედე, ვინ არის ასე მარჯვეთ, რომ გადმოდიან ქედიდან-ქედზე?

ბექამ ხელი ჩამოიფარა თვალებზე და მიაშტერდა მთების შუაგულს.

— ჩვენი კაცები არიან!

— რა ჩქარა დაბრუნებულან!

— ნეტავ რა ამბავი მოაქვთ!

ზოგი გორიდან ძირს დაეშვა, რომ წინ მიეგებოს მოციქულებს და ჩქარა გაიგოს რაიმე ამბავი.

ცოტა ხნის შემდეგ, მოციქულებიც შუა ხალხში დგანან და ხმა მაღლა აუწყებენ ყველას.

— დადეშქელიანს მოწიწებით ვაუწყეთ ჩვენი დამორჩილება. ჩვენი მოწვევაც მიიღო იმან. მაგრამ მაინც გული არ ენდობა და მოითხოვა ძველები გამომიგზავნეთ ოცი რჩეული ვაჟკაცი და მათ შორის უშგულის მამასახლისის შვილიცო.

ხალხი შეირყა.

მამასახლისი ყველას მედიდურათ გადაავლებს თვალს.

— რას იტყვით ხალხო, ხმა ამოიღეთ?

ხალხი ერთბაშათ ამღელვა-ოდა. ლომების გრგვინვაც არ იქნებოდა ისე ძლიერი, როგორიც იმათი შეძახილი.

— ცოცხალს ვერავის ჩაუგდებ... ხელში!

— იქ მძევლად ვისმეს გაგზავნა, ეს ხომ ყველას სიკვდილს ნიშნავს!

— მაშ ისევ ვიბრძოლოთ!

— იარაღი ავისხათ ყველამ! და ვეკვეთოთ, როგორც ცოფიან ნადირს.

— რაღას ჰოჭმანობ ჭკუანაცადო მოხუცო?

კარგა ხანს კიდევ გაისმის ალიაქოთი. მუქარა და ბრძოლის ხმები.

მამასახლისი ისევ აიმართა დედა-ბოძივით ხალხის შორის. ყველა სმენათ იქცა.

— ხალხო, ოცი კაცის სიკვდილი სჯობია, თუ ასისა და ათასის?

— ნებით ოცის სიკვდილს, ბრძოლაში ათასის სიკვდილი სჯობია!

მამასახლისი წარბს არ იხრის:

— ვინც მძევლათ წავა უეჭველად ხომ სიკვდილს არ ელის! ბრძოლაში ბევრი დაიღუპება და ზარალიც დიდი იქნება. ჩვენ მარტო შემოვიტყუოთ დადეშქელიანი. თავი გავაგდებინოთ. შემდეგ კი უიმისოთ ველარავინ გაბედავს

ჩვენთან შებრძოლებას. დადეშქელიანს ალბად მხლებლები წამოჰყვებიან. ისინი ცოცხლად დავსტოვოთ და მერე იმათით გამოვისყიდოთ ჩვენი მძევლები. ჩემი შვილი იქნება პირველი მძევალი. აბა ოცი ვაჟკაცი სხვა ვინ იქნება, რომ უშიშრად წარსდგეს მტრის ბანაკში?

— რადგან ეგრეა, მაშ მეც წავალ!
— მეც წავალ!
— მეც!
— მეცა!
— ვინც თანახმაა მძევლად წასვლაზე, განზე გადექით.

აქ თითქოს ერთმანეთის დასწრებით ყველა გადიოდა განზე და ბოლოს მთელი ხალხი გადადგა მეორე მხარეს.

მამასახლისი ატლაცებაში იყო.

— ვინ დაამარცხებს თავისუფალ სვანეთს, როცა მთელი ხალხი მზათ არის საბრძოლველათ და თავგასაწირათ! მაგრამ, ხალხო, ოცი კაცია საჭირო, მხოლოდ ოცი კაცი! ახლად გადმოვიდეს განზე, ვინც თანახმაა მძევლობაზე!

— ჩვენ ყველანი მზათ ვართ!
— ყველანი!
— ყველანი!

უშგულის მამასახლის კი უნდა, რომ სწორედ მისმა ტყვიამ გაურღვიოს გული დადეშქელიანს.

ხალხში დიდი ალიაქოთი გამოიწვია ამ ცილაობამ.

— არა, მე მინდა მოვკლა!
— ის ჩემზე მეტი რითია!
— მე ვიზე ნაკლები ვარ!
— განა მე კი არ მიყვარს თავისუფალი სვანეთი!
— მე არავისზე უკან არ დავდგები ასეთ საქმეში!
— აბ მე რაღა ლაჩარი მნახეთ!

ასეთ აყალ-მაყალში კინაღამ სისხლამდი მივიდა საქმე.

მსხნელათ და მომრიგებლათ ისევ მამასახლისი გამოვიდა.

ხალხო და ჯამაათო, რადგან ყველას ენატრება დადეშქელიანის სიკვდილი, მაშ მოდი ასე გადავჭრათ საქმე.

ხალხი გულმოდგინეთ უსმენს.

— ყველამ თავის ტყვიას ჩამოაჭრას თითო ნათალი. ამ ნათლებიდან ჩამოვასხათ მთლიანი ტყვია და ასე ყველას ექნება მონაწილეობა დადეშქელიანის მოსაკლავ ტყვიაში.



ქართულ № მსროლელ დივიზიის უფროსი ამხ. პ. ალნიაშვილი (შუაში), პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. გ, მარქაროვი (მარცხნივ), შტაბის უფროსი ამხ. ა. გედევანიშვილი (მარჯვნივ)

და თანდათან ისევ მთელი ხალხი გადავიდა მეორე მხარეს.

მამასახლისი ღელავს.

— რამდენიც ვაჟკაცია, იმდენიც ციხეა თავისუფალ სვანეთში! თქვენ კი გენაცვალეთ ეხტიბარში! რომელი დადეშქელიანი დაიმორჩილებს თქვენისთანა ლომ-გულებს!.

— მაგრამ, რადგან ყველა ცილაობს მძევლობაზე, მაშ მეტი ჯანი არ არის კენჭი უნდა ვყაროთ, თუ ვის ერგოს ეს რაინდული და საპატიო მოვალეობა ჩვენი ქვეყნის წინაშე!

კენჭი ჰყარეს და გამორჩეული ოცი ვაჟკაცი უშგულის მამასახლისის შვილის მეთაურობით გაუდგენ ბეჩოში დაბანაკებულ ფუთა დადეშქელიანისკენ.

უშგულში კი ხალხი შეუდგა მზადებას თვით დადეშქელიანის „შესახვედრათ“.

—:—

მაგრამ ხალხში სადავოთ გადიქცა:

ვინ უდა მოჰკლას დადეშკელიანი?

— ვის უნდა მიეცეს უპირატესობა?

სულ ყველა ეცილება ერთმანეთს ამ მოვალეობაზე.

ხალხი ალტაცებაშია ასეთ გადაწყვეტით.

ყველა აჭრის თავის ტყვიას თითო ნათალს, ზოგიერთი აჭარბებს გულმოდგინეობაში და სქელ-სქელ ნაჭერს ათლის.

ეს ყველას შემოწირული ნათლები გადაადნეს და ჩამოასხეს მთლიანი ტყვია. მხოლოდ ეს ტყვია იმოდენა გამოვიდა, რომ ვერც ერთი თოფის ლულა ვერ ჩაიტევდა.

ახლად გადაადნეს, დაჰყვეს შუაზე და ისე ჩამოასხეს ზომიერი ტყვია.

მაგრამ ვინ უნდა ესროლოს?

უმთავრესი სწორედ ეს არის: ვის მარჯვენამ უნდა მოუღოს ბოლო თავისუფალ სვანეთის დაუძინებელ მტერს?

აქ ისევ ახლად გაჩნდა ცილაობა: არა ჩემია კუთვნილი და არა ჩემიო.

— მე საუკეთესოდ ვიცი მიზანში სროლა!
— მე გაჭენებული ცხენიდან გაფრენილი ქორისთვისაც არ ამიცდენია ტყვია!
— მე რამდენი ჯიხვი მომიკლავს კლდიდან-კლდეზე გადახტომის დროს!

ყველა თავმომწონეობს. ყველა იჭადის პირველობას.

ყველას ენატრება, რომ მის მარჯვენმა გაუგმიროს გული ფუთას.

აქ გაჭირვების ტალკვესათ ისევ მამასახლისი გამოდის.

— ხალხო, აქაც არის საშველი! საფარიდან დამიზნებულ თოფის ჩახმახს გამოვაბამთ გრძელი ბაწარი და იგიც დაბრძანდა დიდის დიდებით და გარშემო კი მხარს უმშვენებდენ მისი მორთულ-მოკაზმული მხლებელნი. დანარჩენ სუფრაზე კი ჩამწკრივებულან თავისუფალ სვანეთისა და უშგულის რაინდები. მათ ხელიდან ხელში გადაუქიმია თავისი თოფის ჩახმახიდან გამოყოლილი ბაწარი.



ქართულ №-მსროლელ დივიზიის შტაბის თანამშრომლები.

ყველა ოჯახის წევრმა მოჰკიდოს იმას ხელი. როცა კი სროლის დრო იქნება ისევ ყველა გამოსწევს ამ ბაწარს და ასე ყველას გექნებათ წილი მის მკვლელობაში.

—საუცხოვოა!

— ჭეშმარიტი სიტყვაა!

— ნამდვილი ბრძნული რჩევაა!

———:———

კვირაცხოვლობა დღეა.

უშგულის წინ აღმართულ გორაზე, ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში არა ჩვეულებრივი სამზადისია.

ასი მხარი სუფრა გაუშლიათ დადეშქელიანის შესახვედრათ.

ჩქარა გამოჩნდენ შიკრიკებიც, რომ მობრძანდება ფუთა დადეშქელიანი თავისი ორმოც-კაციანი ამალით.

თავისუფალ სვანეთის თავმომწონე შვილებმა ახლათ დასინჯეს თავიანთი ხმალ-ხანჯალი. ყველაზე მეტი მოუსვენრობა კი უშგულელებს ეტყობოდათ.

გალავანში ჩაყოლილ საფარს უკან საგანგებოთ არის გამზადებული მუხის ჯირკზე ერთი უშველებელი თოფი. ასეულზე მეტი ვაჟკაცი შეხიზნულა იქ და ყველას ხელი წაუვლია გრძელ ბაწრისათვის. მაგრამ საფარში მთელი სვანეთის თავგამოდებული ხალხი ვერ დაეტია. ამიტომ ბაწრის ბოლო სუფრაზეც გამოატარეს, რომ ყველას ჰქონდა შეძლება, ხელი მოეკიდა მისთვის.

აგერ გამოჩნდა დადეშქელიანიც. მთებში ნახედნი თამამი ლურჯა მსუბუქად მოაქანებს მდეურ ვაჟკაცს გორის ვიწრო ბილიკაზე. უკან მოსდევს დარჩეულ პირთაგან შემდგარი ამალა. იმათ კი მოჰყვებიან თავისუფალ სვანეთის თოფ-იარაღში ჩასხმული რაინდები.

ხალხი მოწიწებით თავს უკრავს და წელში ილუნება.

საპატიო პირები წარსდგებიან და მორჩილებას უცხადებენ მთელი თავისუფალი სვანეთის სახელით.

ფუთა მედიდურია და ღირსეულათ იფერებს ამ ქედმოუხრელ ხალხის მორჩილებას.

— როგორც ერთად ერთი ბატონ-პატრონი მთელი სვანეთისა, ამიერიდან მე პასუხისმგებელი ვარ მხოლოდ ღვთისა და ქვეყნის წინაშე. დამწყეთ ყოველგვარი თავნებობა და გქონდეთ რიდი თქვენი კანონიერი ბატონისა! ღირსეულისათვის მე მუდამ ვიქნები უხვი და მწყალობელი, უღირსებისთვის კი—სასტიკი და ულმობელი! მაშ გაუმარჯოს ძლიერი ბატონისა და მორჩილი ყმების პირველ შეხვედრას.

ხალხმაც რაღაც ძლიერი ხმაურით გასცა პასუხი.

ჩასაფრებული ბიჭები ღელავენ და შფოთავენ. დადეშქელიანისთვის უჩინარ არიან იგინი.

მამასახლისმა სუფრაზე მიიპატიჟა მთავარი და მისი ამალა.

სუფრის თავში წამოდგა უშგულის მამასახლისი. ბებერი არწივივით განივრათ გაშალა შავი მკლავები და შესძახა:

— აბა, ბიჭებო! ეხლა კი წითელი ღვინო დაგვალევინეთ!

ეს იყო ნიშანი.

ყველას ხელში აბაგძაგდა ბაწარი. ციხიდანაც იგრიალა თოფმა და მკერდ განგმირული დადეშქელიანი საზარელი გმინვით გადავარდა გულაღმა.

თავისუფალ სვანეთის ამღელვრებული შვილები აწყვეტილ ლომებივით ეძგერენ ფუთას მხლებლებს და შეუდგენ იმათ ჟლეტას.

მხოლოდ მამასახლისის მეცადინეობამ გადაარჩინა თორმეტიოდე კაცი მძივლობზე გადასაცვლელათ.

ცოტა, რომ დაშოშმინდა ხალხი, შემდეგ ყველანი დასხდენ სუფრაზე და შეუდგენ სასიხარულო დროს გატარებას.

პირველ სადღეგრძელოს სვამს ისევ უშგულის მამასახლისი.

— ქრისტე აღსდგა! გიხაროდეთ, ვისაც გესმოდეთ, არა გესმოდეთ. პირსა და პირმეტყველსა. კაცსა და პირუტყვსა, ტყესა და კლდესა! ქრისტე აღსდგა. გიხაროდეთ! ნამდვილი აღდგომა მხოლო დღეს გაგვითენდა!

—:—

მეორე დილსვე დადეშქელიანის მეუღლემ გაიგო ქმრის სიკვდილი. გამოგზავნა მოციქულები, რომ გვამი მაინც წაისვენებინა მამა-პაპეულ ალაგის.

მოციქულები ჩქარა გაჩნდენ უშგულში.

როცა ისინი შეეკითხენ, თუ ვინ მოჰკლა დადეშქელიანი, მათ ირგვლივ შეკრებილმა მთელმა ხალხმა ერთხმათ იგრიალა:

— ის ხალხმა მოჰკლა!

— ჩვენ მოვკალით ყველამ!

გაოცებული მოციქულები ეკითხებიან:

— ყველა როგორ მოჰკლავდა?

ხალხი ისევ გრიალებს:

— ყველამ მოვკალით!

— ყველამ ჩამოვასხით ტყვია!

— ყველამ დავუმიზნეთ თოფი!

— ყველამ გამოვსწიეთ ჩახმახს!

— მკვლელი არავინ არის ცალკეთ!

— მკვლელი ხალხია!

— მკვლელი მთელი თავისუფალი სვანეთია!

და ხალხი სვანური დოშკებივით სწორათ და ამაყათ მისჩერებია სახტად დარჩენილ მოციქულებს.

ლევ. მეტრეველი.

# 5 წლის თავი

## საბჭოთა საქართველო

ეს ხუთი წელი რად არ უდრის
მთელ ათეულ წლებს?
ეს ხუთი წელი—სიცოცხლისთვის
ბრძოლის ეპოქა,
როცა მუშებმა შრომის დროშა
მაღლა აღმართეს.
როცა მუშებმა მტრებს შესძახეს:
„კმარა, გეყოფათ",
გამოაცხადეს საქართველო
საბჭოს ქვეყანად.
ვინ გადიტანოს დღეს ეს ხანა
ცოცხლად ტილოზე,
ვინღა დახატოს ეს სურათი
დღეს უნაკლულოდ?
ენა ვერ იტყვის, თუ მეშები
როგორ იბრძოდენ,
მათი ბრძოლა და თავდადება
იყო ზღაპრული.
ეს ხუთი წელი რად არ უდრის
მთელ ათეულ წლებს?
ეს ხუთი წელი სიცოცხლისთვის
ბრძოლის ეპოქა,
როცა მუშებმა ბრძოლის დროშა
მაღლა აღმართეს,
გამოუცხადეს მწვავე ბრძოლა
მოხუც ადათებს.
რომ საქართველომ აწარმოვა
ბრძოლა დიადი,
თავისუფლებას შეეწირა მსხვერპლი
რამდენი,
დღეს ამას მოწმობს საქართველოს
ტურფა მთა-ველი,
ამას მოგვითხრობს ჩვენი ბრძოლის
მემატიანე.
შენ ახალგაზრდა ამხანაგო!
ნორჩ პიონერო!
თავისუფლების დიდი დროშა
მედგრად რომ მიგაქვს,
მკერდს რომ გიმშვენებს
გამარჯვების
დიდი ორდენი,
თბილისის ქუჩებს რომ აყრუებ
ამ ბარაბანით,
იცი მუშებმა თუ რამდენი
სისხლი დაღვარეს,
ჩვენი მამები მიყვებოდენ
რომელ ბილიკებს,
რისთვის იბრძოდენ?
რად დამარცხდენ?
რად გაიმარჯვეს?
ამაზე გეტყვის ბელადების
დიდი ტომები,
ცოცხალ საუბრებს გაგიმართავს
მიხა, ფილიპე.

**კალე ფელდესიშვილი.**

# 25 თებერვალი 1926 წელი

დაიწყო ბრძოლა
ზარბაზნები
სჭექდა რგვინავდა,
მათ მთა და ბარი
ბანს აძლევდა
შეძრწუნებული
ცეცხლის ენებში
მეტყველებდენ
ხევები დრტვინავდა,
ბრძოლის ხანჯლების
ხმა ისმოდა
გამძაფრებული,
ლოდები ძირიდან
შეძახილად
იყო ქუხილი
მძლავრად გატყორცნილი
ერთმანეთისა
ესალმებოდა,
ტყვიის მფრქვეველნი
კაკანებდნენ
გამძვინვარებულნი,
სიკვდილის ცელით
კალო სიცოცხლე
ითიბებოდა
თოფები მწყობრად
ბანს აძლევდნენ
პირ აღებული,
ცეცხლს აწვიმებდნენ
და სიცოცხლე
შიგ იწვებოდა,
ფოლადი იყო
ბრძოლა შმაგი
ცეცხლ მახვილისა,
დაუნდობლობა
მძვინვარებოდა
არა ცხრებოდა,
დღე მზე არ სჩანდა
ღამე ძილვარეს
ვერა ვხედავდით
ვარსკვლავთ კრებულს
ფიზიკ უკვლოდ
დაფანტულიყო.
ცას დაჰკარგოდა
შემკობილობის
ტურფა ელ-ფერი
ლაჟვარდოვანი
შემოგზილი
შებოლილი იყო.
ცის ქვეშ კი ალი
გუგუნებდა
ალი ძლიერი
წითლად ჰფერავდა
საქართველოს
ცას კიდეებსა
ის რისხვით ფერს
ბოროტებს
შრომას დიდებას
შრომის დიდებას
შეპირდებოდა
და სიკვდილს
შერისხვა
ელვის სისწრაფით
ევლებოდა
აელვარებდა
და მოლალატეთ
მუხრს ავლებდა
სწამლავდა შხამით
ღირსეულებით
ჩრდილოეთით
და სამხრეთიდან
მოსწვევდა ცეცხლი
და მახვილი
თან მოჰყვებოდა.
თბილისი იდგა
ზეცით ჭირით
ლხინით გადამხდელი
სტუმარს მომავალს
მოთმინებით
ელოდებოდა,
მომავალს კი
ეკითხებოდა
აქაფებული
ძით სიავისგან
ახალი მზისკენ შეუბრალა
ის წითლდებოდა.
ტრფიალ პირმშვენი
მოლალატე
მის შვილთაგანი
ქვეყნის მცოდნე
განთვისუფლებისთვის
ემზადებოდა,
სტუმრობდა ალმშეულ
მისი წყალსა
სამშობლოთ მხარეს
თავ დაცვისათვის
ფიცით მხარეს

ესწრაფებოდა,
უკან სტოვებდა
განვლილ გზა კვალს
მიმონგრეულსა
ვერაგს მიმავალს
არაფერი
ენანებოდა.
მტკვარიც მოამბე
მოშხუოდა
მოდუდუნებდა
ნახულს და განცდილს
გულ დაწყვეტით
ყველ მხარეს ჰფენდა,
უამრავ ტყვიებს
და ყუმბარებს
აცეცხლებულსა
გულში იკრავდა
აგრილებდა
და აციებდა.
აორთქლდებოდა
ზეცით ნამათ
ესხურებოდა
და კიდით კიდეს
ვით შიკრიკი
ელინებოდა,
და ჩასძახოდა
მთა ბარს ტყე ღრეს
აღტკინებული
ჩემს აქ მოსვლამდის
საქართველო
გაწითლდებოდა.
ქვეყნის მოამბეს
უამრავი
ჰყავდა მსმენელი
მათგანს არც ერთს
ეს ამბავი
არ აკვირვებდა.
თბილისის ირგვლივ
ბრძოლა იყო
გაცხარებული
ერთი იხევდა
და მეორე
წინ მიიწევდა.
ის ბრძოლა იყო
ხელ ჩართული

*

ღამეც სტყდებოდა.
ერთმანეთსა
გაჰკიდებოდნენ
დასავლეთისკენ
მიჰქროლავდნენ
გამალებული.
კარ გაღებული,
დედა ქალაქს კი
გაძარცვულსა
გალატაკებულს,
ძლევა მოსილი
მშრომელთ ჯარი
ეძალებოდა.
მოღლილი ღამეც
გადიხარა
განთიადისკენ
თოფ ზარბაზანი
ხმაურობდა
არა სცხრებოდა
მოპირდაპირე
გაებუტა
მოპირდაპირეს
ხმას აღარ იღებს
გააყურა
თოფ ზარბაზანი.

გვარდია გასტყდა
გამობრუნდა
იბრუნა პირი
უკან მოსდევდა
დაქსაქსული
საბრალო ჯარი,
ყველა მებრძოლმა
მიატოვა
ბრძოლისა ველი
ზურგს უკან ვაჰყრებს
გაშმელი ჰქონდათ
ჯაჭვურად ხელი
მხნედ სცდილობდნენ
მებრძოლთ უკან
დაბრუნებასა
გამოქცეულნი
არ ისმენდნენ
მათ ვედრებასა,
ღამე ჰკვდებოდა
განთიადი
ახლოვდებოდა
თანდათანობით
თოფ ზარბაზანის
ხმანი სწყდებოდა,
ჯარები მედგრად
მოიწევდნენ
ქალაქისაკენ
სოლოლაკის ხიდს
მოატანეს
ჩამოჰკრეს ზარი,
აგერ გაისმა
საზარელი
ტყვიათქეპის ხმა
ხიდს მკვიდრად ნაგებს
ნაღმა სტკიცა
სილა მაგარი.
ხიდი დაინგრა
გაზოდილი
მტკვარში ჩაეშვა
მდინარე შეკრთა
საშინელი
მორთო ღრიალი,
ეგონა ვინმე
უპირებდა
შეგუბებასა
მან მოიკრიბა
საბრძოლველად
ღონე და ძალა,
მძლედ გადალახა
გაიტანა
მდინარემ ლელო
ხმა მიმოჰფანტა
გაწითლდაო
დღეს საქართველო-
ის ღრიანცელით
მისცურავდა
გზას მიიკვლევდა
ნახულს გაგონილს
განცდილ ამბებს
ყველას ასმენდა,
რა ჩაუარა
აზერ-ბეიჯანს
წითლად შეღებილს
საქართველოსგან
მას გულ წრფელი
ჰკადრა სალამი.
წითელი ჯარი
გამარჯვებით
ეწვია თბილისს
ძლევა მოსილი წინ
მაუძღოდათ
ბრძოლის ალამი,
ალამი ბრძოლის,
სიყვარულის
თავისუფლების,
სურთ ერთა შორის
დაამყარონ
თანასწორობა,
კიდით კიდემდე

შეაერთონ
მშრომელთ ხალხთ
და ჩამოაშორონ
მტარვალობა
მუქთახორობა.
ზარით ზეიმით
შეუერთდა
კასპიისა ზღვასა
შეითამაშა
მის ტალღებში
ზვიადი გრძნობით,
გადაირია
შეითვისა
შეისისხლხორცა
ფართოდ გაშლილმა
გულ ახდილმა
მთებისა შვილი,
და შეუერთა
თავის ტალღებს
მისი სხეული
გადაიხადა
გულ ზვიადმა
ზვიადი ლხინი.
კიდით კიდემდე
მიმოჰფანტეს
აცნობეს ყველას
აღარ მიეცა
დასასრული
ტალღათ მოლხენას,
ნიავ ქარსაც კი
ავალებდნენ
ასმინე ყველას
რომ ცნობად ჰქონდეს
ეს ამბავი
მიწას და ზენას.
დედა ქალაქი
ღრმად ხნიერი
დარბაისელი
მკერდ გადახსნილი
მისულ შვილებს
იკრავდა გულში
გადაგვათენდა
და თბილისი
მთლად შეიცვალა
დაღვრემილობა
შიში კრთოლვა
გადაიყარა
გუშინ სხვა იყო
დღეს სხვა არის
იცვალა ფერი,
სასახლეზედა
ფრიალებდა
დროშა წითელი
უმანკო სისხლით
შეღებილი
ალის ფერადი
იგი ამაყად
ფრიალობდა
ჩაგრულთ მცველად.
თავ მიმოყრილნი
მის ქვეშ იდგნენ
ყველა ერთ ძენი
და ერთმანეთსა
შეჰხაროდნენ
ვით საყვარელნი,
ხელი ხელს ჰქონდათ
ჩაკიდული
ერთგულად ძმურად
აღარ უბღვერდნენ
განწყობილნი
ერთმანეთის მტრულად.

შაქრო ნავთლუღელი.



ქართულ № ცხენოსანთა ლეგიონის მთლიანი სურათი



# ქალის გული

ფაარი ხანუმ ახმად ალი ეზიმ, ალალარის ქალმა იცოდა, რომ სოფელში ლამაზ ქალის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ტან-დაბალი იყო, მაგრამ კოხტად გამოკვანწული. თეთრი კანი ლოყებისა ძალარიისაგან ოდნავ და ნაზად ჰქონდა შეყვითლებული. პატარა, შავი, მრგვალი მუდამ ეშმაკური სიდინჯით სავსე თვალები, მაცდურის ღიმილით იყო სავსე. ჭურბელასავით წვრილი, გადატკეცილი, შავი, აუფერტკნული წამწამები თავის სილაპლაპით თვალების სილაპლაპეს არ ჩამოუვარდებოდა. კოხტად იყო მოქნილი ეს წარბები. ეტყობოდა პატრონი უვლიდა მათ, საცხებლით ალამაზებდა და სტკეპნიდა, რომ უშნოდ არ აწეწილიყვნენ. წამწამები იმდენათ გრძელი ჰქონდა, რომ წარბებს ებჯინებოდა. შავი თმაც, წარბებივით ლაპლაპებდა და გადაცკეტილი იყო, ალბად იმავე მიზეზით. თმა შუაზე ჰქონდა გადაყოფილი და ისე იყო გადაგლესილი, რომ ერთი ბეწვიც არ შორდებოდა მათ და ცალკე არა ფრიალებდა. თეთრ, კოხტად მოყვანილ თითებს, გრძელი ჭუჭყით მუდამ გამოტენილი ბრჩხილები შავ არშიათ ჰქონდა შემოვლებული. სოფლის ჯეელი ბიჭები ნდომის თვალით უცქერდნენ, როცა სოფლის გზაზე გაივლიდა ხოლმე, წყალზე მიმავალი, ზურგზე სანაქ *) აკიდებული, ან მეზობელთან საციქველისათვის მიმავალი. ამ ქინიან ცქერას, არც ხანში შესულები აკლებდნენ ფაარი ხანუმს. ბევრს ენატრებოდა მისი დაჩემება, მაგრამ ეს ადვილი არ იყო; მისი მოარშიყენი ამბობდენ: ფაარი ადვილად არავის ჩაუვარდება ხელში, იცის თავისი ყადრი და საქციელის პატრონიაო.

ფაარი ქვრივი იყო. ერთი შვილიცა ჰყავდა, ორი წლისა. თითონ თექვსმეტის წლისას. თორმეტი წლის იყო ფაარი, როცა მამამ გაათხოვა და სამი წლის შემდეგ დაქვრივდა. ქმრის ხელში სამი წელიწადი იყო ფაარი, მაგრამ ამ დროში მან ცხოვრება ვერ იგემა. როგორი ბავშვიც გათხოვდა, ისეთივე დაქვრივდა და მამას დაუბრუნდა ოჯახში. სიცოცხლის სიტკბოება, სიყვარულის ძალა, სარეცელის სამოთხე ქმრის ხელში ვერ გაიგო. დაუკითხავად, უფიქრელად, ანგარიშით მიათხოვეს იგი უსუსურ საკუთარ მამიდაშვილს, ხნით მასზე ორჯერ დიდს, მაშინ, როცა, ფაარი ჯერ კიდევ საქალოდ არ იყო მოწეული. ქმრის სარეცელი მან სრულებით უგრძნობლად მიიღო და აგრეთვე უგრძნობი დარჩა მისთვის იგი. მამა ფაარისა, ახმად ალა სულთანოვი, თუმცა ალალარების ჩამომავლობისა იყო, მაგრამ ღარიბი. ბანქოს თამასში და ღვინის სმაში ადრე წაუვიდა ხელიდან ქონება და, როცა ქალები წამოეზარდნენ იმდენი აღარა ჰქონდა, რომ შვილები შეძლებულ ოჯახებში დაეთხოვებინა. ამიტომ, თუმცა ალალარმა, მაგრამ ალალართა წესის წინაალმდეგ თავის ქალები გლეხებს მიათხოვა. შეძლებულებსაც კა არ ირჩევდა სასიძოებათ; ოღონდ გათხოვების ხარჯებს გადარჩენოდა.

ფაარი თავის ქვრივობას სარგებლობდა და სოფელში უფრო თავისუფლად დადიოდა, ვიდრე გასათხოვრები დადიან. ბუნებითი სითამამეც ხელს უწყობდა ამაში, მამის მოხუცებულობაც, რომელსაც იმდენი უნარი აღარ ჰქონდა, რომ თავის შვილზე შესაფერი გავლენა მოეხ-

დინა და თავის მამურ, პატრიაქალურ საზღვრებში მოექცია შვილი.

ქვრივი ფაარი კი მეორედ გათხოვებას ჰფიქრობდა, თექვსმეტი წლის ქალი გაუთხოვარი ვერ დარჩება. ან ვინ დასტოვებს მას. მისი სილამეზე თავდები იყო იმისი, რომ გათხოვდებოდა. მას გათხოვება მხოლოდ იმიტომ სურდა, რომ საჭირო იყო. ღარიბ მამის ოჯახში არ იქნებოდა ყოფნა და არც სასარგებლო იყო. რად დარჩენილიყო აქ, როცა შეეძლო შეძლებულ ოჯახში ეცხოვრა? მას ქმარი უნდოდა კარგი ცხოვრებისათვის, ჩაცმა-დახურვისათვის, სიღარიბიდან ამოსვლისათვის. სხვა მიზანი მეუღლეობისა მისთვის არ არსებობდა. ბავშობით გათხოვილმა ვერ გამოსცადა სიტკბოება მეუღლეობისა, უდროო-დროთ და უსურველად სარეცელის განცდა. მისთვის უბრალო გრძნობად იქცა და სიყვარულის კარი დაეხშო. იგი გაზრდილი იყო ისე, რომ მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა ჩანერგილი: ქმარმა უნდა აცხოვროს ქალი, ქალმა უნდო მისცეს თავისი სხეული და სილამაზე. ამიტომ იყო, ფაარი რომ ჰფიქრობდა:

— აფსუსია, ჩემი სილამაზე ერთ ღარიბს ჩაუვარდეს ხელშიო.

— ფაარი ხანუმ!—მოესმა ერთხელ ფაარის, სალამო ხანს, როცა შინ მიდიოდა იგი, თავის დასთან ნამყოფი და ბავშიც ხელში ეჭირა.—ეს ამბავი სოფლის გზაზე მოხდა, დიდ თუთებთან. ფაარი შეჩერდა, ბავში გულზე მიიკრა, შუბლი შეიკრა, თუთებისაკენ მიიხედა გაჯავრებულმა და უსიტყვოდ, უპასუხოდ გაიარა. თუთებს კი ერთი მაღალი, კოხტა ბიჭი მოშორდა და ნელი ნაბიჯით მეორე მხარეს წავიდა. ეს იყო თათი, სპარსელი, შუქურ ალი ოღლი, სოფლის მევალე. მამა მისი, ალი ბაბა ოღლი, სპარსეთიდან გადმოსახლდა ამ სოფელში, აქვე შეირთო ცოლი და აქვე მოკვდა, ისეთივე ღარიბი, როგორიც მოვიდა, თუმცა მთელი თავისი სიცოცხლე აქ დალია, ნესვისა და საზამთროს მებოსტნეობაში. შუქურაც მებოსტნედ დარჩა, მამის ხელობაზე. მაგრამ მამის სპარსულ ხასიათის საწინააღმდეგოდ. მას დედის ხასიათი დაჰყვა—ბორჩალოელის დიდგულობა, ამაყობა. მამის ხელობას, მან სოფლის ყარაულობა და მევალეობა მიუმატა. კომლზე გასამრჯელოს წელიწადში თითო ფუთ ხორბალს იღებდა, ორ წყვილ ქალამანს და ერთ ხელ ტანისამოსს. სასოფლოდ თოფიც ჰქონდა მიცემული, და იმ ხელისუფლებასთან ერთად, რომელსაც მას მისი თანამდებობა აძლევდა, ეს თოფი იყო ის ანდამატი, რომელმაც შუქურას მევალეობა უმთავრესად ასურვებინა. თოფი ხომ ერთი საამაყო ნივთია ბორჩალოელისათვის. სავაზნე შემორტყმული, თოფით ხელში ამაყად და თამამად დაიარებოდა ლამაზი შუქურა, ანუ თათ შუქურა—სოფლად. ყველა პატივით ეკიდებოდა მას, რადგანაც სოფლის მოსავლის ბედი მის ხელში იყო: ვინც მას აწყენინებდა, იმის პირნახულს საქონლისაგან გათელვა არ ასცდებოდა. შუქურა ლამაზი იყო, მაღალი ტანისა, სავაზნე წელზე ქამრად ჰქონდა შემოჭირებული და მისი მოყვანილი ტანი კორსეტ ჩაცმულსა ჰგავდა. დიდრონი შავი თვალები ჰქონდა, მსხვილი შავი წარბები და პატარა, ახლად აყრილი ულვაშები. რა კი თანამდებობის კაცი იყო—კარგი სასიძო იქნებოდა, გადმოხვეწილის შვილი, რომ არა ყოფილიყო.

ამ საღამოს, შემთხვევით, შეხვდა ფაარის შუქურა თუთებთან და გაბედულად დაუძახა სახელი. სოფლის სხვა ბიჭებივით იმასაც ეჭირა თვალი ფაარიზე და უყვარდა კიდეც. დიდი ქურდის სახელი ჰქონდა შუქურას დავარდნილი თემში. სადაც რა დაიკარგებოდა, ცხენი თუ ხარი, ან თუ ვისმეს ბეღელი ან სახლი გატყდებოდა, ყველა შუქურას შეხედავდა: ან ის უნდა ყოფილიყო ქურდი, ან მას ეცოდინებოდა ვინ იყო, რადგანაც მთელს ღამეებს სოფელს და მინდვრებს გარს უვლიდა და ეუჭველად შეხვდებოდა ქურდებს. რამდენიმეჯერ იყო ქურდობის თაობაზე დაჭერილი ციხეში შუქურა. ქურდობით ბიჭი არ დაიწუნება, ეს იცოდა შუქურამ. მაგრამ სიღარიბით კი, თათრის ყოველი ქალი დაიწუნებს, მით უმეტეს, ლამაზი ფაარი, თუმც გლეხის ნაქვრივალი, მაგრამ მაინც ალალარის ქალი. მაგრამ ძველი გული თავისას ითხოვდა. მას უყვარდა ფაარი და თავის ბედის საცდელათ თუთებთან ხმა გასცა ქალსა.

შუქურამ დინჯათ გაიარა სოფელი და ქალის უპასუხობით გაბრაზებულმა სოფლის მეორე ბოლოში თოფის სროლა დაიწყო. ძაღლებმა ყეფა მორთეს. ხალხი სახლებიდან გამოიშალა. დუქნის წინ მოგროვდნენ მამაკაცები და ყაყანი დაიწყეს. შეიქნა სჯა-ბაასი. თუ რა მოხდა. დაუწყეს შუქურას ლანძღვა; მერე დაივიწყეს იგი, გადავიდნენ სხვა სალაპარაკოზე, გული ამოიოხრეს ლაპარაკით და სათითაოდ დაიშალნენ.

ფაარი კი შინ მივიდა ცოტა გაჯავრებული. რათ გაუბედა მას შუქურამ უტიფრობა.—ვინ თათი შუქურა, ვინ მე! რათ მოუნდა უკაცურ ადგილას ჩემი სახელის ხსენება?—ფიქრობდა ფაარი. მაგრამ შუქურას სილამაზე, რომ მოაგონა, ვაჟკაცური ტანი, ჩასხმული მხარ-ბეჭები და სავაზნე შემოკრული. გაწყობილი წელი ეამა. გული კი მისდიოდა. რათ გამიბედთო. გლეხის ნაქვრივალი ვარ, კარგ გლეხს არც ეხლა დავიწუნებ ქმრად, მაგრამ თათის ფეშქეში კი არ გავხდებიო. იმ დღეს დუქნის წინ იდგნენ ბიჭები. წინ, რომ გამოიარე შუქურამ ჩალაკა უთხრა და ბიჭებმა სიცილი დაიწყეს. ალბათ დამცინეს განა მე იმისი დასაცინი ვარ?

ფაარის გულში ლვარძლი ჩაუდგა. მაგრამ ამავე დროს იმისი ინტერესიც, თუ რა უნდა მისცენ შუქურას. იქნებ უყვარს კიდეც შუქურას? საკვირველი რა არის?—სკივრიდან პატარა სარკე ამოიღო. ჩაიხედა შიგ, წარბებზე ხელი გადისვა და სარკე ისევ შეინახა მეორე ოჯახს დაუწყო მოვლა: რძე აადუღა. ბავში დააბინავა. საქათმის კარი გამოხურა. სახლი და ეზო-ფანი გადაგავა, ძაღლი აუშვა და სულ კი იმის ფიქრში იყო. რაც გადახდა. ასეთი რამ მას ჯერ არ გადახდენია. მის სიცოცხლეში ეს პირველად გაიგონა მან უცხო კაცმა ნაქვრივალი. გულს ნადებათ ამოღებული ხმა. ბევრი რამ გაუგონია სიყვარულის ამბები. იცოდა, რომ სიყვარულისათვის ქალების გულისათვის კაცები ერთმანეთს ხოცავენ სალებს იტაცებენ. მაგრამ მას თითონ არ განეცადნა ესა. ეხლა კი მას ალეძრა ინტერესი იმ გრძნობისა. რომელმაც შუქურას გააბედვინა და სითამამით სახელი დაეძახებინა. ეხლა ეინტერესებოდა მას კაცის გულის ძგერა. რომელიც თითონ მან აღძრა. მამა კაცი, რომელიც მან პირველათ განიცადა, მისთვის გრძნობით უცხო იყო და სისხლით ნათესავი; მის ხელში იყო გაზრდილი ფაარი, ეხაც მას პირველათ უჩვენა და აჭამა ვნების ხილი. მაგრამ სიტკბოება მისი ფაარიმ ვერ განიცადა. თავისმა სინორჩემ და ნათესაურმა კავშირმა და ქმრის ულოლობამ შეუშალა ხელი ფაარის ამ სიტკბოების განცდაში და აქამდის ყრუ იყო მისი გული. სიღარიბეში ჩანერგილს აზრმა, რომ ქმარი საჭიროა მხოლოდ იმისთვის, რომ კარგად აცხოვროს ქალი, აქამდის დაჩრდილული ჰქონდა გულის ნებანი. დღეს კი უცაბედმა შემთხვევამ ფაარის გადმობრუნა საძირკველი და გაუღვიძა ის, რაც მას დაყრუებული ჰქონდა. ეს ახალი განცდანი მისი სულისა სიამოვნების ღიმილსაც ჰგვრიდა ფაარის, თან კი სიბრაზე მოსდიოდა, როცა ფიქრობდა, რომ შუქურა, თათ შუქურა, მას ბაზარზე დასაცინად ხდიდა ამხანაგთა შორის. ამიტომ იყო, რომ ფაარის გულში შუქურასდამი ინტერესთან ერთად ბრაზიც ედგა.—თოფის სროლის ხმა, რომ გაიგო შეეშინდა. ეზოში გავიდა და სოფელს დაუგდო ყური. სოფელში წივილ-კივილი არ ასტყდა. მაშ არავინ მოუკლავთ. დამშვიდდა და ისევ შინ შევიდა. ფაარი ისევ თავის ფიქრებში იყო, როცა დაბნელდა და მამა მისი შინ შემოვიდა. ქალს ვახშამი მოსთხოვა. ჩუსტები დაიხადა და ტახტზე მოიკეცა. ფაარიმ საჯის პური და არაყიან მოხდილი რძის ყველი მიუტანა. მოხუცმა უკბილო პირით დაუწყო ხმილ საჭმელს ცოხნა და წაიღუღლუღა:

— დონლუზ ოღლი, თათ შუქურ! *)

*) ჰაი შე მამაძაღლო შუქურა

— რა იყო?—შეეკითხა ფერ მკრთალი ფაარი. თვალებს ელვარება დაუწყო. ერთი წუთით ფიქრმა გაჰკრა. მამამ ხომ არ გაიგო რაც თუთებთან მოხდაო.

— ტყუილ-უბრალოდ თოფის სროლა იცის, ხალხს აფრთხობს.

ფაარის გუნებაში გაეცინა და თვალები გაუბრწყინდა. ამ სროლის მიზეზ მიხვდა. სწორედ აგრეა, უეცარია, გაიფიქრა მან—მაგრამ ძალიან საინტერესო იყო ამ სიყვარულის გამოცხობა. ყველაფრის დაწვრილებითი გაგება.

ფაარის ერთი კვირა კარში გასვლა არ მოუხდა. სულ შინ იყო და თათ შუქურაც დაავიწყდა და მისი ამბავიც. ზაზამ სხვა ახალი ამბავი მოუტანა: სოფლის მეწვრილმანე, მდიდარი ასსადა ფაარის ცოლად თხოვნას აპირებდა. ასსადა შეძლებული კაცია. სოფელში იმისთანა მდიდარი არავინ არის. ეს არის სწორედ ის, რაც ფაარის და თითრის სხვა ქალების იდეალს შეადგენს. ამ გარემოებამ მთლად დაჰთარა ფაარის ყოველივე აზრი. მას უნდა გადაეწყვიტა ახალი საკითხი: ასსადას კარგი საქმროა მდიდარი. მის ცოლობას ყველი ქალი ინატ-

თავის შვილს ფაარი იქ ვერ მიიყვანს, ადათი არ არის. ცოლი. ხომ არ მოუსვენებს უცხო ბავშს. ჯეეზი (მზითევი) არ ათხოვინა ასსადისა, ურვადს კი მისცემს ახმად ალასა. ფაარის მამა ისეთი კაცი არ არის, რომ არას გამორჩეს ცხოვრებას, თუ სადმე რამე შეიძლება. რა უნდა ექნა ფაარის? ხომ არც კი დაეკითხებიან მას, აილებენ და ისე გაათხოვებენ. როგორც პირველად. რა კი ნაქვრივალია. შეეკითხებიან, მგრამ მის ჰოსა და არას დიდ ყურადღებას არ მიაქცევენ. ასსადას დამოყვრება ფაარის ნათესავებს ყველას გაუხარდებათ, ამიტომ ფაარიმ იცოდა. რომ ასსადამ ერთი, რომ გამოსთქვას თავის სურვილი ფაარის შერთვისა, აღარ მოუსვენებენ და მიათხოვებენ. დიდი სიმაგრე და გამჭრიახობა უნდა ქალს. რომ თავის უნებურ გათხოვებას გადარჩეს. წინააღმდეგობის გაწევას არაცა ფიქრობდა ფაარი. ასსადას სიმდიდრე თავდები იყო სიღარიბიდან ამოსვლისა. მაგრამ დანარჩენი, რაც ფაარის მოელოდდა ასსადას ოჯახში ძალიან აშინებდა ფაარის. ამიტომ ქალის ჰაბუკ გონებაში ერთბაშად აირია ყველაფერი: სიმდიდრეც, სიღარიბეც, შვილიც, ბებერი საქმროც, მისი აეი ცოლიც და ვერა გადასწყვე-

## გაზ. ,,მუში ‘-ს № 1000 გამოსვლის გამო



გაზეთ „მუშის“ რედაქციის შემადგენლობა. X „მუშის“ რედაქტორი—პავლე მ. საყვარელიძე

რებს, მაგრამ მეორე ცოლად მიჰყავდა ასსადას ფაარი და ეს უკლავდა გულს ფაარის. პირველ ქმრისა იგი პირველი ცოლი იყო და ახლა როგორ უნდა ჩამოქვეითებულიყო. ასსადას პირველ ცოლს სოფელში ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, ავი ადამიანისა. ბებერი. თითონ ასსადაც ორმოცდაათი წლის კაცი იყო. ხუთი შვილიცა ჰყავდა. ამისთანა ოჯახში შესვლა ლამაზის, ჭაბუკის ქალისა სასიამოვნოს არას მოასწავებდა მისთვის. და ფაარის წინ დიდი საკითხი დაისვა გადასაწყვეტი: გაჰყვეს თუ არა.

ვინ იცის თითონ ასსადაც იკისრებს თუ არა და იმისთა რა. —ამბის გასაგებად, გულის დასამშვიდებლად, რჩევისათვის ფაარიმ დას მიმართა. ამ დას ჰყავდა გაზრდილი ფაარი დედის სიკვდილის შემდეგ და ეს იყო მისი მესაიდუმლე, დამრიგებელი, მოყვარული, განებივრებელი. იცოდა ფაარიმ, რომ და გაუწყობდა საქმეს, მის უნებურად ვერც თვით ფაარი გათხოვდება და ვერც სხვა გაათხოვებდა მას.

მოირთო ფაარი და წავიდა მასთან. ფიქრში გართული აჩქარებით მიდიოდა ფაარი, თავ-ჩალუნული, როგორც წესია, რომ უტიფრობა არ შეეწამნა არავის, ან უსირცხვილობა. თავზე დიდი ქალალდი ეხვია; ქალალდის ერთი ყური ბეჭებზე ჰქონდა ჩაფენილი და ყელზე ჰქონდა შემოხვეული. თმა ქალალის ქვეშ შუბლთან უჩენდა და სალამოს სინათლეზე ფაარის თვალებთან ერთად ბრწყინავდა. ეთბაშად, თავისდა უნებურად, რიღაცის ძალით თავი ასწია ფაარიმ და თვალებში შუქურა კი შეეხეხა. უცბად მოაგონდა ფაარის ამ ერთი კვირის წინედ განცდილი ამბავი; მაშინდელი ფიქრები და გრძნობები გაეღვიძა. ეს შეხვედრა თითქოს პასუხი იყო იმ საკითხისა, რომლის გადასაწყვეტად ფაარი ეხლა აჩქარებული დასთან მიდიოდა. ფაარის ისევ აღეძრა შუქურადმი ინტერესი და არც თუ ნებსით, არც უნებლიეთ, ალერსით გაულიმა შუქურას. თვალებმა ნაპერწკლები გადმოჰყარა. შუქურამაც გაულიმა, თუმცა იგი შეაკრთო ამ მოულოდნელმა ღიმილმა. შუქურამ ალერსიანი ღიმილი ყოვლის თანხმობის ნიშნად ჩასთვალა, გაიხარა, ულვაშებზე ხელი გადისვა და მიმავალ ფაარის თვალი გააყოლა.

ფაარის დას უივე სცოდნია ყველაფერი. მამასაც ეთქვა მისთვის და დედაკაცებისაგან გაეგონა. მისი სიტყვით, მართალი გამოდგა ის, რასაც ფაარი ჰფიქრობდა: ასსადა შეძლებული კაცი ყოფილა, მისი პირველი ცოლი ავი დედაკაცი; ასსადას ხუთი შვილი ჰყოლია, რომელთაგანაც ორი უფროსი ფაარის ქმრებად გამოდგებიან და არა შვილებად. თითონ ასსადა ოჯახის კარგი პატრონიაო, უთხრა დამ, უყვარხარო, და ამიტომ ანგარიში არ წაგიხდება, თუ გასთხოვდებიო.

— ბებერი რომ არის? ჩოფურაა!—წამოიძახა ფარიმ.

— მერე რა! ქონება აქვს. ერბო-ყველითაა სავსე. ისეთ კაბებს შეგიკერავს, რომ ჭრელ პეპელას შერცხვეს.—უპასუხა დამ.

— მე ძალიან ჯეელი ვარ და ის კი ბებერია.—გაიმეორა თავისი აზრი ფაარიმ.

— ქმარი ბებერი უნდა და სიყვარული ჯეელი!—სიცილით უთხრა დამ და თავში ჩაჰკრა.—პირველი შენ ხომ არა ხარ. წინა ქმარი კი ჯეელი გყავდა? ფარი ჩაფიქრდა, მართლაც და მისი ქვეყნის ქალები ასში ოთხმოცი თხოვდება ჭაბუკი ბებერ ქმარზე. აქ რა არის საკვირველი! განა თითონაც პირველად, რომ გათხოვდა, თავისზე ორჯერ უფროსი კაცი არ შეხვდა ქმრადა? ასეთია ადათი. მაგრამ ფაარის გულს რაღაც აწუხებდა. გასამართლებელი საბუთი ბევრი იყო, მაგრამ ფაარი ვერ ურიგდებოდა. დერეფანში ბოძს მიყუდებული იდგა ფაარი, დასცქეროდა ცეცხლს, რომელზედაც მისი და რძეს ადუღებდა და ფიქრობდა. მოაგონდა შუქურაც, ის რაც განიცადა შუქურას გამო. თავის-თავი მდიდარ ასსადას ცოლად წარმოიდგინა, შეადარა ასსადა შუქურას, ერთ ღარიბს და უთვისტომოს, მაგრამ ლამაზს და უფრო აერია გონება ეტყობოდა ასსადას ცოლობა მას არ ასცდებოდა მაშინ შუქურა იკარგება და თუ არ იკარგებოდა? ერთბაშათ მოუნდა მას შუქურას ნახვა. გამოცდა მისი გულისა. მასთან ლაპარაკება.

— ზოხრა!—მიუბრუნდა ფაარი დას.—თათ შუქურას დამიძახე, შენი ბიჭი გააგზავნე. სიტყვა მაქვს.

— შენ იმასთან რა სიტყვა უნდა გქონდეს, თუ არ იმის მეტი, რომ ლამაზია და ქურდი.—გაიკვირვა ზოხრამ.

ფაარი შეკრთა. მიხვდა, რომ გულს ნადები უნებურად გასცა და თავი იხსნა:

— არა. იმ დღეს აქედან რომ მივდიოდი თუთებთან დამხვდა და სიტყვა გამიბედა—სახელი დამიძახა. ეხლა პასუხი მინდა მოვთხოვო. სხვაგან სად შევხვდები, თუ არ შენთან.—უპასუხა ფაარიმ. მერე თავის დისწულს მიუბრუნდა, პატარა ბიჭს და უთხრა:

— ჰასან, წადი თათ შუქურას დაუძახე. დედა გეძახისთქო.

— მოვიდა შუქურა. საცემრად დაჭერილ კატასა ჰგავდა. აღალარები ამოაგდებენ, თუ გაუგეს, რომ მათ ქალს რამე გაუბედა. ფაარის დანახვაზე შუქურამ [illegible] გაიგნო გონება: თუ დასატუქსად მეძახიან, წელანდელი ღიმილი რაღა იყო, თუ არა და სხვ რა უნდა იყოსო.—ფაარიმ დაინახა თუ არა შუქურა, გულმა კანკალი დაუწყო, გაწითლდა, შინ შევიდა და დას უთხრა:

— ზოხრა! წადი და შენ დასტუქსე. უთხარ აღარა გამიბედოს რა, თორემ მოვაკლევინებ. ხომ იცის, ერთი ეუთხრა ბიძაშვილებს და აალაგებენ.

ზეხრამ ძალიან დატუქსა შუქურა, გულიანად გამოლანძლა, დაემუქრა და ფაარის სახელის ხსენებაც კი აუკრძალა.

დარცხვენილი, სიამაყე შელახული გაბრუნდა

შუქურა. თოფი მხარზე გაიდო და გადააფურთხა: დედაკაცმა გალანძღა! ვაჟკაცი, რომ ყოფილიყო ზოხრა, იქვე გაათავებდა, მაგრამ დედაკაცს რას უზამს კაცი.

— აღალარები არიან და თავს იზვიადებენ.—გაიფიქრა შუქურამ და ერთი მაგარი სიტყვით გაილანძღა.

სრულმა ერთმა თვემ განვლო და შუქურა აღარ შეხვედრია ფაარის. გზაშიც ერიდებოდა: სადაც შეხვდებოდა გზას უქცევდა. ტოლებში კი უწმაწურობას ამბობდა ფაარის შესახებ. გულში კი სამაგიეროს გადახდის გეგმას საზრისობდა: ან ძროხას დაუკლავს ტყეში ჩუმად ფაარის მამას, ან თივას დაუწვამს. ან არა და ფაარის ბიძაშვილების ბოსტნებში საქონელს შეუშვებს.

ფაარიმ შეამჩნია შუქურას გულის გაგრილება. მიხვდა მიზეზს. მან კარგად გაიგო ზოხრას სიტყვები, როცა იგი შუქურას სტუქსავდა. იცოდა, რომ ამ დატუქვსის მერე მიანება თავი მას შუქურამ და ფაარის მისდამი ინტერესი გაუორკეცდა. იგი ხედავდა, რომ ხელიდან ეცლებოდა იმ ახალი გრძნობის მიზეზი, რომელიც ამ ერთი თვის წინედ ჩაუდგა მას გულში და, რომელსაც გალვიძება ჯერ ვერ მოესწრო. ფაარი ჰკარგავდა იმა, რაც ჯერ ვერ ეპოვნა, რაც უნდა ეპოვნა, რაც საჭირო იყო მისთვის. მას უნდოდა ჰყოლოდა შუქურა, მოყვარული შუქურა და გამოეცადნა სიყვარული. მისთვის უკვე საჭირო იყო სიყვარული, მეტადრე მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ გათხოვდება.

ერთხელ კვლავ უცაბედ შეხვდა ფაარის შუქურა და ისევ ისეთი მოალერსე ღიმილით შეხვდა მას ფაარიმ. მესამე შეხვედრაზე ფაარიმ შუბლი შეუკრა. იგი ქალურ ინსტიქტით მოქმედებდა და გულუბრყვილო ბიჭს აღიზიანებდა. მესამე შეხვედრა წყაროზე მოუხდათ: ფაარი სანაქით მივიდა წყაროზე, შუქურა წყალს დასწაფებოდა და სვამდა. ფაარი უკანიდან მიადგა შუქურას ისე, რომ მან ვერ გაიგო. შუქურამ წყლის სმა რომ გაათავა და მობრუნდა, შეკრთა: ფაარი მას ცხვირ წინ ედგა. წყაროს წინ ქვებზე იდგა გალაჯული შუქურა და ვერც გზე ეპოვნა, ვერც განძრევა მოეხერხებინა.

— ფაარი?—უნებურად წამოიძახა მან.

— ფაარი, ხანუმ!—გაჯავრებით გაუსწორა სიტყვა ფაარიმ. შუქურა ქვიდან ქვაზე გადახტა და წყაროს მოშორდა, შუბლი შეიკრა, სველი ხელები ღლიებში ამოიწყო და წავიდა. ფაარიმ თვალი გააღევნა და გულის ძგერა იგრძნო. ძალიან მოხდენილი იყო შუქურა, ძალიან ჭაბუკი და თავისუფალი იყო ფაარის გული, და როგორ არ აძგერდებოდა. მის სხეულის დაპატრონება შეეძლოთ ქმრებს, მაგრამ გული კი თავისუფალი ჰქონდა. წკრიალით ივსებოდა ლითონის კოკა ცივი წყლით და წკრიალით შედიოდა ფაარის გულში ახალი გრძნობა. კოხტად მოიგდო სავსე სანაქი ზურგზე ფაარიმ. თოკებით დაიბა და შინ წავიდა. გზაში ისევ დაინახა შუქურა: ქვაზე ფეხი შეედგა და ტოლალებს ისწორებდა. ფაარიმ გვერდით გაუარა და ჩურჩულით, შუქურას გასაგონათ კი წამოიძახა:

— ვახშმის შემდეგ ფაარი თავიანთ ბოსელში იქნება.

შუქურამ პირი გააღო, თავი ასწია და მიმავალ ქალს გააყოლა თვალი. ჯერ ვერ მიხვდა მისი სიტყვების აზრს, მაგრამ, როცა მიხვდა შეფიქრიანდა: მას ვერ გაეგო ფა-

არის საქციელი. ან რად გაალანძღვინა იგი ზოხრას, ან რად შეუტია წყლან. ან ეხლანდელი პაემანის დანიშვნა რასა ნიშნავდა. საპაემანოდ კარგი ადგილი იყო დანიშნული: ახმედ ალის ბოსელიც და სახლიც სოფლის ბოლოს არის. დამნახავი არავინ იქნება. ღამეც უმთვაროა. ბოსელში საქონელი არ არის. საძოვარზეა. ფაარის მამა დაიძინებს და ვერას გაიგებს. ამ თვალსაზრისით ყველაფერი კარგათ არის მოწყობილი; მაგრამ თვით ამ პაემანის დანიშვნა დამაფიქრებელი იყო. რაში მოუნდა ფაარის ესა. ან, თუ პასუხი გასცა ჭაბუკის გულს, ან თუ მახეს უგებს. ზოხრას სიტყვები ამ მხრით საგულისხმო იყო. იმ ადგილას ადვილია კაცის მოკვლა. ფაარის შეუძლიან შეატყუოს და მერე ბიძაშვილები დაასხას თავსა. ფაარიც ეხლა ვერაფერს გაჰბედავს. ზოხრამ უკვე იცის ყველაფერი და ფაარის, რომ გაუგონ, იმასაც კარგი დღე არ დაადგება იმავ ბიძაშვილებისაგან, მეტადრე ეხლა, როცა მას ასსადა თხოულობს. სიმართლე ვერ გაიგო შუქურამ. გული კი ძალიან აუტოკდა. იმ დღეს შუქურამ მოსვენება ვეღარა ნახა. მთლად შემოიარა თავისი საყვარელი ადგილები. უთავბოლოდ დაეხეტებოდა და ფიქრობდა. შიში და სურვილი იბრძოდა მის გულში. მაგრამ დღე, რომ ილეოდა, მისი შიშიც ილეოდა. ღამის მოახლოვებასთან ერთად, პაემანის ჟამის მოწევასთან ერთად სურვილი უფრო უცხოველდებოდა. სიყვარული და ვაჟკაცური ჟინი სჯაბნიდენ მის შიშს. მზემ რომ გადაიხარა, შუქურა გორაზე ავიდა, იქ ბუჩქებში ჩაჯდა და ახმად ალის სახლს დაუწყო თვალიერება. აქედან გამოჩნდებოდა, მიიყვანდა ფაარი სახლში ვისმეს და დამალავდა, თუ არა. მაგრამ ღამდებოდა და იქ უცხო არავი სჩანდა. ხუთი საათს იჯდა თავის სამალავში შუქურა და დაღლილობა არ უგრძვნია. მხოლოდ მოუსვენრობა ემატებოდა. სიბნელესთან ერთად გაბედულებაც ეძლეოდა, როცა სულ დაბრუნდა და სოფელში ხმაურობა მისწყდა, შუქურა გორიდან სოფელში ჩავიდა, ახმად ალის სახლს მიეპარა, მის სიმინდებში შევიდა, ღობეს ამოეფარა და სულ-განაბულმა ახლა იქიდან დაუწყო ზვერვა. ფაარი რამდენჯერმე დაინახა სახლიდან გამოსული და მოსაქმე: ხან წყალი გადმოღვარა, ხან ბავში გამოიყვანა. ვახშმობაც დიდი ხანია გადავიდა. ღამის სიშავემ მთლად დაპფარა ქვეყანა. სახლში ჯერ ისევ შუქი იყო. ეტყობოდა ჯერ არ ეძინათ. სახლის კარი გაიღო და ოთახიდან ეზოში შუქი ზოლად გადმოწვა. ამ შუქზე კარებში ჩრდილი გამოჩნდა: გრძლად და რხევით გაეწონა მიწაზე, შეინძრა და წინ წამოვიდა. ეზოში ფაარი გამოვიდა და სიბნელეში სადღაც გაჰქრა. ცოტა ხნის შემდეგ მისი ხმა მოისმა:

— ბასსარ, ბასსარ!—ჯაჭვმა დაიჩახჩუნა, მწოლარე ძაღლი წამოდგა, გაიზმორა, შეიბერტყა და დაიწკმუტუნა.

— აჰა, ჭამე,—უთხრა ფაარიმ და ძაღლს მოშორდა. ჩრდილი ისევ გამოჩნდა განათებულ კარებში და ეზოში ისევ გაწვა. შემდეგ კი მიიხურა კარები და ისევ დაბნელდა.

— ძაღლი არ აუშვა. ძლივს—გაიფიქრა შუქურამ. ცოტა ხნის შემდეგ სახლში შუქიც ჩაქრა. შუქურა წამოდგა. დიდი ხნის ჯდომით დაბუთულმა გაიზმორა, თოფი გაისინჯა და ღობე-ღობე ბოსლისაკენ ნელა წავიდა.

— შეღამების შემდეგ ფაარისაც გულის ყური სულ ბოსლისაკენ ჰქონდა. ახალგაზრდობის სიყვარულის და რისკის სული ტრიალებდა ეხლა ფაარის არსებაში. იგი პირველად განიცდიდა სიყვარულს, მისმა გულმა იგრძნო საკუთარ არჩეულის სიახლოვე.

შუქურა ბოსლის თავზე ავიდა და ეზოში ჩახტა. ძაღლმა დაიყეფა, გაიწია, მაგრამ ჯაჭვმა არ გაუშვა და ზავზავი მორთო. შუქურა მსწრაფლ შეძვრა ბოსელში. ძაღლის ყეფაზე ფაარი გამოვიდა ეზოში. მივიდა ძაღლთან, მიუალერსა, პურის ნაჭერი მიუგდო და თითონ კი გაინაბა და კარმიდამოს თვალიერება დაუწყო. მერე შემოუარა ეზოს, ყველაფერი დაათვალიერა, ბოსელთან ჩაახველა და ისევ შინ შევიდა. ტანთ გაუხდელი მიუწვა შვილს. მამას უკვე ეძინა და ხვრინავდა. ფაარიმ ჯერაც არ იცოდა, თუ რისთვის დაუძახა შუქურას. იცოდა მხოლოდ, რომ შუქურა პირველი ადამიანია, რომელიც მას გულში შეეპარა. მისმა გულმა ვაჟკაცის თავისუფალი არჩევანი შუქურაზე უნდა გადაწყვეტილიყო. უნდა გადაწყვეტილიყო მაშინ, როცა ფაარი მის ჯერედ პატარა სიცოცხლეში მეორედ უნდა მისცენ მისთვის უცხოს და უნდომო კაცს. ფაარიმ პირველ ქმრის ხელში ერთხელ უკვე განიცადა თავის უნებურად არჩეულ და მიჩენილ მამაკაცის ალერსი, მაშინ ბავში იყო და არა ესმოდა რა, მაგრამ ეხლა, უკვე დედას იგივე მოელოდა, როცა ასსადას ცოლი გახდებოდა. თავისი პირველი კოცნა და ქალობა მან მისთვის უცხო, უსანდომო ადამიანს გამოუცდელად იგი სხვის ალერსის ჟინის მომკვლელი იყო, თითონ კი ვერც ლოგინის სიტკბოება განიცადა, ვერც სიყვარულის ძგერა გულისა. ეხლაც ისევ ის მოელოდდა. მოხუცი ასსადა ხელში ჩაიგდებდა თექვსმეტი წლის გოგოს, თუნდაც ქვრივს, მაგრამ ჯერედ გაუფურჩქნელს. ფაარის ისევ მოელოდდა უცხო, უცნობ, მისთვის შეუფერებელ ძალის მქონე მამაკაცის ჟინი და ალერსი. თითონ კი ამ მამაკაცის ერთად-ერთი, პირველი და სანეტარო არსება არ იქნებოდა. ასსადა მეოთხე ცოლს ირთევდა: თავის სამს წინა ცოლში, ერთი მოუკვდა და ერთს გაეყარა. ამ გაყრილის ფეხად მიდიოდა ფაარი ასსადას ოჯახში. ფაარი ასსადასათვის მხოლოდ ღამის ტიკინი იქნებოდა, მისი ჟინის დამაკმაყოფილებელი და მოხუცებულობის ალტყინებულ ეროტის მსხვერპლი. ყოველსავე ამას უგონოდ, გულით ჰგრძნობდა ფაარი და ამიტომ მიდიოდა იგი ისეთს გზაზე, რომლის მიმართულება ზოხრამ ანიშნა, თუმცა ხუმრობით, მაგრამ ეს ხუმრობა ფაარის საბედნიერო იყო. თავის გულის არჩეული სურდა ფაარის, თავის გრძნობათა თავისუფლად გამჩუქებელი უნდა ყოფილიყო იგი. ფაარი ძალიან სახიფათო გზას დაადგა. გვარს და ნათესავებს, რომ გაეგოთ მოჰკლავდენ, მგრამ გულის ნება და სიჭაბუკის უფლება ყოველს. ადათსა და შიშზე უფრო ძლიერი იყო.

ცოტა წოლის შემდეგ ფრთხილად ადგა ფაარი და ეზოში ფეხშიშველა გამოვიდა. ძაღლმა დაიწკმუტუნა. ფაარიმ აუშვა. მან ეზოს შემოურბინა და პატრონის იქ მყოფით დამშვიდებული სოფელში გაიქცა. ფაარი კი ბოსელში შევიდა. შუა ბოსელში იდგა შუქურა და თოფ მომარჯვებული კარებს უყურებდა.

— ფაარი, ხანუმ!—თურქულათ წამოიძახა შუქურამ.

— სსუ!—რომ გაგვიგონ დაგვხოცამენ. არ გეშინიან?

— რა უყოთ, ცოტანი იხოცებიან? მე, რომ მეშინოდეს სად წავა.—ფაარიმ წინ წადგა ფეხი. რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერა მოახერხა რა. შუქურამ მოხვია ხელი და აკოცა.

— გამიშვი.—წაიჩურჩულა ფაარიმ და თან მიეკრო. პირველად იგრძნო ფაარიმ სიყვარულიც და ვნებათა ღელვაც. გაიღვიძა მასში ყველაფერმა, რაც ჯერ არ გამოეცადნა, მაგრამ რას გზაც შეუმჩნევლად ჰქონდა გავლილი. ნეტარებასთან ერთად ფაარის შიშიც აკანკალებდა. მაგრამ რისა იყო ეს შიში მან არ იცოდა. მისი ყური აღარ იყო მახვილი, თვალები ბოსლის კარებს ალა უყურებდა. ჭაბუკის მძლავრ ხელში თრთოდა და კვნესოდა ფაარი. ეხლა განიცდიდა ფაარი იმ გრძნობებს, რომლებიც მას ამ სამი წლის წინედ უნდა განეცადა, როდესაც იგი ქალი მამაკაცს პირველად ჩაუვარდა ხელში, მაგრამ ვერ განიცადა, მხოლოდ ეხლა გაიხსნა მის წინ ის უბსკრული, რომელიც ქალისა და დედაკაცის შორის დევს. აქ, მისი გულის არჩეულ მამაკაცის ხელში გაიხსნა მის წინ სამოთხის ის კარი, რომელთანაც ქალობას ჯოჯოხეთის შიშით მოჰყავს. უხმოდ, უსიტყვოდ, თრთოლვით და კანკალით და თითქოს მოულოდნელად დაჰნებდა იგი შუქურას და ნეტარებაში პირველად ჩაეფლო...

— შუქურ არ გამცე. არსად დაიტრაბახო ეს ამბავი. სირცხვილში არ ჩამაგდო, თორემ შენც მოკვლავენ და მეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომინტერნის პლენუმის დელეგატები



1) პროფესორი ვარგა (უნგრეთი). 2) ამხ. **ოუენი** (ამერიკა). 3) ამხ. **ებერ-დრო** კომინტერნის აღმასკომის მდივანი. 4. ამხ. **ხემორი** (საფრანგეთი). 5) სკანდინავიის დელეგაცია. 6. ამხ **კატაიამა** (იაპონია). 7. ამხ. **შმერალ** (ჩეხო-სლავეთი). 8) ამხ. **ბოგუცკი** პოლონეთი. 9) ამხ. **რუტ-ფიშერ.** (გერმანეთი). ამხ. **ტელმანი** (გერმანეთი).

— რას ამბობ, სატრაბახებელი რა მაქვს. ან სად უნდა დავიტრაბახო. გიჟი ხომ არა ვარ. ხომ დავკარგე, თუ გაგეცი.

— ისევე ჩუმად შეიპარა ფაარი სახლში. სიხარულიც იდგა მის გულში და სინანულიცა. თითქოს რაღაც დაჰკარგა. მაგრამ რადგანაც იმან, რაც განიცადა ფაარიმ სირცხვილი არ იყოს.

შუქურა კი ბოსლის ბანიდან გადახტა გზაზე და შინისკენ წავიდა. მან ვერ შეამჩნია, რომ გზის ბოლოს ერთი თუთხმეტი წლის ბიჭი იდგა ჰაჯი. იმ საღამოს ცხენი დაჰკარგოდა და იმის ძებნაში იყო. ჰაჯიამ თვალი შეასწრო შუქურას და ჩაიცინა:

— საქურდლათ იქნებოდა აქა.

ლაპარაკში სიტყვები გადუკრა ზოხრამ ფაარის და გააწითლა.

— მაშ რათ გაწითლდი თუ ტყუილია? შენ და თათ შუქურას რა საერთო საქმე გაქვთ?

— ტყუილია ზოხრა. ვალლახ, ტყუილია. ვინ გითხრა, რომ თათი ჩემთან იყო.

— მაჰამედამ მითხრა. მე კი გაუჯავრდი და ვუთხარი ჩუმად იყოს.—ფაარიმ თითზე იკბინა. მაჰმედა მაზლია ზოხრასი და შუქურას დიდი ამხანაგი. ალბათ, თვით შუქურამ უთხრა ყოველივე მაჰმადასა, როგორც ამხანაგს. მისმა და შუქურას მეტმა ხომ არავინ იცოდა ეს ამბავი. თვითონ ფაარის არავისთვის უთქვამს. ეჭვი არ არის, რომ შუქურამ გაამჟღავნა, გასცა და შეარცხვინა ფაარი. ალბათ დაიტრაბახა შუქურამ ამხანაგებში. დიდი უსირცხვილობა იყო ქალის ასე გაცემა. ფაარის შუქურასადმი გულში დიდი გრძნობა ედგა. ცეცხლიანი სიყვარულით სავსე. ამ გრძნობამ გადაალახვინა მას ყოველივე საზღვარი, საკახპო საქმე ჩაადენინა და შუქურამ კი არ დაინდო: მარილადა კახპასავით მოსჭრა თავი. ეხლა ქვეყანა გაუგებს. ნათესავები აუჯანყდებიან და თავის ბიძაშვილებს ძნელად გადურჩება. შიში და სირცხვილი. შელახული თავმოყვარეობა და გაცრუებული სიყვარული ერთად ბორიოვნენ ფაარის გონებაში. გულის დიდ ტკივილთან ერთად, ფაარიმ დიდი სიავე და სიბრაზე იგრძნო. სწორედ მოსაკლავია შუქურა. შუქურა კი არ იყო დამნაშავე. საქმე სულ უბრალოდ გამომჟღავნდა: ჰაჯიამ, რომ დაინახა იმ ღამეს შუქურა ახმედ აღას ბოსლის ბანიდან გადმომხტარი, ეგონა, რომ შუქურა იქ საქურდლათ იყო. ეს უთხრა მან მაჰმადას, ზახრას მაზლს, როგორც ახმად აღას მახლობელს, გასაფრთხილებლად. მაჰმად კი, ამ საქმეს, რომ დაუკვირდა, მიხვდა, რომ შუქურა იქ საქურდლათ არ იქნებოდა. ახმად აღას ეზოში ეხლა საქურდალი არა არის რა მისი ქალის მეტი. საქონელი მინდორშია, ქირნახული ჯერ არ არის მოკრეფილი და ბეღელში ბევრი არაფერია. მაშასადამე, შუქურა ახმად აღას ეზოში საქურდლათ არ შეძვრებოდა. იქ მას მხოლოდ ფაარი, თუ მიიზიდავდა. ეს თავისი მოსაზრება უთხრა მაჰმადამ თავის რძალს, რათა მას ფაარი გაეფრთხილებინა. ზოხრასთვის კი, რაკი იცოდა წინანდელი ამბავი, მაშინვე ნათელი გახდა ყოველივე. მაჰმადას არა გაუმჟღავნა რა. მაგრამ ფაარის კი გადუკრა სიტყვები. ფაარი გაწითლდა და გასცა თავი. მაგრამ ფაარის მოსაზრებით კი, დამნაშავე შუქურა იყო. საუბედუროთ, სწორედ იმ ღამისათვის ჰყავდა მეორედ დაბარებული ბოსელში შუქურა ფაარის. ფაარი გულის ფანცქალით მოელოდა ამ საქმეს. ტანში მას წინ-და-წინვე უვლიდა საყვარლის ხილვის სითბო. ნეტარების განცდის მოლოდინში იყო ჩაძირული ფაარი და, სწორედ იმ დროს გადაასხეს მას ცივი წყალი. სწორედ ამ დროს გაიგო მან შუქურას სიმართლე. როგორ უნდა გაეძლო მის გულს. თვალებში ცრემლები ადგებოდა. ფაარის ახლა ერთი რამღა დარჩა: თავის სახელის დაცვა და თავის გადარჩენა. რაღაც უნდა მოეხდინა, რაღაც უნდა მოეხერხებინა და თავი ავი ლაპარაკისა და შერცხვენისაგან დაეფარა. სუსტი, ქალური, მაგრამ შეურაცხყოფილი გონება მუშაობდა ეხლა. ადვილი იყო შუქურას შეტყუება. შეეძლო თავს დაეხვია მისთვის ნათესავები და მოეკვლევინებინა, მაგრამ ეს მის სახელს ვერ დაჰფარავდა. სხვა მახეში უნდა გაება მას შუქურა. ამის საზრისში იყო მთელს დღეს ფაარი ცრემლთან ერთად, მისი გონებაც მუშაობდა. ჰ ე, მანამდის ვერა მოისაზრა რა. ისე დაუხვდა ბოსელში შუქურას, გულ-ღვარძლიანი, გაბრაზებული, შეურაცხყოფილი, მაგრამ კი არას მიახვედრა. უგულოდ დაჰ ებდა მას, თან კი სამაგიეროს გადახდის გეგმას საზრისობდა. შუქურამ შეატყო შეცვლილობა, მაგრამ თავის გრძნობებში და ნეტარებაში გართულმა ბიჭმა ყურადღება არ მიაქცია ქალის ცვლილობას. ისეთივე მხიარული და ნეტარი წავიდა იქიდან, როგორც პირველად. მესამე დღეს ისევ უნდა მოსულიყო და ისევ უნდა განეცადა სიხარული. ფაარი კი საზრისობდა, ბრაზობდა და ტიროდა ბოლოს დამშვიდდა, რაც ერთ აზრს დაადგა. ეს აზრი ძალიან მოსწონდა ფაარის. ნამდვილ მზად იყო სამაგიეროს გადახდისათვის და სახელის აღდგენისათვის.

— სწორედ ეგრე იქნება. სწორედ. შუქურას ქურდის სახელი აქვს დავარდნილი, ორჯერ იყო დატუსაღებული ქურდობისათვის და ყველა დაიჯერებს.—ფიქრობდა ფაარი და აღარა ბრაზობდა. ისე კი უნდა მოეწყოს საქმე, რომ არ გამომჟღავნდეს.—ამ აზრებით იგი უკვე ახალ გულის ჯერის კანკალით ელოდდა თავის მესამე პაემანს.

— დაჯექ შუქურ და ყური დამიგდე.—უთხრა ფაარიმ შუქურას ბოსელში.—სულ სიამოვნება არ იქნება. ჩვენ საფიქრებელი დიდი გვაქვს.

— რა არის ფაარი, რასა ფიქრობ?

— განა არ იცი, რომ იმ კვირას მე ასსადას ცოლი უნდა გავხდე?

— მერე?

— მერე-და ჩვენ უნდა გავიყარნოთ. ასე სულ მალულად ხომ არ ვიქნებით. ერთხელაც არის გაგვიგებენ.

— მე უშენობა არ შემიძლიან.

— არც მე შემიძლიან. მაგრამ რა ვქნათ?

— მე მომთხოვდი ცოლად.

— სულელო, ჩემს თავს შენ ვინ დაგანებებს. ჩემი ნათესავები მდიდარ ასსადას უფრო ირჩევენ, ვიდრე თათსას.

— მაშ რა ვქნათ?—დაღონებით შეეკითხა შუქურა.

— მე უნდა გასწავლო, განა შენ თვითონ ვერაფერი უნდა მოისაზრო?

— მე ვერ მომისაზრებია რა.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ ჩემთვის შეუძლებელია. მაგას ბევრი ხალხი უნდა, მე სად ვიშოვნი ხელის შემწყობსა, ერთი უპატრონო კაცი ვარ. მთელი სოფელი დამედევნება.

— შენ ნუ გეშინიან. ორი დამხმარეც გეყოფა. ხვალ, ხალხი, რომ დაიძინებს მოდი აქა, ჩვენს ბეღელთან. ცხენები მზათა გვყავდეს. მე თითონ გამოვალ და გამოგყვები. მაშინვე ყაზახში გავიდეთ და იქ დავიმალნეთ. როცა დრო გაივლის ჩვენები დამშვიდდებიან. მოტაცებულ ქალს, არც ასსადა მომინდომებს და შენი ვიქნები.

— თუ კი ეგრე იქნება, რატომაც. მაშინ ადვილია. აღარავინც დაგვედევნება. კარგი მე მაჰამედას მოვიყვან და ირზასა.

— არა, მაჰამედა არ იქნება. ზოხრას მაზლია, ჩვენი ნათესავია და შეიძლება გაგვცეს. სხვა ვინმე იშოვნე. ისევ თათები. ჩვენებურები ნურავინ გინდა, თარაქამები.

— კარგი.—უთხრა შუქურამ.—ერთი გაკოცო.—სიხარულის თრთოლვით მიეკრა ფაარი შუქურას გულზე: დასაწყისი კარგი გამოვიდა.

—:—

მეორე დღეს არც ფაარი იყო მოსვენებული და არც შუქურა. ორივენი სამზადისში იყვნენ. შუქურამ ორი თავისავით თათი იშოვნა დამხმარედ. ეს ადვილი საქმე იყო,

მაგრამ ცხენების შოვნა უფრო გასჭირდა. ერთი ცხენი თითონ ჰყავდა, ერთი ირზას. ორიც იყო საჭირო. ერთი ფაარისათვის და ერთიც ამხანაგისათვის. ცხენს შუქურა ვერავისა სთხოვდა, გამჟღავნდებოდა საქმე. სხვა-ფრივ უნდა მოეგვარებინა. როცა დაბნელდა, მინდორში გავიდა და იქ ჯოგში ერთი კარგი ცხენი მოიპარა. მოიყვანა და ირზას ჩარდახში დამალა. მეოთხე ცხენი კი ვერ იშოვნეს. გადასწყვიტეს, რომ შუქურას, მხოლოდ ირზა გაჰყვებოდა ყაზახის მაზრაში. მესამე ამხანაგი კი, მხოლოდ სოფლის ბოლომდის გააცილებდა. უფრო დიდი სამზადისი ჰქონდა ფაარის. მამა, რომ გაიგულა სახლიდან, ფაარიმ ერთი ძველი ნალი და ერთი ძველი ტომარა აიღო და თავიანთ ბელელზე ავიდა. ბელლის თავი პატარა კლიტით იყო დაკეტილი. დაუგდო მას ნალი, გადმოსწია და კლიტე ყუნწში მოსწყვიტა. ახადა ბელელის ხუფი, ამოხვეტა ხორბალი, ტომარა ნახევრად გაავსო და ყველაფერი იქვე დასტოვა: ნალიც, გატეხილი კლიტეც, ხორბლიანი ტომარაც. გადმოხტა ბელლის თავიდან და შინაურ საქმეში გაერთო.

დაბნელდა. შუქურამ ცხენები შეკაზმა, ირზას ჩარდახში დააყენა და თავის ამხანაგებით ფაარის სახლისკენ წავიდა. ამხანაგები ყორის ძირში დამალა, თითონ კი ბელელთან მივიდა. გულის ფანცქალით ელოდდა იგი ფაარის და ფანჯარას კენჭი ესროლა. სახლიდან ფაარი გამოვიდა. ფეხშველა იყო და თავზე ღამის მოსახვევი ჰქონდა წაკრული. ცოტა არ იყოს, ეუცხოვა ასეთი მორთულობა მოსატაცად გამზადებული ქალისა, მაგრამ მოსაზრების დრო არ ჰქონდა შუქურას. მარდად მივიდა მასთან, შეხტა დერეფანზე, ხელი წაავლო და უთხრა:

— ჩქარა.—პასუხის ნაცვლად ფაარიმ წიხლი ჰკრა შუქურას, დერეფნიდან გადააგდო და დაიყვირა. შუქურა ეზოში გადავარდა და მიწაზე დაეცა. ფაარი დაეცა ზედ და დაიჭირა. ქალის ყვირილზე გამოვიდა მისი მამა. დაინახა, რომ ქალი ვიღაცას ებრძოდა და მიეშველა. შუქურამაც ერთი დაიყვირა, ამხანაგების გასაგონად. ახბადალამ ყელში წაუჭირა შუქურას. ფაარი კი კანკალით ეუბნებოდა მამას:

— ბელლის თავზე იდგა, ალბად ხორბალს იპარავდა. მე, რომ დავინახე შეეშინდა, გამოხტა და წაიქცა. მოცვივდნენ შუქურას ამხანაგები და ფაარისა და მის მამას თოფები დაუღირეს.

— გაუშვი მამავ, არ მოგკლან.—დაიძახა ფაარიმ. ახბადამ ხელი უშვა შუქურას. ის წამოხტა და ამხანაგებთან ერთად გაიქცა.

— რა მოხდა შუქურა, რა იყო,—ეკითხებოდნენ ამხანაგები.—შუქურამ თითონაც არ იცოდა რა მოხდა. გაბრაზებულმა გადააფურთხა და დაიძახა:

— კახპა! კახპა!—განშორდა ამხანაგებს და მინდორში წავიდა.

მამა-შვილის ყვირილზე, ძაღლების ყეფაზე მეზობლები გამოვიდნენ და ახბადას სახლთან მივიდნენ. იქ გაიგეს, რომ შუქურა იყო, ბელლის თავზე იდგა. ხორბალს იპარავდა. მოვიდნენ სოფლის ამორჩეული კაცები, მოიყვანეს მწერალი, დაათვალიერეს ბელელი და ნახეს გატეხილი კლიტე, ძველი ნალი, ტომარაში ხორბალი. ეჭვი არ იყო, რომ ქურდები მართლა ყოფილიყვნენ იქა. წავიდა ხალხი შუქურას საძებნელად; მზოგათენებისას იპოვნეს იგი მინდორში.



№· ლეგიონის საკავშირო ახეული მ. ცადინობის დროს

— ჰეი, თათ შუქურ, თათ შუქური!—იძახდნენ გლეხები:—სოფელი ამოაგდო მაგისმა ქურდობამ, ეგ ხომ პირველი არ არის. დაატუსაღეს შუქურა. მან მართალი სთქვა, რაც გადახდა, მაგრამ ვინ დაუჯერებდა: დანაშაულის ნიშნები ყველა თვალწინ იყო. ამხანაგები არ გასცა შუქურამ, მარტო ვიყავიო.



ჯარველი სარტილერიო ლეგიონის სპორტწრის წევრები

ფაარის სახელი აღდგენილი იყო. ეხლა ყველამ იცოდა, თუ რათ იყო იმ ღამეს შუქურა ახბადას ბოსელში, როცა პაჯიმა ჰნახა. ეს პაჯიც მოწმე გამოდგა შუქურას წინააღმდეგ. იმ ღამეს ათვალიერებდა სახლს და საქურდლად ემზადებოდა. შუქურა სასამართლოს გადასცეს. ორი წელიწადი იჯდა იგი სატუსაღოში, ფაარი კი მეორე კვირას ასსადას ცოლი გახდა.—ასეთი ყოფილა ჩემი ყისმათიო.

**იოსებ ტატიშვილი.**

# ჰაინრიხ ჰაინე

## გარდაცვალებიდან 70 წლის შესრულების გამო

ჰენრიხ ჰეინე, გერმანიის უდიდესი პოეტი გოეტეს და შილლერის შემდეგ, დაიბადა პატარა ქალაქ დიუსელდორფში 1797 წლის 13 დეკემბერს. მამა მისი ვაჭარი, საშუალო ქვეყნის და ქონების ადამიანი იყო. დედა ეკუთვნოდა ფონ-გელდერნების გვარს, რომელთაც აზნაურებათ მოჰქონდათ თავი, თუმცა ებრაელები იყვნენ. ჰეინეს დედა იყო ჟან-ჟაკ რუსსოს მოწაფე და გოეტეს თაყვანისმცემელი. პირველდაწყებითი განათლება ჰეინემ მიიღო დისელდორფის ფრანცისკელთა მონასტერში, საიდანაც ის გადავიდა ადგილობრივ გიმნაზიაში, რომელიც შემდეგ ლიცეად გადაკეთდა. აქ ჰეინემ ყველა კლასები წარმატებით გაიარა. მან დაამთავრა გიმნაზია და უსახსრობის გამო იძულებული იყო სამსახური ეშოვა. ის მსახურობდა ქალაქ ფრანკფურტში, საბანკირო კანტორაში, მაგრამ აქ დიდ ხანს არ დარჩენილა. 1816 წ. ის დაბრუნდა დიუსელდორფში და ერთი [illegible] გაემგზავრა ჰამბურგში თავის მდიდარ ბიძასთან, ბანკირთან სოლომონ ჰეინესთან. აქ ბიძის მზრუნველობის ქვეშ ახალგაზრდა ჰეინეს უნდა შეესწავლა კომერციული საქმე და გამხდარიყო „ფულის მეფე", რითა გაანხორციელებდა დიდ-მამის იმედებს. როცა გამოირკვა, რომ ჰეინე უიმედოა, როგორც კომერსანტი, ბიძამ მისცა მას საშუალება შესულიყო უნივერსიტეტში, მაგრამ იმ პირობით, რომ ის გაათავებდა იურიდიულ ფაკულტეტს, მიიღებდა დიპლომს და გახდებოდა ვექილი. ჰეინე დაბრუნდა დიუსელდორფში და აღტაცებით დაიწყო მზადება საუნივერსიტეტო გამოცდისათვის, რომელიც ჩააბარა კიდევაც 1819 წლის დამლევში და მიღებულ იქნა ბონნის უნივერსიტეტის სტუდენტთა რიცხვში. აქ იურიდიულ ფაკულტეტზე იყვნენ პროფესორებათ მიტერმაიერი და მაკელდეი, ფილოსოფიურზე—ავგუსტ-შლეგელი, ველბრიუკი, დისტერვეგი და სხვები. თუმცა ჰეინე იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტად ითვლებოდა, ის უფრო ხშირად დადიოდა ფილოსოფიურ ფაკულტეტის ლექციებზე და მისი ამხანაგები იყვნენ შემდეგ ცნობილი პოეტები ზმროკი და ჰალერსლებანი, ქიმიკოსი ლიბიხი და ფიზიოლოგი იოჰანნ მიულლერი. საერთოდ იურისპრუდენცია არ ემარჯვებოდა ჰეინეს არც ბონნში, და გეტინგენში, სადაც ის გადავიდა 1821 წელს. ყველაზე უფრო დიდი გავლენა მოახდინა ჰეინეზე ავგუსტ შლეგელმა, რომელიც იყო გამოჩენილი კრიტიკოსი და რომანტიზმის წინამორბედი. შლეგელი აძლევდა დარიგებებს ჰეინეს, ამხნევებდა მას და თავისი თანაგრძნობით აძლიერებდა მასში პოეტურ შთაგონების ცეცხლს. ჰეინემ უძღვნა თავის მასწავლებელს „სონეტების გვირგვინი", გეტინგენში ყოფნის დროს ჰეინეს მოუვიდა შეტაკება ერთ სტუდენტთან და ნათესავების რჩევით გაემგზავრა ბერლინში. ის ჩაეწერა ბერლინის უნივერსიტეტში 1821 წლის გაზაფხულზე. ის ჩამოშორდა სტუდენტურ წრეს თავის დუელის შემდეგ სტუდენტ შელლერთან, რომელმაც დასჭრა ჰეინე. ბერლინში ჰეინე გაეცნო ცნობილ ვარნჰაგენ-ფონ-ენზეს, რომლის მეუღლეს, გოეტეს მეგობარს, ჰქონდა სალონი, სადაც იკრიბებოდნენ იმ დროის რომანტიულ სკოლის ბელადები: ფრიდრიხ შლეგელი, ლიუდვიგ ტიკი; დე-ლა-მოტ-ფუკე და სხვები. მეორე ლიტერატურული სალონი, სადაც იქნა მიღებული ჰეინე, ეკუთვნოდა პოეტ ქალს—ელიზა ფონ ჰოჰენჰაუზენს. ამ სალონში ჰეინემ ნახა პირველად პოეტი შამისსო, „პეტრე შლებილის" ავტორი. 1821 წლის გაზაფხულზე ჰეინემ გაიგო, რომ ამალია, რომელიც მას უყვარდა, მიათხოვდა ვაჭარს. ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჰეინეზე და რომ გაექარვებინა თავისი სევდა, მან დაიწყო დროს ტარება ბოჰემიელ ლიტერატორებთან და მსახიობებთან, რომელთა წარმომადგენელი იყვნენ შესანიშნავი ფანტასტი—მეოცნებე ჰოფმანი დრამატურგი გრაბბე და მსახიობი დევრიენტი. მაგრამ ჰეინემ ვერ ნახა თავდავიწყება ამ წრეში, ჩქარა მიატოვა ღვინის სმა და დაუბრუნდა პოეზიას, რომელიც უყვარდა, და იურისპრუდენციას, რომელიც სძულდა. ბროკჰაუზმა—ლეიპციგელ გამომცემელმა უარი სთქვა მისი ლექსების გამოცემაზე. ჰეინემ თვითონ გამოსცა ბერლინში თავისი ლექსების კრებული და ორი ტრაგედია: „ალმანზორი" და „ვილიამ რატკლიფი". ამ ტრაგედიებმა და ლექსებმა ვერ მიიქციეს ფართო საზოგადოების ყურადღება, თუმცა მათ შესახებ დადებითი აზრი გამოთქვეს თავის რეცენზიებში იმერმანმა და ვარნჰაგენმა. 1825 წელში ჰეინეს უნდა გაეთავებინა უნივერსიტეტი, მაგრამ დიპლომის და სამსახურის მიღებისათვის საჭირო იყო ქრისტიანობის მიღება. ჰეინე მოინათლა და 1825 წ. მიიღო დიპლომი. 1826 წ. გამოვიდა „მოგზაურობა ჰარცზე" და შემდეგ სისტემატიურად გამოდიოდა მისი „გზის სურათები". ამ უკანასკნელმა ნაწარმოებმა მოუხვეჭა ჰეინეს დიდი სახელი გერმანიაში. მესამე ტომი „გზის სურათების" გამოვიდა მაშინ, როდესაც დაიწყო 1830 წლის საფრანგეთის რევოლუცია, რომელიც უნდა ჩაითვალოს მთელ ეპოქად ჰეინეს განვითარების ისტორიაში. ამ რევოლუციამ პოეტი აღტაცებაში მოიყვანა. იგი სწერს: „ძირს ახლა დასვენება და სიმშვიდე. მე ისევ ვიცი, რა უნდა გავაკეთო, რას უნდა ვეტრფოდე. მე ვარ რევოლუციის შვილი, მე ხელში ვიღებ იარაღს და მივდივარ საბრძოლველად მე მსურს დავიდგა თავზე ყვავილების გვირგვინი და ვიბრძოლო სიკვდილამდე. მომეცით ლირა—მე უნდა ვიმღერო ბრძოლის სიმღერა მე ვიტყვი სიტყვებს, რომელნიც, როგორც ცეცხლის ვარსკვლავები, დასწვავენ სასახლეებს და გაათბობენ ქოხებს. ჩემი სიტყვები, როგორც ლახვარნი მისწვდებიან მეშვიდე ცას. მე ვარ—სიხარული და სიმღერა, ცეცხლი და მახვილი". ჰეინემ გამოაცხადა თავისუფლება თავის დროის რელიგიად. პოლიტიკური ინტერესები თანდათან იტაცებდნენ პოეტს

ჰეინე გადასახლდა პარიზში 1831 წ. ის ოცნებობდა დიპლომატიურ კარიერაზე. მაგრამ ეს ოცნება უშედეგო გამოდგა. შემდეგ მან დაიწყო პოლიტიკურ ხასიათის კორესპონდენციების წერა საფრანგეთიდან ერთ გერმანულ ლიბერალურ გაზეთში. ჰეინემ აგრეთვე აიღო შუამავალის როლი ფრანგულ და გერმანულ ლიტერატურას შორის. მან წაიკითხა პარიზში პოპულიარული კურსი გონებრივ მოძრაობის შესახებ გერმანიაში.

ჰეინემ გაილაშქრა თავის წერილებში თავად-აზნაურობის და ფილისტერების წინააღმდეგ. „ახალგაზრდა გერმანია" უყურებდა მას, როგორც თავის მეთაურს. ჰეინეს მიეხპო სამშობლოში დაბრუნების უფლება მას შემდეგ, რაც მან გამოსცა თავისი წერილები ცალკე წიგნად. „საფრანგეთის საქმეები". გერმანიის ფილისტერებმა ჰეინე გამოაცხადეს სამშობლოს მოღალატედ.

ბიძა უგზავნიდა ჰეინეს ფულს ყოველ თვიურ-დ, საფრანგეთის მთავრობამ დაუნიშნა მას სუბსიდია. პარიზში ჰეინე მოეკიდა ოჯახს. 1842 წ. გამოვიდა მისი პოემა: „ატტა ტროლი", 1844 წელში „ახალი ლექსები" და პოემა „გერმანია—საზამთრო ზღაპარი", ეს პოემა აკრძალული იქნა გერმანიაში, ხოლო საზღვარზე მყოფ პოლიციას ბრძანება მისცეს დაეტუსაღებიათ ავტორი, თუ გერმანიის მიწაზე ფეხს დაადგამდა. ჰეინე სწერდა თავის პოემის წინასიტყვაობაში: „მე აქედან მესმის განგაში იმ ფარისეველთა, რომელნიც ხლიხელ ჩაკიდებულნი მიდიან მთავრობასთან ერთად, რომელთაც დიდი სიყვარულით ეკიდებიან ცენზორები. მე მესმის მათი ხმა: „შენ ჩირქსა სცხებ ჩვენს დროშას, სამშობლოს მოღალატევ. ფრანგების მეგობარო, რომელთაც გინდა დაუთმო ჩვენი რეინი". დამშვიდდით ბატონებო! მე დიდი პატივისმცემელი ვიქნები თქვენი დროშის, როცა ის ამის ღირსი იქნება... საფრთხილეთ ეს დროშა, აქციეთ ის თავისუფალი კაცობრიობის შტანდარტათ და მე დაუღვრი იმისათვის ჩემი გულის საუკეთესო სისხლს. მე თქვენზე ნაკლებ არ მიყვარს ჩემი სამშობლო, ამ სიყვარულის წყალობით მე უკვე ცამეტი წელია განდევნილი ვარ სამშობლოდან და სამუდამოთ განდევნილი ვიქნები". და ჰეინე, მართლაც, განდევნილი მოკვდა უცხოეთში.

1847 წელში ჰეინე მხოლოდ ჩონჩხს წარმოადგენდა. ის მიჯაჭვული იყო თავის ლოგინზე, მაგრამ მაინც დასწერა თავისი „რომანცერო". ის გარდაიცვალა 1856 წლის 17 თებერვალს.

მის კუბოს მიყვებოდნენ: დიუმა, ტეოფილ გოტიე, დე-სენ-ვიქტორი, და სამი, თუ ოთხი გერმანელი ჟურნალისტი ის უსიტყვოთ ჩაასვენეს სამარეში. რამოდენიმე ხნის შემდეგ მონმარტრის სასაფლაოზე, სადაც დამარხულია ჰეინე აიმართა ძეგლი, რომელზედაც მხოლოდ ორი სიტყვა სწერია: ჰენრიხ ჰეინე.

ავსტრიის იმპერატორის მეუღლემ ელისაბედმა—ჰეინეს პოეზიის თაყვანისმცემელმა—აუგო მას ძეგლი კუნძულ კორფუზე, სადაც დედოფალი ხშირად დროს ატარებდა. დედოფალ ელისაბედის სიკვდილის შემდეგ ეს კუნძული შეიძინა გერმანიის მეფემ ვილჰელმ მეორემ და გასცა ბრძანება აეღოთ ჰეინეს ძეგლი...

ისტორიკოსის შერრის აზრით ჰეინე იგივეა გერმანულ მწერლობისათვის, რაც ბაირონი არის ინგლისურ მწერლობისათვის. მისი „სიმღერების წიგნი" ისეთივე პოეტური ღვაწლია, როგორიც იყო გოეტეს „ვერტერი" და შილლერის „ყაჩაღები".

ის არის ნამდვილი პიერო გერმანულ ლირიკის და უმღერის უკვდავ სიმღერებს თავის კოლომბინას, რომელსაც აძლევს სხვადასხვა სახელს. მეტად ძლიერია მის პოეზიაში რევოლუციონური მოტივი.

დიდია ჰეინეს გავლენა რუსეთში. ყველა მისი თხზულებანი გადათარგმნილია სხვადასხვა პოეტების მიერ.

საქართველოში ჰეინეს ბევრი თაყვანისმცემლები ჰყავდა. მას თარგმნიდენ აკაკი და ილია. იოსებ ბაქრაძე ბეჭდავდა ჟურნალ „მოამბეში" ჰეინეს ლექსების თარგმანებს. ჰეინეს თარგმნიდენ სანდრო შანშიაშვილი, კ. გამსახურდია და უმთავრესად ჰოლა ლომთათიძე, რომელმაც ცალკე წიგნად გამოსცა მისი ლექსები, თარგმნილი ციხეში.

**17 თებერვალს შესრულდა 70 წელიწადი ჰეინეს გარდაცვალების შემდეგ.**

# ჰაინრიხ ჰაინეს ლექსები

## ლორელეა

ო, ჩემი გული რისთვის ღონდება,
რადა ვარ ასე მოუსაფარი?
სულ უფრო ხშირად მომაგონდება
მე ერთი ძველის-ძველი ზღაპარი
არის სისუმე უზენაესი,
მაგრამ რეინი რონინებს ღელავს,
და მეწამული გრილი დაისი
მთის მწვერვალებზე კიდევ გაელავს.
გადმომჯდარია წყლის პირას, კლდეზე,
როგორც ჩვენება უცნობი ქალი,
და ოქროსფერი, ოქროსფერ მზეზე,
იგი ივარცხნის თმებს მომღერალი.
ის თმებს ივარცხნის ოქროს სავარცხლით,
შეუჩერებლად წყალნი მიდიან;
მისი სიმღერა—მეტყველი მარცხის—
გაისმის, როგორც სხვა მელოდია.
ლანდიანს ნავიდან უსმენს მგოსანი,
ვერ ამჩნევს უფსკრულს, აწვდილს ლოდებით;
მგოსანს იტაცებს ხმა ჯადოსანი,
მაგრამ ხიფათი მოელოდება.
ჩაითრევს ტალღა იქ, სადაც კლდეა,
ნავს და მენავეს ხაზით ბედრით,
ტკბილად დაღუპავს მათ ლორელეა
დამატყვევებელ თავის სიმღერით.
თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

## ნაძვი

სდგას ჩრდილოეთში ობოლი ნაძვი.
და ეს ზამთარი მისთვის ძილია.
სთვლემს და ქანაობს, მთრთოლვარე თოვლით
როგორც სუდარით შემოსილია.
აღმოსავლეთი—მზიური მხარე—
მას ესიზმრება უდაბნოებით,
სადაც ოცნებობს პალმა მწუხარე
გადამწვარ კლდეზე განმარტოებით.
თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

## მწყემსი

მეფე ხარ, მწყემსო ლამაზო!
ტახტად გიდგია მთა-ბარი.
და მზე ბრწყინვალე შენს თავზე
ოქროს გვირგვინი არ არი?
წითელ ნაქრით დართულები
ცხვრები მეფის წინ წვანან;
კარის კაცებად ხბორები
მედიდურად თან ახლავან.
თეატრის დასად თხები ჰყავს,
ვიშ! ყველა აქტიორია;
ხბოთ ზართ წკარუნი, ჩიტთ სტვენა
მესაკრევეთა სწორია.
მღერიან და თამაშობენ,
არე მარემ მოილხინა;
მთა და ველი ბანსა აძლევს,
და მეფესაც ჩაეძინა.
ამ დროს სამეფო საქმეებს
ერთგული ძაღლი განაგებს;
ამ ვეზირსა ყველა იცნობს.
მაღლა ჰყეფს და აღლოს ილიბს.
მეფე კი ძილში ლუღლუღებს:
ძნელი ყოფილა მეფობა!
შინ დედოფალთან ყოფნა სჯობს,
მასთან ალერსი და ტრფობა
ჩემს დიდებულ, მეფურ თავსა
დავაყრდნობდი მკერდზედ სატრფოს;
ხომ იმის ტურფა თვალები
შეადგენენ მთელ სამეფოს!
თარგმანი იოსებ ბაქრაძისა.
(ჟურნალ „მოამბიდან“, 1894 წ. აპრილი).

## ალსარება.

საღამო მიწას მოევლინა თავის ბინდებით,
ტალღები ქაფით იქარგებოდენ.
ვიჯექ ნაპირზე და გავცქეროდი
თეთრი ტალღების ატეხილ როკვას.

. . . . . . . . . . . . . . .

ლერწამის წნელით მე დავწერე მსუბუქ სილაზე:
„აგნესა, მე შენ მიყვარხარ!“
მაგრამ მოვიდა ბოროტი ტალღა
და ალსარება ჩემი წაშალა.
ტალღებო, ქვიშა, და შენ ლერწამო,
მე ერთგულება თქვენი არ მჯერა!
და ნორვეგიის ტყეებიდან მაგარი ხელით
მე ამოვტყორცნე უმაღლესი ნაძვი და იგი
ჩავაწვე ეტნის მხურვალე მკერდში.
და იმ ანთებულ, უდიდეს კალმით
ცის ბინდფერ თაღზე დავწერე ასე:
„აგნესა, მე შენ მიყვარხარ!“
და იმის შემდეგ ყოველი ღამით
ცაზე ალური ასოები მარად ბრწყინავენ.
და მომავალი თაობანი წაიკითხავენ
იმ ციურ სიტყვებს აღტაცებულნი:
„აგნესა, მე შენ მიყვარხარ!“

მ. მ.

## სილეზიის ფეიქრები

მათ მშრალი თვალები არ ელავენ ცრემლებით.
კბილთა ღრჭენით ჩარხებთან სხედან ნამტირალევი.
„გერმანია! მოგიქსოვთ სასიკვდილო სუდარას.
მასში წყევლას ჩავაქსოვთ გულში დასაბუდაროთ!“
წყევა ღმერთს, ლოცვებითა ვიდექით ვის წინაშე,
მუხლმოდრეკით, თაყვანით ზამთარსა და წვიმაში!
ჩვენ ამაოდ ვუცდიდით, მუდამ მოიმედენი.
მოგვატყუა, დაგვტოვა ლოცვით გახაყბედები.
ვკერავთ, ვქსოვთ უსვენებლივ!...
წყევლა მას, გვირგვინოსანს ყველა ბედნიერების!
ჩვენ მას არ ვებრალებით გლახაკი, მშიერები,
უკანასკნელ გროშს გვართმევს, არავინ ენანება
„ტყვია ძაღლებს—წუნკალებს“!.. გასცა სწრაფი ბრძანება.
ვკერავთ, ვქსოვთ უსვენებლივ!...
წყევა შენ, ჩვენო მხარევ, ავად დასაძრახავო,
სადაც მეფობს სირცხვილი და ზიზღი უნახავი;
სადაც ხამარის ჭია გასუქდება ლორული,
სადაც ჭკნება უნათლოდ ყვავილი მინდორული...
ვკერავთ, ვქსოვთ უსვენებლივ!...
მაქოა ხტის და ჩარხები გრიალებენ ჩქარები,
დღე და ღამ უსვენებლივ სხედან ფეიქარები:
„გერმანია მოგიქსოვთ სასიკვდილო სუდარას,
მასში წყევას ჩავაქსოვთ გულში დასაბუდარათ,
ვკერავთ, ვქსოვთ უსვენებლივ!...

ნ. გ.

# ჰაინრიხ ჰაინეს ლექსები

* * *

კმარა! დრო არის დავიწყებას მივცე ეს ბოდვა,
ძლიერ გაგრძელდა ოცნებასთან ჩემი სტუმრობა.
ვით მსახიობი ვთამაშობდი გულის დაკოდვით
დიდებულ დრამას და ეს იყო მხოლოდ ხუმრობა.
რიტმიულ ლექსებს ვკითხულობდი მეტად მღელვარე.
და კულისები—სხვა ფერებით მოოქროვილი,
თვითონ გრძნობები—მშვენიერი იყო ყოველი.
თუმცა დავტოვე სამუდამოთ ეს ჯინჯილები,
თუმცა თეატრი—მოჩვენება არის წარსული—
აქამდის მტკივა მე ეს გული ნაყვავილები.
და თითქოს დრამას გასაოცარს ახლაც ვასრულებ.
ჩემი მანტია და ჩემ ქუდზე ფრთა მოელვარე.
ის, რაც მიმაჩნდა გამოგონილ და ყალბ ტკივილად,
ღმერთო! ტკივილი ჭეშმარიტი თურმე ყოფილა!
და ვთამაშობდი— და კოდილი თვით სასიკვდილოთ
მე გლადიატორს მომაკვდავსა კეთილშობილად!

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

### სიყვარული

უყვარდათ იმათ ერთმანეთი, ძლიერ უყვარდათ,
მაგრამ ფარავდენ, არ ამხელდენ ამ სიყვარულსა.
მტრულად უცქერდენ ერთმანეთსა, უცქერდენ მტრულად,
ხოლო სურვილი ერთად ყოფნის უჭკნობდათ გულსა.

---

დაშორდენ ერთხელ ერთმანეთსა და მხოლოდ ძილში
თუ შეხვდებოდენ ერთმანეთსა, მხოლოდ სიზმარში...
დრომ თავისი ქნა და სიკვდილი ეწვია იმათ,
ერთმანეთი კი ველარ იცნეს იმ ქვეყანაში.

თარგმანი **შოლა ლომთათიძის.**

---

# რევოლიუცია

## I. აყლაყუდა ტიმოთე.

დილის ექვსი საათი იყო. საყვირმა მძლავრად შესძახა და ქარხნის კედლებიც აზანზარდნენ ამუშავებულ მანქანებისაგან. მუშები ყველანი თავის ადგილას არიან, მხოლოდ აყლაყუდა ტიმოთე არ სჩანს. მისი დაზგა ცარიელია.

— სად არის ის აყლაყუდა?—მრისხანედ იკითხა უფროსმა პეტრემ

— ჯერ არ მოსულა,—უპასუხა ტიმოთეს ახლო მომუშავე ეგნატემ.

პეტრემ ბოროტად გადახედა ცარიელ დაზგას და კანტორას მიაშურა.

— ჯარიმა მზად არის!—წარმოსთქვა ეგნატემ და გვერდზე მდგომ ქოსა სიმონს გადახედა.

ამ დროს გაიღო ქარხნის კარი, შემოვიდა ტიმოთე და აქანით მიაშურა თავის დაზგას.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! უკაცრავად, სიჩქარეში სალამის მიცემა დამავიწყდა,—მიესალმა გარშემო მყოფ ამხანაგებს და თან ბოდიში მოიხადა, რომ შემოსვლისთანავე ვერ მიესალმა.

— გამარჯვებული ხარ,—ღიმილით უთხრა ქოსა სიმონმა.

— როგორ?

— უფროსმა უკვე გიკითხა.

ეს რა უბედურებაა, დღეში ათ საათს მუშაობ, ხან თერთმეტსაც, დაიგვიანებ ათ წუთს და ჯარიმას გახდევინებენ!—უკმაყოფილოდ წამოიძახა ტიმოთემ.

— მერე რა უსინდისო ჯარიმას!—დაუმატა ეგნატემ და მწარედ ამოიოხრა.

— მონებივართ, მონები, რასაც უნდა, იმას გვიშერებიან!—სთქვა სიმონმა და სიბრაზისაგან გაჭარხლებულ ტიმოთეს გადახედა.

როდემდის უნდა ვიყოთ ასე მონები, როდემდის?!—იკითხა ტიმოთემ:—როდის მოელება ბოლო ამ ჩვენს მონობას?!

— ჩვენს მონობას მაშინ მოელება ბოლო, როდესაც ქუჩაში წითელი დროშა აფრიალდება!

— ეეე! ეგ როდის იქნება!—უკმაყოფილოდ წამოიძახა ტიმოთემ.

— არც ისე გვიან იქნება, მალე ენახავთ მაგასაც,—წყნარად მიუგო სიმონმა.

— ეჰ, ერთი მალე მოვესწრებოდეთ მაგ დღეს!—წარმოსთქვა ეგნატემ.

— ხომ ხედავთ, ომი როგორ გაგრძელდა?—განაგრძო სიმონმა:—ხომ გესმით უკმაყოფილება ჯარისა და ხალხისა? უკვე ხმამაღლა იძახიან—„ძირს ომი!..“ ცოტა ხანიც და რევოლიუცია იფეთქებს...

— შენ აქ რას მიედ-მოედები, რაებს ჰქადაგობ?!—შესძახა უცებ პეტრემ, რომელიც თითქო მიწიდან ამოძვრაო, ისე უცბად და უჩინრად გაჩნდა სიმონის დაზგასთან.

— მე კი არ მივედ-მოვედები, სისწორეს ვამბობ!—თამამად შესძახა სიმონმა და თვალი თვალში გაუყარა პეტრეს, რომელსაც ქარხნის მუშები ჩუმად „იუდას“ ეძახდნენ.

— კარგია, მე შენ გაჩვენებ, რა სისწორესაც ამბობ!—დაემქრა პეტრე და ჩამოშორდა.

— ვიცი, ვიცი, რასაც მაჩვენებ და რა შვილიცა ხარ, მე მაგითი ვერ შემაშინებ!—მიაძახა სიმონმა კანტორისკენ მიმავალ პეტრეს.

სალამოზე მუშაობის გათავების დროს ორი ზორბა პოლიციელი მოვიდა ქარხანაში და გასავალ კარებში ჩადგა.

ქოსა სიმონმა პოლიციაში ამოჰყო თავი.

## II. იუდა გამცემელი.

დილაა. გამარჯვებული პეტრე თავმომწონედ მიდიმოდის ქარხანაში და მუშებს მგელივით უბღვერს.

ქოსა სიმონის დაზგაზე ახალი მუშა მუშაობს, დაბალი ტანისა, ნახევრად ქაჩალი. მუშებში ჩუმი მითქმამოთქმაა, ერთმანეთში ჩურჩულობენ. თვით ახალი მუშაც მალმალე მიდის ამხანაგებთან და ხელების ქნევით გაცხარებული რაღასაც ეუბნება, სახეზე ეტყობა გაჯავრება და უკმაყოფილება.

— იუდა გამცემელო!—უცებ მოესმა ზურგს უკან წყნარად მოსიარულე პეტრეს.

მან მიიხედა უკან, რომ გაეგო, თუ ვინ დაიძახა. ყველანი თავჩაქინდრული მუშაობდნენ.

— იუდა!—კვლავ მოესმა ზურგს უკან.

პეტრე აღელდა. ამაოდ ცდილობდა ენაზა დამძახებელი, მაგრამ ვერაფერი გაიგო. რამდენიც მოტრიალდებოდა, იმდენი „იუდას“ ეძახდნენ ზურგს უკანიდან.

— იუდა! იუდა!—კვლავ მოესმა ზედიზედ.

მიიხედ-მოიხედა და კინაღამ გულს შემოეყარა. ახალი მუშა, რომელმაც მხოლოდ დღეს დაიწყო მუშაობა სიმონის ადგილას, კბილებს დაეკრიჭა და საზარლად იღიმებოდა.

— შენ ეი, ახალო, რას იღიმები!—გულმოსული შესძახა და ახლო მივიდა.

— მერე რა არის, რომ ვიღიმები,- გაღიმება ხომ აკრძალული არ არის?—იკითხა ახალმა და კბილები უფრო მეტად დაკრიჭა.

— შენ დაიძახე წეღან იუდაო?—ჰკითხა პეტრემ.

— აბა მაგას როგორ გაკადრებდით, რა გიგავთ თქვენ იუდას, იუდა მავეგრემანი იყო და თქვენ კი ქერა ხართ, ამასთან ის ებრაელი იყო და თქვენ კი რუსი ხართ! —დაცინვით მიუგო ახალმა მუშამ, რაზედაც მთელმა ქარხანამ გადიხარხარა.

ამან მთლად ცეცხლი მოუკიდა პეტრეს.

— აქ ტაკიმასხარები საჭირო არ არის, თუ მუშაობ, იმუშავე, თუ არა და, მოშორდი აქაურობას!—შესძახა გაბრაზებულმა პეტრემ.

— მართლა ამბობ, თუ ხუმრობ?—განაგრძობდა დაცინვას ახალი მუშა ქარხნის საერთო სიცილ-ხარხარში:
—რა ხუმარა ვინმე ყოფილხარ!..
—რა ხუმაგა ვინმე ყოფილხარ!.. ცირკში კლოუნია საჭირო, ხომ არ ინებებ მის ადგილის დაკავებას?..

— ჩუმად, არამზადავ!—დაუღრიალა პეტრემ და კანტორისკენ გაექანა.



აჭარისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე მუედინ სურმანიძე.

ორი წუთის შემდეგ ახალი მუშა დაითხოვა ქარხნის ადმინისტრაციამ. მიზეზი უფროს ოსტატის შეურაცყოფა იყო.

პეტრე კი ახალ გამარჯვებას დღესასწაულობდა.

ქუჩის კუთხიდან მეორე ღია ფანჯარაში გამოჩნდა ახალი მუშის დაკრეჭილი კბილები.

— იუდა, მშვიდობით!—შემოსძახა იქვე მდგომმა პეტრეს და წყნარად გაუდგა გზას.

უკანასკნელმა მხოლოდ კბილები გააკრაჭუნა ჯავრით და არაფერი სთქვა. ის დადგა მარჯვე ადგილას და იქიდან უთვალთვალებდა მომუშავე მუშებს. ზურგს უკან არავინ ჰყავდა ისე მოხერხებულად იდგა.



აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მემედ გოგიბერიძე

— ნეტა როდემდის იდგება ისე?—წაიბუტბუტა ტიმოთემ, რაც არ გამოეპარა პეტრეს.

— შემ რა დათვივით ბუტბუტებ!—დაუძახა მან.

— მე?

— დიახ, შენ...

— მე?—კვლავ ჰკითხა ტიმოთემ და ღიმილით მიაჩერდა.

— ხომ არ გინდა სიმონას მიგაყოლოთ?—დაემუქრა პეტრე და კანტორაში შევიდა.

## III. პოლიციის სამმართველოში.

ქოსა სიმონა პირდაპირ ბოქაულს წარუდგინეს.

— შენ ის რაები გიყბედნია ქარხანაში?—მკაცრად ჰკითხა ბოქაულმა და თვალებში მიაჩერდა.

— მე არაფერი მითქვამს...

— უარი არაფერს გიშველის, ჩვენ უკვე ვიცით, რომ შენ ყბედობა გიყვარს...

— ეგ არ არის მართალი, მაგ ამბავს იუდა მოგიტანდათ, რადგან იმას ჩემი ჯავრი სჭირს...

— ვინ იუდა?

— ჩვენი უფროსი ოსტატი... იმან მე დიდი ხანია თვალიდან ამომიღო და, არ იცის, როგორ მომიშოროს თავიდან...

— რად ეძახით იუდას?

— იმიტომ, რომ თითონ მუშაა და მუშისა კი არაფერი სწამს, სულ ერთავად დაბეზღებაშია... მუშებს ის ყოველთვის ძირს უთხრის, ასმენს... ამასთან ოგინება ხშირად და უსაბუთოდ ილანძღება...

— აგრე გინდათ, გასალანძღი რომ არ იყოთ, არ გაგლანძღავდათ...

— ჩვენ იმას იუდა დავარქვით!

და გაანთავისუფლონ კაპიტალიზმის ბრჭყალებიდან; ნამდვილად კი წყალს ამღვრევენ, რომ მღვრიე წყალში უფრო ადვილად დაიჭირონ თევზი"...

— ბატონო პეტრე, აბა აქ მობრძანდი ერთი წუთით, დაუძახა აყლაყუდა ტიმოთემ.

პეტრე ახლო მივიდა.

— რაშია საქმე,—იკითხა მან.

— საქმე იმაშია, რომ დღეს ჯამაგირებს მივიღებთ და, მე შევიტყვე, რომ ნახევარ დღისა უნდა გამომექვითოს.

— მართალია, დაგვიანების ჯარიმად,—მიუგო პეტრემ.

— ათი წუთი დავიგვიანე და ნახევარ დღისას მიქერთ?

— ასეა წესი!

— თქვენს ათ წუთს რომ ხედავთ, რამდენი ათი წუთები მიმუშავნია ზედმეტი და არაფერი მითხოვნია, რატომ იმას არ ხედავთ?

— ეგ ჩემი საქმე არ არის, ადმინისტრაციის საქმეა...

— მერე ადმინისტრაციას ვინ ჩააბარა ჩემი დაგვიანება?

— არ ვიცი, მაგაზე ლაპარაკი ზედმეტია,— მიუგო პეტრემ და გაშორდა.

ტიმოთემ თვალი გაადევნა.

— აი შე მართლა იუდავ!—მისძახა ტიმოთემ.

— ეგ რა სთქვი, გაიმეორე!—დაუყვირა გაფთრებულმა პეტრემ და ორი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— რაცა ვთქვი, გამგონმა გაიგო, მაგრამ თუ გინდა, გავიმეორებ—იუდა!ნამდვილი იუდა ისკარიოტელი ხარ!—დაუძახა გაბრაზებულმა ტიმოთემ.

მაგრამ პეტრეს აღარაფერი გაუგია, ის გაბრაზებული მირბოდა კონტორისაკენ. მთელი ქარხანა გულიანად ხარხარებდა.

ქარხნის გამგემ სწრაფად მიიხმო ტიმოთე კანტორაში.

— თქვენ დაჯარიმებული ხართ დაგვიანებისთვის,— გამოუცხადა მან.

— მე ათი წუთი დავიგვიანე და თქვენ კი ნახევარ დღით მაჯარიმებთ, როგორ არის თქვენი საქმე?!— დაუყვირა ტიმოთემ.

— ნუ ყვირით, მე ყვირილისა არ მეშინიან,— მიუგო გამგემ;—აი მიიღეთ თქვენი ჯამაგირი და წადით, დათხოვნილი ხართ ქარხნიდან...

— მადლობას მოგახსენებთ, შვიდი-რვა წელიწადია შეუწყვეტლივ ვმუშაობ სინიდისიერად და ახლა ცო-ერთი სიტყვისთვის მითხოვთ, მარტო ეს კი არ არის იუდა, შენც იუდა ხარ!—შემოსძახა ტიმოთემ.

— დარაჯებო! გაიყვანეთ აქედან!— დაიღრიალა გაბრაზებულმა გამგემ და ორი იქ მყოფი დარაჯი ეცა ტიმოთეს.

— მცირე ბრძოლის შემდეგ ტანისამოს-დაგლეჯილი და კბილებ-ჩამტვრეული ტიმოთე ქუჩაში გამოაგდეს.

როდესაც ის დარაჯებს ქუჩისაკენ მიჰყავდათ გაკავებული, პეტრემ ორჯელ კისერში წაარტყა და ერთიც მაგარი ამოჰკრა.

ასე მოიშორეს აყლაყუდა ტიმოთე ქარხნიდან.

ქარხანაში კი ამ დროს ბზრიალასავით ტრიალებდა ტიმოთეს მეზობლად მომუშავე ეგნატე და მთელს მუშებს გაფიცვისაკენ მოუწოდებდა:

— ამხანაგებო!—ხმამაღლა იძახდა ის:—ჩვენს ამხანაგს სცემენ, კბილებს ამტვრევენ და კატის კნუტივით ქუჩაში აგდებენ!.. ამის მოთმენა შეუძლებელია ჩვენც გვინდა ადამიანური პირობები! წარვუდგეთ ერ-



ყოფილ მენშევიკთა ერთ ერთი ჯგუფი

თად ქარხნის გამგეს და მოვითხოვოთ ჩვენი ამხანაგის უკან დაბრუნება და პეტრეს დათხოვნა!.. თანახმა ხართ

— თანახმა ვართ!—ერთხმად დაიძახა მთელმა ქარხანამ და ორ წუთში ქარხანა დაიცალა მუშებისაგან.

შეჩერდა მანქანები. შეწყდა მათი გრიალ-ხრიალი.

მეორე დღეს ქარხანა გამოკეტილი იყო.

დარაჯები ქარხნიდან შორს მიერეკებოდნენ.

## 5 გამარჯვებული ხალხი

გაფიცვა იზრდება. მან საერთო ხასიათი მიიღო. ქალაქის ყველა ქარხნები შეჩერდა. შეჩერდნენ პატარა სახელოსნოებიც კი.

მთელი ქალაქის მუშები ქუჩაში არიან.

პოლიციელები აღარ სჩანან, სადღაც მიიმალნენ. რევოლიუცია თანდათან ცხოველდება...

ქუჩა-მოედნები სავსეა მუშებითა და რევოლიუციონერ ჯარის-კაცებს.

დაიკეტა სავაჭროებიც. მარტო სანოვაგის და პურის დუქნები ვაჭრობენ.

ხალხში ჩოჩქოლია. დადის ყრუ ხმები მეფის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ.

ხმები გამართლდა. ქალაქში გააკრეს ოფიციალური განცხადებები; მეფე მართლა ჩამოუგდიათ. შესდგა დროებითი მთავრობა.

ხალხის სიხარულს საზღვარი არ აქვს, გამარჯვებას დღესასწაულობს...

ქალაქი ზღვას ჰგავს, აზობოქრებულ ზღვას...

— გაუმარჯოს თავისუფალ პროლეტარიატს!

— გაუმარჯოს ჯარს! გაუმარჯოს რევოლიუციას!..

— გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ!— ისმის ხალხში.

მთავარ ქუჩაზე მოდის ზღვა ხალხი.

მოფრიალებენ წითელი დროშები აუარებელი ლოზუნგებით.

მოდღესასწაულე ხალხი მოდის და დღეს პირველად მოიძღერის თავისუფლად:

„აღზდექ, ბედშავო შრომის შვილო,
ქვეყანავ მშიერ მონების;
საბედისწერო ომში გვიწვევს
ჩვენ აღშფოთება გონების!.."

ქუჩის ნაპირას ფარნის ბოძთან დგას გაფითრებული და შეშინებული ჩვენი ნაცნობი პეტრე.

ის ეხლა სინანულით შესცქერის მუშათა ზღვას, რომელიც მძიმე-მძიმედ მიდის შუა ქალაქისკენ.

ხალხი მოდის შუა ქუჩაზე, ტროტუარებზე.

პეტრე ძლივს იკავებს თავს, ბოძს ეჭიდება.

ხალხის ტალღა კი თან წაღებას უპირებს.

— ამხანაგო, რას ეჭიდები მაგ ბოძს, გაჰყევ პროცესიას!—შესძახა ვიღაცამ და ისიც შეერია ხალხის ზღვას, რომლის ტალღებმაც შთანთქა იგი, დაიმალა აღარ სჩანდა.

ქალაქის შუა მოედანზე გრანდიოზული მიტინგია. ტრიბუნაზე რიგ-რიგით ადიან ორატორები და ხალხს გამარჯვებას ულოცავენ, სიტყვებს ამბობენ.

ხალხი გრვინავს. ხალხი ზეიმობს...

## 6 მოულოდნელი შეხვედრა

დაღამდა. ელექტრონმა დღესავით გაანათა მთელი მოედანი და ის არე-მარე.

მოზეიმე ხალხი კი სრულიად არ ჰფიქრობს სახლში წასვლას, თითქო რაღაცას ელისო, მოედანს არ სცილდება.

პეტრეც დადის ამ ხალხში და ჰფიქრობს: „რად ვექცეოდი ჩვენი ქარხნის მუშებს ისე სასტიკად? მეც ხომ მუშა ვარ? მეც ხომ ადამიანი ვარ, ვისგანაც ეს ზღვაა შემდგარი?.. რა მოვიგე გარდა იმისა, რომ მთელი ქარხანა „იუდას" მეძახდა?"

დრო გადავიდა. მოედანი ნელ-ნელა იცლება. შეთხელდა ხალხი.

პეტრე კი დაფიქრებული დგას ერთ ადგილას. ნანობს თავის წარსულ მოქმედებაზე, მაგრამ როგორ გამოასწოროს ერთხელ ჩადენილი შეცდომები, ვერ მოუფიქრებია...

— გამარჯობა ამხანაგო პეტრე!—უცებ მოესმა გვერდიდან.

თითქო მეხი დაეცაო, ისე იმოქმედა ამ ხმამ პეტრეზე; გაშეშდა ქანდაკებად იქცა, ხმის ამოღება ველარ მოახერხა.

—— გამარჯობა,—კვლავ მოესმა მას და წინ გამოეჭიმა მაღალ-მაღალი და ძალზე გამხდარი კაცი, მხარზე თოფ-გადაკიდებული.

თოფიანი ღიმილით დასცქეროდა პატარა ტანის პეტრეს.

ელდანაცემი, შეშინებული პეტრე კანკალით შეჰყურებდა მას. ენა დაება, სიტყვა გაუწყდა. მას ვერ გაეგო, თუ რას ნიშნავდა მისი ღიმილი.

ეს იყო აყლაყუდა ტიმოთე.

— ვერ მიცანი?—ჰკითხა ტიმოთემ და განაგრძობდა ღიმილს.

— დამკარი!.. მომკალი!—ძლივს წაილუღლუღა პეტრემ.

— რადა?—სიცილით ჰკითხა ტიმოთემ.

— იმიტომ, რომ მე შენ ბევრჯერ გაწყენინე...

— არა, ამხანაგო პეტრე, ვინც ძველ ამბავს გაიხსენებს, იმას თვალები უნდა ამოვთხაროთ!..ის, რაც იყო, წავიდა, ჩაიარა... ის დრო მოკვდა!..

— მაპატიე... მაპატიე... შევრიგდეთ...

— შევრიგდეთ!—მხიარულად უთხრა ტიმოთემ და მაგრად ხელი ჩამოართვა.

ტიმოთეს გულკეთილობით აღძრულ პეტრეს თვალთაგან ცრემლი წამოსცვივდა.

მოზეიმე ხალხი დაიშალა.

ქუჩა-მოედნები დაიცალა.

გულ ჩაკლული პეტრე კი დიდხანს დაფარფატებდა ქუჩაში და სახლში წასვლაზე არ ჰფიქრობდა. სინიდისი ჰქენჯნიდა საშინლად...

**მუშა ნიკო ახლამაზაშვილი.**



მუშის დამარხვა. ნახ. მექსიკელი მხატვარის ჯონდის



# კოშკში

წელს ზაფხულის გატარება გადავწყვიტე ისეთს ადგილას, სადაც ხმაური არა სწვდება...

აგარაკები იგივე ქალაქია...

მოსვენებას არ იძლევიან მოლაყბენი.

მინდა ჩემს თავთან დარჩომა... დასვენება...

ამისთვის ძველის-ძველი სასახლე კოშკში ამოვირჩიე.

კოშკს დასავლეთისკენ აქვს სარკმლები...

შებინდდება თუ არა, ძველი ლანდები გადმოიშლებიან...

ხავს-მოდებული კედლები ლაკოწკებული ზღაპრებს რებს იგონებენ...

დღისით დაბურული ჩემი გული იხსნება მოჩვენებათათვის...

სადაც უნდა სცხოვრობდეს ადამიანი... რა გრძნობებითაც არ უნდა იყოს მღელვარე: სიყვარულით, თუ სიძულვილით...

თუ ჰე ნეს იცნობს,—უეჭველიად იგი მოაგონდება..

ჰეინეზე ღრმ დ არავის ჩაუხედნია ადამიანის სულის კუნჭულებში...

მხოლოდ ჰეინეს შეეძლო ეთქვა:

— თვითეული ადამიანი—მსოფლიოათ...

— თვითეულ სამარეში დამარხულია ქვეყნის ისტორიაო...

ეს სიტყვები კოშკში უფრო მაგონდებიან...

თუ კი თვითეული ადამიანის სამარე მსოფლიოა, მით უფრო დიდი სამარე იქნება ეს კოშკი, სადაც თაობა თაობასა სცვლიდა... საუკუნე საუკუნეს...

და ყველა ისინი იმარხებოდენ აქა...

დავალ ამ საფლავეთა შორის...

დავალ როგორც როდენბახი მკვდარ ბრიუგეში...

აქ გაიყინნენ ოცნებანი მრავალ ჭაბუკთა...

აქ იფრქვეოდნენ სეფე-ქალთა სიყვარულის ცრემლები...

რამდენ ღრეობის მოწმეა ეს სახლი...

რამდენჯერ შემოტრიალებულა იქ აზარფეში...

რამდენჯერ ახმატკილებულა ეს დარბაზი ზესიკის შიქასტებით...

უეჭველია აქაც ხანდახმით მაინც შემოიჭრებოდა ბობოქარი ხმები ალ. ბატონიშვილის სევდა შოპენს რომ მოესმინა, უფრო ააჭვითინებდა მისს სამგლოვიარო მარშს.

მაგრამ...

არ ესმოდათ... არ ესმოდათ მისი დამწვარი გულის ძახილი...

ეს კედლები უფრო ბევრს მეუბნებიან ფუფუნებასა და გახრწნილებაზე...

ვინ მოსთვლის, აქ რამდენ ყმა ქალისთვის აუხდიათ ნამუსი...

ან რამდენი კეკლუცი გაუგზავნიათ ჰარამხანებისთვის მისაყიდად...

---

ამ გალავანში ორი ძველი საყდარია:

მდიდრებისთვის და ღარიბებისთვის...

ლოცვაც ხომ ორნაირი იცოდნენ:

რთული და მარტივი...

აქვეა დაკიდებული ძელი...

ძველად ზარის მაგივრად ძელსა ჰხმარობდენ...

ურის არტყავდნენ გამხმარ ძელს და მისი ზრიალით მოუწოდებდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რეკა მწუხრის ძელისა,
რეკა მწუხრის ძელისა!“

მაგონდება დიდი ჰიმნოგრაფის გიორგი მთაწმინდელის ლირიული ატირება:

მე მივდივარ და უროს ვარტყამ ძელსა...
არავინ მეხმაურება...

ის მსასოებელნი წვანან მიწაში...
აი მათი საფლავების ლოდებიც...
პატარა, მინიატურული სასაფლაოა...
ესაა ადგილი, რომელსაც ბევრი ქვითანი მოუსმენია...
მაგრამ ბევრის გაგრილებასაც მოსწრებია...
საფლავის ქვებს ძლივს-ღა აწერია:
„საუკუნოდ იყოს“...
დანარჩენი-კი აღარ ეტყობა... წაშლილია...
წაუშლია დროის ულმობელს ხელსა...
მიცვალებულნი-კი... მაინც ელიან... ელიან მკვდრეთით აღდგომასა...

---

ლატაკთა საყდარშიაც შევდივარ...
რამდენი ცრემლი დაფრქვეულა აქა...
გამწარებული, უენო, მუნჯი, გლეხი აქ ამ სადა ხატების წინ ამოიდგამდა ენასა და შესჩიოდა თვისს გულის ტკივილს...
ის კი... ზენაარი ყრუდ რჩებოდა...

---

კოშკის ალაყაფის კართან გდია ვეება ლოდი...
„ქალქვას“ უწოდებენ მას დღესაც გლეხები.
ერთი ქალისთვის ვილაცა ვერაგს თავი მოუჭრია...
ეგება თქმულებას წინეთ კიდევაც ახსოვდა ამ უბედურების გამომწვევი მიზეზი, მაგრამ ახლა დაუვიწყნია ხალხის მეხსიერებას.
თავ-მოჭრილი ქალი გაქვავებულა...
ვინც უნდა გაუაროს და რამდენიც არ ეჯაჯგუროს, ძვრას ვერ უზამს...
მაგრამო,—გადმოგვცემს თქმულება,—თუ მისიანი მივიდა...
თუნდა ოდნავაც დაეჭიდოს...
ოღონდ უთხრას ლოდსა:
ადე, შენი გვარისა ვარო,—ქვა შეინძრევა თურმე...

---

ბევრი ამისთანა ლეგენდა ხავსივით ბიბინებს ამ კოშკის არე-მარეში.
აი ეს ქედიც, რომელსაც კვლავ „სამთა მთას“ ეძახიან.
ამ სახელშიც ჩაქსოვილია უმანდელი დრამის ნაწყვეტი...
ოდესღაც ერთი ქალი ორს მწყემსს ჰყვარებია...
ორივ მწყემსი ღვიძლი მეგობარი ყოფილა...
თავის დღეში ერთმანეთისთვის არაფერი უწყენიბიათ...
ახლაც რომ შუღლი არ ჩამოვარდნილიყო—გადასწყვიტეს:
გამოსდგომოდენ ქალს; რომელიც დაეწეოდა, მისი უნდა ყოფილიყო ქალი...
ასეც მოიქცნენ...
მაგრამ...
მოეწია ისა, რომელიც ქალს არ მოსწონდა...
ქალმა დაიწია მეორისკენ და სამივე გაქვავდა...

---

ეს კოშკი ძველად მეწინავე დროშად ითვლებოდა...
მტერი ხშირად მოსდგომია, მაგრამ კოშკი უდრეკლად დაჰხვედრია...
ამიტომ „უშიშარი“ დაურქმევიათ თანამედროვეებს...
ყველა ციხე რომ აიღო, ეს არ დაჰნებდებოდა...
როცა მტერი გამოჩნდებოდა, „უშიშარი“ განგაშს ასტეხდა...
თუ ღამე იყო— აქ ცეცხლის გააჩაღებდნენ...
ყველა ციხე უმალვე შეამჩნევდა ცეცხლსა...
მყის გაიგებდა მტრის მოახლოვებას და მოემზადებოდა დასახვედრად...

ეს იყო ცეცხლის ტელეგრაფი, ცეცხლის სხივწერილი...

---

ერთხელ-კი საგრძნობლად დაზარალდა „უშიშარი“...
ეს მოხდა შაჰ-აბაზის დროს...
მან მოაოხრა მთელი ქართლ-კახეთი...
„უშიშარსაც“ ეკვეთა მრისხანედ...
მაშინ შეიკრა უშიშარმა შუბლი...
ის დღეა და ისა...
აღარ გახსნია კოპები...
რაც გადაურჩა მტრის ამტუტებას, იმას აჩანაგებს დრო-ჟამის ულმობელი ეშვები...
ეს ეშვებია: ’არიშხალი... წვიმა... თქეში....
და იფქვება კოშკი ამ კბილებისაგან... იფქვება...
ყველაფერზე ეტყობა, რომ მოჰკვდება „უშიშარი“, გაცამტვერდება...
და ეშინიან „უშიშარს“ ასეთი სიკვდილისა...
იგი ებრძვის გარდაუვალობას...
მაგრამ ამაოდ...
მისი ბებერი იატაკი ჰრიჭინებს...
მთელს შენობას ღრმა მოხუცსავით მუხლები უკანკალებს...
იგი თავგვივით უჩუმრად ეპარება და ჰფქვავს-ჰფქვავს.
მალე სრულიად აღარაფერი დარჩება მისს მოსაგონრად...

---

ხალხიც შემოსწყრომია ამ კოშკსა...
აღარ ეკარება...
ხალხის წარმოდგენით ეს კოშკი ავსულების საზიზღრად არის გადაქცეული...
როცა ამ კოშკს გვერდით გაუვლიან გლეხები—გადაიფურთხებენ...
თანაც აკანკალებული ხმით იტყვიან:
— აგერ იქ ალები სცხოვრობენო...
ქრისტიანულის მომგვრელია აქაური ოთახები...
უქველია აქედგან პოეს ოცნება ბევრს მოჩვენებებს გაესაუბრებოდა...

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

ამ კოშკს მკვიდრ მემამულეთა გადაშენება და ამოვარდნა უფრო მეტად ახარებს ბაყაყებს...
ბაყაყები ახლა დიდს ყოფაში არიან...
შეუწყვეტლივ გააქვთ კრუალი...
წინეთ კი ვერ გაჰბედავდნენ ამ სერენადების მთვარესთან გაბმას...
ვერ იყიყინებდნენ ასე თავისუფლად...
მაშინ ხომ დაუფრთხობდნენ ძილს იმათ, რომელთა ძარღვებშიაც დიოდა მტრედისფერი სისხლი ლიპარიტთა და სხვა ქედ-ფიცხელ ფეოდალთა...
მათთვის სათუთი ძილის მოსაგვრელად მხოლოდ ბულბულთ შეეძლოთ გალობა.
ბაყაყთა ჩასაჩუმებლად კი ტბის კიდეებზე ცისმარეღამე გამწკრივებული იყვნენ საგანგებო გუშაგები, რომელთა მოვალეობას მხოლოდ ბაყაყების დაჩუმება შეადგენდა...

---

ძველადაც არსებობდა კულტურა, თუმცა მონობა იყო აუტანელი...
კულტურა უმცირესობისთვის...
ეს ციხე-კოშკნი მონათა ოფლითაა ნაშენი...
თვით მონები-კი მიწურებში ბუნაგობდნენ პირუტყვზე უარესად...
მეჯავრიბა ეს ბუდე ფეოდალთა...
ამას შემშრალი აქვს მონათა ოფლი... სისხლი...
აქა ჰყიოდენ საქართველოს ბითუმად და ნაჭრობლივ.
მაგრამ მიყვარს კიდეც...
ძველმა საქართველომვე მოგვცა: „ვეფხის ტყაოსანი“, ზარზმის გენიალური მხატვრობა... ჯვრის კოლოსალური მონუმენტი...
ხუროთ-მოძღვრების ფასდაუდებელი მორთულობანი...

აი თუნდა ეს ჩუქურთმა—ყვავილი ძველთა ესთეტიური მზნებისა...

რაოდენს რასმეს გვეუბნება...

— შორეულო, უცნობო ხელოვანო!...

— დალპნენ შენი ხელები, რომლითაც ამ შენობას ალამაზებდი...

ჩაჰქრნენ ის თვალები, რომლებიც ამას ჰგეგმავდნენ...

მოგვიტევე, რომ აღარაფერი შეჰრჩენია-რა ამ შენობას ძველი მშვენებისა...

კედლები ყავარ-ყავარ დახეთქილია.

ზოგან ველური მცენარეებიც კი ამოსულან.

სულსა ჰხნედავს სიძველეთა ნოტიოიანი ჰაერი.

ყველაფერს ლპობა შეჰპარვია...

დიდი ხნის გვამსავით იშლება, იხრწნება ეს შენობა...

მე ფრთხილად, ტაატით დავალ, რომ არ მოიმზელეს...

ჭრიალებს საცოდავი იატაკი...

მოსთქვამს, რომ შევალონე მისი დაბერებული სახსრები...

აქ შუაზამთრის თაელსავით ჩამობარდნილია სიკვდილის მარადიული, ძილი...

ამ სიკვდილის ბურანში მე ვიმყოფები ერთად-ერთ ცოცხალ-სიზმრად...

წარსულის გვამზე მდგარი ვოცნებობ ახალის მწვერვალებზე...

— —

სოციალისტი, რევოლიუციონერი მოველი ამ ფეოდალთა წიაღში, მაგრამ მაინც გაუხარდა ლოდინით დაღლილს კოშკს ჩემი წვევა.

იგი ხომ ძველი თავადების ბუდე იყო...

სხვა სიკეთე იკითხეთ, ~~~კ ხრდილობას ვერ დაუწუნებდით...

ჯიშიანი მოკრძალება იცოდნენ...

არც ახლა გადადიან საზღვარს...

თავაზიანად მღებულობენ...

ამ დარბაზში დიდი ხანია ჩამქრალა ბუხარი...

არსადა სჩანს მეზღაპრე, რომ ფანტასტიური თქმულებებით გაგვაფითროს...

მაგრამ ამზის მთხრობლად დარჩენილან სურათები...

მეგონა მარტოობის სიტკბოების განცდა აქ შეიძლებოდა, ძველს კოშკში...

მაგრამ აქაც არიან ადამიანთა მოგონებანი...

აქ არიან ღმანდელი მცხოვრებნი—დღეს აჩრდილებად გადაქცეულნი...

ყველგან... ყველა ოთახში ამ აჩრდილთა სურათებია...

ბოზებისაგან არიან დალაქავებულნი...

აბლაბუდის ქსელი ჰფარავთ...

მტვერი ზრქალად გადაჰბნევიათ...

ოდესღაც ვიღაცისთვის ძვირფასი იყვნენ ეს სურათები...

მათ ვიღაცის თვალები სასოებით ეალერსებოდნენ.

დღეს-კი აღარავისთვისა აქვთ მნიშვნელობა.

მე სტუმარი ვარ ამ ლანდებისა...

მათს სურათებს ვაცქერ მტვერს, რომ ვესაუბრო, მაგზიანი ვიყო...

ვცდილობ, როგორც სტუმარს შეჰშვენის,—მეც თავაზიანი ვიყო...

არ ვეჩხუბო...

ძნელი კი არის ამ იშვიათი სათნოების დაცვა ამ ვაჟბატონებთან...

რას ვემართლები?..

აი კუთხე შეცმირაში ჰქ საფლონის გენერლისა.

ბიუროკრატიამ რამდენიმე ფუძი ჯვარ-მენდლები დაიბარა რუსეთიდან მათს გადასაგვარებლად და გადასაბირებლად...

მიაღწია კიდეც შავს ოცნებას...

ეს გენერლები ჰყიდდინ მშრომელთა საქართველოს ყოველს წვეთს... ყოველს წამს...

აი ბობოლა ბიუროკრატი გიორგი მუხრან ბატონი...

იგი მქადაგებელი იყო საქართველოს ვადაშენებისა...

სრულიად საჭირო არაა მშობლიური ენა. უცხოეთიიოლს წავალთო...—გრაფუნებდა იგი მოუკლავ წინაპრების ფქილივით...

რა ბოროტი ღიმი დაჰკროდა...

იუდაა, პირწავარდნილი იუდა...

ეგრე როგორ დაეძგზავიან ერთმანეთსა..

ეს აჩრდილები წარსულის უფსკრულიდან ამოდიან და იგინიც ნანობენ, რომ ტოკლეა ადამიანის სიცოცხლე...

აღარ შეუძლიანთ განაგრძონ სასიქადულო „ვაჟკაცობა“.

ბევრს უფრო გულის გამწყალებელ ღალატის ამბებს მოგვითხრობენ ეს გენერლები..

სიბრაზე ყელში მებჯინება..

ისინი რომ გაცოცხლდენ, დავერეოდი... შურს ვიძიებდი...

სამაგიეროს გადაუხდიდი...

ხმალში გამოვიწვევდი ყველასა...

—:—

ბევრს, ბევრს მოჩვენებებს გააქვთ აქ ზიმზიმი...

ასე მგონია ამ აჩრდილებს ერთმანეთში საუბარი ჰქონდეთ გამართული...

უმეტეს შემთხვევაში ჩვენი, ახალი დროის დაცინვაში არიან...

ხა,ხა,ხა,ხა,ხა!.. რას სჩადის ეს გადარეული ხალხი...

მოსპეს კეთილშობილება...

გაათანასწორეს გლეხუქები და ბწყინვალე აზნაურები...

მოსპეს პოეზია... სილამაზე...

ბალნარები მაზუთით გათხუპნეს...

რაღაც სოციალიზმზე ჰბოდავენ...

ეფსუს ძველო, დროვ... ეფსუს!..

ბუზღუნებენ იგინი და მე ვერ ვიკავებ თავსა... მეც ნიშნს მოუგებ:

— გათავდა მოწყალეო ხელმწიფენო, თქვენი ამბავი... გათავდა, ვითა სიზმარი ღამისა...

დაგიდგათ ჟამის სიმუხთლე... ნიათი გამოგეცალათ...

თქვენი ადგილი დაიჭირა ხერხემალ მაგარ წოდე-

ბ.ძ. ~ომელთა წინაპრებს თქვენ კალოში აბამდით...

ყველაზე მეტად იმ ბრწყინვალე გვამს მოსდის ჩემზე ჯავრი, რომელსაც მკერდზე უანგარიშო ორდენები აქვს გამწკრივებული...

—რაო, ხალხს ემსახურებიო?.. მეკითხება იგი გაკვირვებით და არ უნდა მისი დაჯერება...

— რომელ ხალხს?.. აი იმ წილიანებს?..

კარგი ვინმე კი აგირჩევია სათაყვანებლად...

— ვეფო,რა ჭიან-ტყემალი მოგართვეს, რომ ისე თავი გამოგიდვია მათთვის...

მოდი გონს... დაფიქრდი...

და რომ ვერ მოჰმედებს ჩემზე—ბოლმა ყელში აწვება ვგონებ ქლოშინსაც კი აპირებს...

მას კვერს უკრავენ ის კნეინები, რომელნიც ისე გაფუქსავატებული იყვნენ, რომ დიდ რომანტიკოსს ნიკო ბარათიშვილსაც კი სახლში არ უშვებდენ...

—:—

მაგიდის უჯრაში ვპოულობ დაყანგებულ ჯვარ-მენდლებს...

ოო... ეს ორდენები...

ამის სიყვარულით ჰლუპავდენ ჩვენ ქვეყანას...

ვილებ... ვათვალიერებ...

რამდენი სიხარული გამოუწვევია მათ ფუქსავატ საზოგადოებაში...

რამდენი პატივი ჰქონიათ.

რამდენი შეუშინებიათ... დაუჩაგრიათ...

ოდესღაც ამ ორდენების ყურებით ბევრი თვალები სიყვარულით აციმციმებულან...

მათით შემკულ ბევრს გულის სიყვარულის ლოცვები წარმოუთქვამთ

და დალპნენ ყველანი... მაინც დალპნენ...

—:—

ალარა ჰგავს წინაპრების—ყმების ღიღინს, რომელიც „მწუხარე იყო, ვით გლოვის ზარი“...

ამავ გალავანში სდგას ბებერი ჭადარი...

მთლად გადამხმარია...

სცოცხლობს მხოლოდ ერთი პატარა ტოტი...

იგიც ფოთოლთა შრიალით შორეულს წარსულზე მოსთქვამს...

ის რაღად მისტირის საუკუნეებს?..

ჭადარიც წარსულის მოგონებითა მონისლული და მისთვის გაიყურება წარსულისკენ...

ასეა მუდამ...

ყველას თავისი დრო უყვარს...

უყვარს, თუნდა ჩაწყვდიადებული იყოს იგი...

მესმის... მესმის, ბებერო ჭანდარო, შენი დარდი... მესმის...

—:—

შორს, მინდერებიდან მოისმის ომახიანი, მაგრამ ტკბილი სიმღერა..

ყანის მკიდან ბრუნდებიან მკერდ გაღეღილი გლეხკაცები...

— „წავა, წავა, კარგა წავა,

და კარგადაც გათავდება“...

რაოდენი რწმენა და სასოებაა მათს სიმღერაში...

ელვარებულ ხმლებად იფრქვევიან მისი თვითეული ჰანგები...

თავისუფალი და უნაღვლოა მათი მოძახილი...

ეს კისკასა სიმღერა გულს მითავისუფლებს წარსულზე ფიქრით გამოწვეულ ჯავრისგან...

გრძნობებს სცილდებიან კაეშნის ეკლები...

მომავლისკენ მივმართავ თვალთა...

ოცნება ეალერსება ახალს საქართველოს... ახალს მშენებლობას...

წარსულთა აჩრდილები კი ბუზღუნით ჰქრებიან... იფანტებიან...

—:—

ნეტავი შეიძლებოდეს მომავლის განუჭვრეტელ ფარდაგის ახდა და დავლა, მისი ისე, როგორც დავიარე წარსულის ხეივნები...

ვესაუბრო მომავლის თაობას, რომელიც ჩვენს შემდეგ იცხოვრებენ...

ნუ თუ მეც ისე დავცინებ ახალს თაობას, როგორც დამცინოდენ ეს გენერლები?..

— ნუ თუ მეც მათსავით დავიწყებ კვეხნას:

— ჩვენი დრო სულ სხვა იყო,

— ჩვენი დრო სჯობდა თქვენსას!..

— მე და ახალი, ჯიმშიანი იდეების დაცინვა?..

— არა მჯერა... არა მჯერა!..

— თუ, მეგობრებო, როდისმე მოვახერხე და შევძელი მომავლის ჯერ ისევ დაუბადებელი საუკუნეების ქვეყანაში გადანავარდება—თქვენც გაგიზიარებთ შთაბეჭდილებებს...

— ჯერ კი შეიდობით!..

 დ. თურდოსპირელი.




## რწყილის არაკი, ჭიანჭველებს რომ უყვებოდა

სიზმრად და არა ცხადათ
დამჩემდა ერთი მადა.
ეს იმ ხანაში, როცა
დრომ გამგეობა მომცა.
დრო რას მომცემდა, მარა
დროს მე თვით ვიცი ხმარა,
„გაძრომა“, „გამოძრომა“
დამჩემდა, როგორც შრომა,
და მოხდა თავისთავად,
რომ მე დამნიშნეს „ხაზად!“
თავად რა ხდება ,მარა
სათქმელად მაინც კმარა.
არჩევ-დანიშვნა, შველა,
იგულისხმება ყველა.
გიშველეს მოგცეს ხელი,
შენც შემდეგ სხვებსა ჰშველი.
„ხელი რომ ხელს ჰბანს, შემდეგ
ორივე—პირს“, ეს მე მენდეთ!..

—:—

თქვენ იცით, რომ ამ დროში
სჭირს საშოვარად გროში.
სამსახურ-სამუშაო
ვინ უნდა მოგაქვეოს,
თუ რომ არ შეგწევს ხერხი,
მაგრად არ გიდგას ფეხი,
ან არ გყავს ნათესავი:
გამგე „პრედი“, თუ „ზავი“...
და თუ ასეთი გიზის,
ძალუგიძს მიღწევაც მიზნის.
მიზანი, რა მიზანი?
რა გქონდა კაეშანი?
თავიგილობა, არა?
შენც „ზავი“ დაგეხმარა,
ან ნათესავი „პრედი“
და სამსახურში შედი...

—:—

ხარ სამსახურში, მარა
მარტო ეს რომ არ კმარა!..

# კონტრაბანდისტთა ყოფიდან





1. რომ ულვაშები არ ამეღავნებდეს,
ეს ჩვენ ინგლისელ „დენდს“ მოგვაგონებს:
თითქოს თავის ძვირფას ტანისამოსში
გამოწყობილი ის თავს გვაწონებს.
2 მაგრამ... ჩუ!.. აგერ ხესთან ატუზვით
მას უცდის ვიღაც, ვით ბაქმანზე.
სახით კულტურულს ტიპს მოგვაგონებს,
თუმც ღარიბულად აცვია ტანზე...

მიუახლოვდა „დენდი“ ამ „ღარიბს“
და რაღაც ნიშნით ჩაუკრა თვალი,
მანაც თითებით ნიშნი აუხსნა,
მათ ამით რაღაც სთქვეს იდუმალი.
შემდეგ მან ჯიბეს გაიკრა ხელი
და პირველს მისცა „მცირედი ხურდა“;
პირველმაც იწყო „თავის განძარცვა“
და ტანსაცმლიდან მჯის ამოცურდა...
ნაძარცვი კი მან მოირგო ტანზე
და გაქრა, როგორც ტალღა-ქაფურა,
აქით პირველიც გაუდგა განზე
და „მოისკილა“ თვისი ჩაჭურა...

---

გყავს ბიძაშვილი, სიძე,
ნათლია, ჭოკის სიგრ[illegible]ე,
ნათლიასშვილი ჭროლა,
მის ცოლს ვაშლს უგავს ლოყა,
თვითონ ჰგავს რგვალ ფორთახალს,
ივანე ჰქვია ძახალს,
ხოლო დედამთილს—თეკლე,
ცოლის ძმას კი—ერეკლე,
უფროს ქვისლს მისას—ტიტე,
მეორეს—იპოლიტე,
ერთ ქვისლს ჰყავს ძმა-ივანე,
ე[illegible]ანი ჰყავს მოსე,
ივანეს—ანთიმოსე,
მოსეს ჰყავს ბიძა—გელა,
ანთიმოსსს—გაბრიელა,
ყველა ადგილს გთხოვს, ყველა...
შენს იქით არ აქვთ შველა!
და შენც რას იზამ, აბა?
ხარ, ვით ულელში ლაბა:
ნაცნობ-ნათესავთ შველი,
აქვთ გამოწვდილი ხელი,
და შენც ურიგებ ალაგს,
ბადეთ ედემი ქალაქს!..

—:—

და აი, ერთ დღეს ცხადათ,
(„მოდის ჭამაში მადა!“)
მოაწყვე ბიძაშვილი,
შემდეგ—ნათლული ჭყვილი,
ცოლის ძმა, მისი ქვისლი,
ნაცნობებს ვერც კი ითვლი,
გაბშირდა შტატი ერთობ
და შენც ამ შტატში კვერთხობ:
გზავნი და გაზენი ბარათს
დღეში რვას, ცხრასა, თუ ხან ათს,
გრძელდება „შტატის“ სია,
თითქოს ტყეს შეესია
და ხდება შემდეგ ტყეში,
რომ თითქმის ყოველ დღეში
მოდის ამბავი ცუდი:
აქ—„ჩეკა“, იქით—„სუდი“
კანტროლი, ინსპექცია,
თავზე ცას გამსხვრევს ქუდათ,
გარსაც, ვით აბლაბუდა,
გეხვევა აქნევ ხელებს,
სიმწრითაც დაგახველებს,
მაგრამ გვიან-ღა ხდება...
აქ კიდეც გელეიძება,
რადგან მოგისწროთ ცნობამ,
რომ თქვენში რწყილის გრძნობამ
გადაალაჯა საზღვარს,
რომ აქლემს უჭირს დაძვრა,
არ თუ ერთს, მთელს ქარავანს!..
მიმოთქმას, ავან-ჩავანს,
მართალს, თუ ზოგჯერ ჭორებს,
როგორც დატვირთულ ჯორებს,
ვით გრძელ გზას შეყენებულს,
გზაზეც ლაფს, შეჩვენებულს,
პარიზში უწევს კუდი,
იმე ღრმაა და ცუდი!..

ონისიმე.

# ჩიჩერინი და ანტანტა




ყველამ ვიცით: ევროპაში
მელა არის მეტად ფლიდი;
ერთხელ წერო მიიწვია,
პატივი სცა ვითომც დიდი!
კრედიტები გადმოუღო,
ძლივს სჩანდა თეფშის ძირზე;
მიირთვიო, პატივებდა,
იხტუნეო ამ ჩემს სტვირზე.
ეს კრედიტი იყო თხელი,
გაშლილიყო როგორც კარტი;
წერომ ვერც კი მიაკარა
თვისი გრძელი მას ნისკარტი!
შემდეგ წერომ სცა პატივი,




სამშვიდობოდ გადო ხიდი;
მაგიერ გადუხადა,
მოიწვია მელა ფლიდი.
რაც დასთესა, ის მოიმკო
ზეიმია მეტად დიდი.
ესესერის მთლად ვალები
ძლივს სჩანდა ბოთლის ძირზე;
მიირთვიო, ჰპატიჟებდა,
იხტუნეო ამ ჩემს სტვირზე!
მელა ხტუნვით გარს უვლიდა,
ენას ლოკავს, თვალს აცეცებს;
წერო ზეერჯელ გააცურებს
ევროპიელს გაქნილ მზეცებს!
ეს ამბავი ეუცხოვა,
ჯავრით მოსდის გაზეთ „მატენს";
ჩიჩერინი თავის სტვირზე
ათამაშებს დიპლომატებს!

ფიდი ლამია.

## როგორ გავემგზავრე ტფილისში

ხუთი წელი ისე გავიდა, რომ ერთი ტფილისში ასვლა ვერ მოვახერხე. ისე ვიწროდ დარჩა დამტკიცებული წასული წლების ჩემი ხარჯთ აღრიცხვა პატივცემულ ჩემი მეუღლის მიერ, რომ სამგზავრო თანხა ძლივს მეცრე გამოდგა და თუ იყო, ისიც იმდენი, რომ ბათუმიდან ქობულეთამდე სამგზავროდ მეყოფოდა, ვინაიდან შაბათობით ქობულეთში ანგარიშის გასასწორებლად უნდა მივსულიყავი ცოლთან, სადაც ის ხშირად ცხოვრობს ხოლმე. აი, სწორედ ამ მიზეზის გამო, ვერ მოვახერხე ტფილისის ნახვა ამ ხუთი წლის განმავლობაში. ბოლოს ტფილისის ნატვრა ქრონიკულ ავადმყოფობად გადამექცა და სულ იმაზე ვოცნებობდი.

— იქ ოპერას მოისმენ, იქ დრამას, ქუჩით რესტორნებში შეივლი, იქეთ ვინმე ძველ ნაცნობს ნახავ, რამოდენიმე კვარტ შავ ღვინოს მიირთმევ და სხვები—ვფიქრობდი მე და ნერწყვი პირში მადგებოდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთ დღეს საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირის კრებაზე, სადაც ტფილისში გამოსაგზავნ დელეგატებს არჩევდნენ, დავილეწე ენა და მართალი და ტყუილი ყველაფერი ვსთქვი. კანდიდატათ არ დამისახელებია ჩემი თავი, თორემ ისე ჩემს სიტყვებში ნათლად გამოვხატე ჩემი სურვილი, აღვნიშნე ათარიბელი საქმეები, რომლებიც ვითომ დელეგატს უნდა გაეკეთებია: ჯამაგირების მომატება, საქონლის გაიაფება, ადმინისტრაციის ალაგმვა, საერთაშორისო მდგომარეობის ჩვენს სასარგებლოთ შეცვლა, საფრანგეთის ჯარების—რურიდან, ხოლო და თითქმის იაპონიის—ჩინეთიდან გამოყვანაც კი დელეგატის მოვალეობაში ჩავურთე. აბა, ვინ არ ამირჩევდა, როცა მე თვითონ ვამბობდი, რომ „ამას, ამხანაგებო, მე მოვაგვარებ მეთქი". მილიციის თანამშრომლები სიხარულით ფეხზედ აღარ იდგნენ, „თუ გვეშველა ეხლა გვეშველებაო", ფიქრობდნ და ჩემს ტფილისში წასვლას ისე მოელოდნენ, როგორც ერთი ლიტვა—პოლონეთის წარმომადგენელს.

27 დეკემბერს მატარებელში მოვთავსდი.

28 დეკემბერს ტფილისში ამოვყავი თავი და მუშათა სასახლისაკენ გავეშურე. გზაზე ყველაფერს თავკრიბულ აზნაურიშვილსავით ვათვალიერებდი. ბათუმის სამარისებურ მყუდრო ქუჩებში სიარულს ჩვეული, ავტომობილებმა კინაღამ გამგულიტეს, შეშით და ნახშირით დატვირთულმა ვირებმა ხშირად შემოუხვევ-შემომაფხანეს გვერდები და ჩემი ისედაც მოხეცებისაგან დაცრეცილი პალტო სულ ნაფლეთებათ მიქციეს.

მივედი, როგორც იქნა, შრომის სასახლეში. სანამ ჩვენ პროფკავშირს მივაგნებდი, თითქმის ადგილას მივარტყი სარკეს თავი.

აქაც გადავრჩი. მანდატიც მივიღე და კონფერენციისათვის დავრაზმე ჩემი ჭკუა-გონება. კონფერენცია გაიხსნა. პირველად რაცხა მოხსენება გააკეთა ვიღაცამ, მაგრამ იმის მე არაფერი გამიგია, ვინაიდგან რესტორანზე ცოტა გულწაწყვეტი გახლავარ. (ნაც. დემოკრატობის დროს ვარ დახადებული). შემდეგ შეუდგნენ ქარხნულ მოხსენებას, ილაპარაკეს, ილაპარაკეს, რომ ორჯერ გამოვიღვიძე და სამჯერ დავიძინე მათ ლაპარაკში. „ადასი" ხუთი ათიათასი, აეწიეთ, დაეწიეთ, კვალიფიკაცია, რაციონალიზაცია, რეორგანიზაცია, მიღწევები, შედეგები, გამარჯვებები და, რა ვიცი, რამდენი რამეები არ ილაპარაკეს. მე ხან მათ ვუყურებდი, ხან მეძინებოდა, ხან სხვებს მივბაძავდი და რაცხას ჩემს ბლოკნოტშიც ვჯღაბნიდი. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი და ისე მომეწყინა ჯდომა, რომ ავტომობილში ჩავჯესვით,

(მეგობრული შარჟი)



აი, ეს ეპოქა,
აი, ეს წარსული,
ხალ ილებს დახაწყისს
თეატრი ქართული!..
მაგრამ ეს ჭოგვრიტი,
ანუ ეს დურბინდი,
მიუახლოვებს თვალთაგან
ნისლიან, თუ ბინდი.
და იქით შეხატვის
თეატრის ხაწყისი...
ხაბუთიც ხელთა მაქვს
უტყუვრად ამისი.
პომპეუს, მერიკლი,
თუ სხვანი, მავანნი,
პირუტყვნი არ იყვნენ,
არც მხეცნი მჩხავანნი.
არამედ კულტურით
ყელამდე მთვრალებთ:
მათ ჩვენი სცენისკენ
ეპყრათ თვალები!..

---

ამაზედაც კი ღარს ვიტყოდი ამ წუთს ბოლოს ვიფიქრე. აგეთიან არადეერი გამოვა, მოდი და ამ საღამოს ერთ ოპერას მაინც ტყურებ მეთქინ საოპერო თეატრის საბილეთო ფანჯარას მივაღწიე.

— სამ მანეთიანზე ნაკლები არ არის, ამხანაგო!..

— რაო? სამი მანეთი?! სამ მანეთს ოპერაში კი არა, სამოთხეშიც ვერ მივცემ მეთქი,—ჩავილაპარაკე და ისე სწრაფად გამოვარდი გარედ, რომ ორი ბიჭ'ბეჟი წავაქციე კარებთან აქაც არადეერი.

მოდი, ერთს „კომუნისტის" რედაქციაში შევივლი, იქ სადღაც „ეშმაკის მახე'ში" ოხისიდე ზის და ერთს მაინც ენახავ, ძველი ჩაცნობი კაცია და რამე მეტყვის ახალს. ან ძველს მეთქინ, სულო ცოდვილო მასალებიც მჭირდა დასატოვი.

რედაქციაში რამოდენიმე ამხანაგი იჯდენ სწერდნენ, სთარგმნიდნენ და გართულნი იყვნენ ძლმოაბაში. აქეთ მოვიხედე, იქით, ბოლოს ერთი შევამჩნიე უფრო თავისუფლად და მასთან მივედი.

— გამარჯობათ, ამხანაგო,—მივესალმე მორიდებით.

— ა!?—შემომხედა მან მე ამას არ მოველოდი და სულ დავიბენი, მეორეხელ გამეშეორებია „გამარჯვება" უხერხულად ვიცინი, არა და, აღარ ვიცოდი რა მეთქვა ჩვენ ერთმანეთს უხმოდ ვუცქეროდით. ბოლოს მოვიფიქრე, როგორც იყო:

— აქ სად არის „ეშმაკის მახე", ამხანაგო?!.

შევეკითხე და ისე გავწითლდი სირცხვილით თითქოს რაღაც უწმაწურ რამეს ვეძებდი.

— „ეშმაკის მახე"?! კაცო, სად არის ეხლა მაგენი, თუ იცი?—შეეკითხა მან მეორე ამხანაგს, რომელმაც მიმითითა ოთახზე. ოთახში შევედი, არც „ეშმაკის მახე" მინახავს იქ და არც არავინ სხვა.

გაზეთ „მუშა"-ს რედაქცია ძლივს ვიპოვნე. ეზოში ლოდში კანაღამ ჩავიხრჩე როგორც იყო. ავედი და „ტარტაროზის" კაბინეტში შევიპარე. ცოტა ხანს იქ ვილაპარაკე ერთი გოგირი „მასალა" დავტოვე და გამოვედი.

ახალწელიწადი იხედებოდა, „სასახლის ნომრები"-ს სასტუმროში თითო მაგიდა ას მანეთს ფასობდა, ავტომობილები „დამებით" და „კავალრებით" ეტლების დუქანსავით ასცდებოდნენ ამ რესტო-

---

დაუპატიჟებელი და თანაც დაპატიჟებული სტუმარი წითელ სასადილოში



წითელი სასადილოს
ვერვინ იტყვის ქებასა:
„გაუმარჯოს", გამკივის:
„ხაზოგადო კვებასა!"..
კედელზე გაკრულია
ახეთი განცხადება,
და აი, „ბოსიაკიც"
სასადილოს აწყდება...
დენის „ოფიციანტი",
დენის და არ ეშვება,
ის კი ხუცრისკენ იწევს,
პირიც ნერწყვით ივსება...
„ოფიციანტს" არ ესმენს,
არც მის წინადადებას
და კედლის განცხადების
მოითხოვს განაღდებას!..

---

რანს. მე და ჩემი ამხანაგი რომელიც იმ შეხობის ერთ სოროდაძემი (ვიოოდ ნომერში) ეცხოვრობდით ნერწყვმორეული და თან შეჯრიან თვალებით შევყურებდით რესტორანში თოსელ ბრწყინვალე სიზოგადოებას რომლებიც ანგელოზებივით ცეკვავდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს.

— ეს ჩემი ძმაო! „მოთმინებითა შეკრითა მოიპოვე სული შენი" გვეუბნებოდნენ—სიტყვა ჩემმა ამხანაგმა ხელი მომკიდა და ჩვენს ბინისაკენ წამიყვანა.

ბათომში რომ ჩავედი, ტფილისში ხაყიდი გაზეთი ამოვიღე გულმოდგე დაკეცილი შუა ჯიბის და სახლში მისვლამდე ისე წუვიკითხე ეს გაზეთი, რომ არაფერი არ მოკრიალას ჩემთვის ხელი არ შეუშლია.

ეხლა რომ მომაგონდება ტფილისში ავატარებული დროები და წარმოვიდგენ რომ ბათომში ვიმყოფები, სიამოვნებით ვილიმები და გამბობ მადლობა ღმერთს, რომ შეიდობიანად გადავრჩი მეთქინ.

რეზოლიუციები ჯვალი წაიღოდე და როცა ვინმე მკითხავს, რა გააკეთე, მას 100 მეზღვრიან რეზოლიუციას ვაჩვენებ ხელში. სადაც სოციალიზმზე უფრო კარგი ხანაა განხორციელებული

მ. იაზოლი.

---

ფიქრი ეპოქზე

(ძლ. ჯუმათის ეპოს თავმჯდომარეს)

მინდა რამე ვსთქვა დიდმოალ ეპოქზე,
რადგან ფიქრები მიქერს სადავეთ.
იქ ლამანჩელი მოწყდა ტობოზელს,
სიტყვაც გახუხდა ამაზედ დავით.
საროინდოებს არ სდევს რაინდი
და მაღალ მიზნებს გულშიც მარხავს,
სევდებით საჯსეს აწევბა ბინდი,
ვინ ეტყვის, ოდეს თუ მიჯნურს ნახავს.
გული გაუპო მეტოქემ ჩოიქით
და უწოდებენ—საბრალორაინდს";
ტიკებზე ბრძოლით მსურს ჩაჭრის ფიქრი
ატარებს პორტრეტს ამაოდ ნაყიდს!..
მას „როსსინანტიც" გადაუბრუნდა,
აღარ ოცნებებს თვით საწყო ნუმბრით.
ილუზიების დასცვალა გუდა,
დაბეტრიალობს ჯაჩრილი გრძნობით.—
ხან მეტოქეზე მოწევს შურით,
ხან ალაყ-მაღლაყს გადადის ველად;
მკერდზე ძახია ჯღვმანი სრული.
თავს მეზობარადი ადგა მცველად!..
რას დადევს—ეპოს, თუ ეს სტეპ ლამე,
ვინ ამტვრევს ფანჯრის რკინის ღროდელებს?
—ის გაიტაცა დღეს სულ სხვა რამემ:
ეელები შორით სატრფოს კელებს!..

ჩაჩუნდარიძე.

---

# პარიზის კომუნის 55-წლის თავი



კომუნარების კედელი. სურათი გადაღებულია 1871 წლის მაისის 28-ს.



დახოცილი კომუნარები



გენერალი გალიფე
კომუნის საშინელი ჯალათი.

ტფილ. № 362. ტირ. 22.000 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.

# დროშის ფოტო-ქრონიკა



1) საბჭოთა დელეგაცია საფრანგეთთან მოლაპარაკების საწარმოებლად: 1) დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. რაკოვსკი 3) ამხ ბუდუ მდივანი 2) საფრანგეთის დელეგაცია შუაში ზის დელ. თავმჯდომარე დე—მონზი. 3) ლარისა რეისნერ—ცნობილი რუსეთის მწერალი—კომუნისტი გარდაიცვალა ხახადით. 4) რომენ—როლლან. 5) გერმანელი კომუნისტი ამხ. რებე, რომელიც არ დაამტკიცეს ქალაქის საბჭოს წევრად. 6). ამხ. კაბაკჩიევი 7) ლენინგრადის ს. კ. პ. გუბ-კომის პლენუმის პრეზიდიუმის წევრნი ამხ. დერჟინსკი და კიროვი